J9372
3

ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘ

ზნეული

მეორე გამოცემა

ტფილისი
[illegible] სახ. № [illegible]
1920

ბნელო

I

კრებული.

[illegible]ოფელ მრავლეთში, ერთს მივარდნილ ადგილას, იდგა [illegible] დიდი ჩალით დახურული ქვიტკირის სახლი, რომელიც ირ[illegible]ჩეოდა სხვა სახლებისაგან მით, რომ მარცხენა კედელში [illegible] ჰქონდა ჩასმული მოზრდილი, ბურთივით ხშირად დახვრე[illegible] ფიცარი. ეს ფიცარი ასრულებდა ფანჯრის დანიშნულებას. [illegible] დერეფანი გადაჰყურებდა პატარა ღელეს, რომლითაც თა[illegible]ფერდობითი ეზო სახლისა. ეზოში, გარდა ოთხის ძირის [illegible]ალისა, იდგა ხეები ლეღვისა, ბროწეული, ქლიავი და, უფრო [illegible] ფურცლები (თუთები). ეზო ყოველთვის შემოუ[illegible] იყო და შამბ-ნარით მოცული. მარცხნივ სახლის გვერ[illegible]ედ ყალთაღიანზედ, ფანჯრიდგან შვიდ-რვა ადლზედ, იდგა ერ[illegible] დიდი ფურცელი, რომლის ქვეშაც ადგილი მოტიტვლებული [illegible]. ფურცლის ძირას იდო დიდი ლოდი.

[illegible]კვირა დღეა. წვიმიან ღამეს მოჰყვა ბრწყინვალე მაისის დი[illegible], რომლის წყალობითაც მზემ მალე შეუშრო დედამიწას პირი. [illegible]ებოდა ათი საათი დილისა. ფურცელ ქვეშ ქვაზედ იჯდა ერთი [illegible] წოდების კაცი, ხნით არა ნაკლებ ორმოცდათხუთმეტი [illegible], მაგრამ ხანს ჯერ კიდევ საკმაოდ არ მოეხარა წელში. იქ[illegible] ეს იმისგანაც მოხდა, რომ ეს .პატივცემული კაცი ტან-დაბა[illegible] და ტან-მსხვილი იყო. იმისი ზარისახე დაფარული იყო ჭაღა[illegible] წვერ-ულვაშით, მხოლოდ დიდი კეხიანი ცხვირი და თვალის [illegible] პატარა-პატარა-ღა დარჩომილი უბალნოთ ლოყის თავე[illegible] უბრწყინავდა წითლად. დიდრონი ჭროღა თვალები, რომელ[illegible] გადმოჰფარებოდნენ ზემოდგან ჯაგარი და ჭაღარა წარბები, [illegible] სახის გამომეტყველებას აძლევდა, რომ იგი უნდა ყოფილი[illegible] ან ძლიერ მრისხანე კაცი, ან ბეცი. დიმიკიტონის ანაფორის [illegible] აქეთ იქით ჰქონდა ჩამოშვებული. ფეხები განიგანს გაედ[illegible]ინ იყო წახრილი და მუხლებზედ ნიდაყვებ დაბჯენილი ხე[illegible] ერთმანეთზე ჰქონდა გადახლართული. ხელებსა და მუხლებ

შეა ამოტარებული წითელი ტყემლის ჯოხი ჰქონდა მიყუდებულ მარჯვენა მხარეზედ; თავზე ეხურა გაქუცული კალმუხის ქუდი. ე კაცი გახლდათ სოფლის მრავლეთის მთავარ-დიაკვანი სპირიდონ ტაბლიაშვილი.

მთავარზე ცოტა მოშორებით დაჰყუდებოდა მარცხენა იღლიით ტყემლის ჯოხს მეტის-მეტი სიმაღლისაგან წელში მოხრილი წვერ-მოპარსული, პირხმელი, თვალებ-ჩაცვივნილი, დიდ-კბილა დ დიდ-ცხვირა, თხელ უსწორ-მასწორო ულვაშება, გრძელ, გარე შემო შემოკვეცილ, თმიანი ამავე სოფლის დიაკვანი იასე ქელეხაძე. სახელი „იასე“ არსებობდა მარტო მეტრიკის წიგნში. უმეტესოდ კი, თუ „დიაკვანოს“ არ დაუძახებდნენ, მიჰმართავდნენ ხოლმე მეტის სახელებით: „კანეი ულაპიავ“, ანუ „სახადის ანგელოზო“ — ვისაც რომელი ეხერხებოდა. უკანასკნელი სახელი იმან დაიმსახურა თავისი უშიშრობით სახადით გარდაცვალებულთათვის დაკითნის კითხვაში. იმას ტანთ ეცოსა შავი ლეკური შალის ჩოხა-შარვალი და თეთრიანი ჩითის ახალუხი. თავზე ეხურა მაღალი შავი ბატკნის ტყავის ქუდი, გვერდზედ ცა—ჩატეხილი; ფეხთ ეცვა საცვეთიანი წაღები. წლოვანობით მთავარ-დიაკვანზედ უმცროსად მოჩანდა.

მათთანვე ახლოს იდგა სოფლის მნათე ანდრია—მეტი სახელი ციმფა.—ბორბაშაძე. მნათეს მარცხენა ხელში საცეცხლური ეჭირა და იმავე იღლიაში შესამოსლის ბოხჩა ჰქონდა ამოჩრილი. მარჯვენა ხელში კი ეჭირა ტყემლის ჯოხი, ფერით წითელი და კრიალა თავისა და დიაკვნის ჯოხებზედ. და უჩხიკინებდა დედამიწას. თმისი ბღვრიალა, ძალზედ დაწითლებული და სიყვითლე-მორეული თვალები კაცს ჩაყლაპვას უქადდა. სქელი, შავი, ბოლო დაწკეპილი ულვაშები ცხვირის ნესტოებთან ბურნუთის წვვისაგან დაჰყვითლებოდა. ეტყობოდა, პირი კი იმ დილით მოეპარსნა: ნაწვერალ ალაგს არა ჰქონდა ჯერ მიღებული საზოგადო ფერი პირის სახისა და ისევ თეთრად გამოიყურებოდა. მოკრეპილ თავზედ ეხურა ნაბდის ქუდი. ტანზე ეცვა ისე, როგორც დიაკვანს, მხოლოდ ყველა სამოსლის ნაკლების ხარისხისა იყო, ფეხთ—ზონრით შესაკვრელი ჩუსტები და პაჭიკები. წლოვანობით დიაკვნის კბილისა იქნებოდა.

სამივეს რაღაც უკმაყოფილება ეხატებოდათ პირისახეზედ. შემდეგ ხანგრძლივის მდუმარებისა, მნათემ შეჰხედა მთავარს ცეცად და სთქვა ღიმილით:

— ე ღვდელი რატო არ გამოდის, რო შეუვარდე და ერთი თუ ორი... ავაყვანინო!

— მოგშივდა, ციმფავ, განა?—ჰკითხა მთავარმა.

— მე კი არა, აი ე დიაკვანი მეცოდება, რომ ცხრად ერის მოკეცილი, ლამის ქამარი დაეკარგოს. დავითნის კითხვაც არ შეეხვდა, რომ ცოტა პირი მაინც გაეცმაცუნებინა.

— შენ ხომ არ გეწანწლება სული ბოზბაშისთვინა დი?! — უპასუხა დიაკვანმა.

მნათეს ნერწყვი მოუვიდა პირში და სთქვა:

— ოჰ, ბოზაში, ბოზბაში, ის დალოცვილი ბოზბაში!

— მგონია, ციმფავ, ორი დღეა არაფერი გიჭამია? — ჰკითხა მთავარმა.

— ჰე, მთავარო, როგორ არა მიჭამია-რა, მაგრამ, თუ ი დალოცვილი ბოზბაშის სუნი არ დატრიალდა მუცელში, თუნდა ცხრა ხელი ჭამე დღეში, სულ ერთია: მაინც მუცელს ვერ ვიძღებ!

— მაშ კარგათ გაქვს მომზადებული მუცელი? — ჰკითხა ისევ მთავარმა.

— ამანაც რო არ მოამზადოს, თითონ მომზადდება, — ჩამოართვა დიაკვანმა. — ე დალოცვილი ღვდელი შეძვრა ი სახლში და აღარ გამოდის, ერთი ლოქო ძლივ მოხვდა ბადეს და ლამის ისიც წაგვივიდეს!

— ნეტა, რომელი კანჭი გელოდება, დ აკვანო? — უთხრა მნათემ. — იცი, მთავარო, ეს რასა სჩადის? დიმიტრის ხომ ქელეხებში მზარეულობისათვის კოდის პურს არ ართმევს: რა არი, ქელეხებში კარგი კერძი მომართვასო. ისიც ჩააგდებს ვეებერთელა კანჭს, აუვსებს ჯამს და უგზავნის.

— შენა!? ი ღვდელს რო უკეთებ ჯოხებს, ეგები თავისი კერძი ხშირ ხშირად გადმომიდგასო — ის რაღა არი?

— ეჰ, ღვდელი ეხლა თითონაც დაქიმითულია, მე რაღას გადმომიდგამს თავის კერძს! ორი-სამი ქელეხი უნდა იყოს ერთად, რო კაცს იმედი ჰქონდეს. თიჰ წყალობა, მთავარო, ამან ციცქვად დაანება თავი ყელვას, გუშინ საღამოს რო უთხარი, მაგრამ მხრეები კი ისევ მალე ჩამოყარა, როცა მოაგონდა, რო დავითნის კითხვა ამისი ჯერი არ იყო.

— რაღა დაახსოვდება კაცს ამდენ ხანს? აღარც კი მახსოვს!

— მართლა და ძალიან პირი შეეკრათ! — წამოიძახა მთავარმა.

— მგონი „შეგვიწყალენი“ დაგავიწყდა კიდეც, მთავარო? — უთხრა მნათემ.

— „შეგვიწყალენი“ კი არ დაგვავიწყდა, მაგრამ .. უყურე, როგორ ჩავბულბულო!

— რა ვიცი, ის ოხერი ჩ — ნი გადგა და აქ რაღა ღმერთი გაუწყრა? — სთქვა დიაკვანმა.

— ისე გულზე მოვდიოდი, რომ უნდა ჩ — ში მემეპარა ერ-

თი მკვდარი და მიმეთრივ მომეთრივნა სოფელში, რომ ეგებ აქეთაც გადმოეხედნა ღმერთს. სუ ამ „სახადის ინგელიზის" ბრალია, ამისი ეშინიან სიკვდილს!—მიუბრუნდა მნათე დიაკვანს, რომლისაგანაც მიიღო პასუხად:

— ჯერ არ დაიცდი, დავასუქოთ! თორე მჭლე მკვდარიც არ ვარგა.

— ეხლა კი გზა გაიხსნა; ამას იქით ადარ მოგვაკლდება, არა ციმფავ?—ჰკითხა მთავარმა.

— მართალს ამბობ, მთავარო, დოლი დაგვეძრა. ხორც ტკბილობა ეხლაა, მკვდარს ეხლა აქვს გემო, თორე, როცა რიგები გაჩნდება, მაშინ რაღას ვაქნევ!

— ამან რაღაცა იცის. ვისაც მიკიოტივით შესჩხავლებს, ადარ გადაურჩება. ერთი კვირის წინად მითხრა: თვალიანათ ზურია კანჭს მოგვარტყამსო და აი ასრულდა კიდეც,—სთქვა დიაჩოქმა.

— ყორანს ხო ერთი თეთრი ბუმბული აქვს ფრთაში და როცა ამ ბუმბულში ჩაიხედავს, ლეშს დაინახავს, !აცა იქნება. მე კი იღლიაში მაქვ ერთი ბეწვი, როცა იმ ბეწვში ჩავიხედავ და შიგ მკვდარს დავინახამ, უეჭველად გვეყოლება მკვდარი. რა დროსაც გვეყოლება, იმას კიდევ ყური შემატყობინებს ხოლმე. თუ ყურმა გამწვავლა, ვაი იმის დედის ღმერთს, ვინც ავად ადგა! უთუოდ ჩაგვიყარდება კლანჭებში,—წარმოსთქვა მნათემ ღიმილით.

იქნება კიდევ ბევრს სხვასაც ილაპარაკებდნენ; რომ სახლიდან არ გამოსულიყო სოფელ მრავლეთის მღვდელი მამა ქრისტესია ჭამიაშვილი და თვალების ყურით არ გამოეწივნა ფურცლისაკენ. მამა ქრისტესია იყო შუა ტანისა, მსხვილი, მხარ-ბეჭიანი, მხოლოდ დიდი მუცელი უმცირებდა სიმაღლეს: ასე რომ, პირველ შეხედვით, მანამ მთავართან მდგომარეს დაინახავდა კაცი, ტანდაბალი ეგონებოდა. მრგვალი პირის სახე მამა ქრისტესიას წითლად ულვიოდა და თეთრი თმა-წვერით ჰქონდა შემოხვეული. მხოლოდ ულვაშებში და წინ სწორეთ წამოსულ წარბებში-ღა ერია აქა-იქ შავი თმა. სიწითლით არც თვალები დაუვარდებოდა პირის სახეს. ცხვირი თუმცა დიდი არა ჰქონდა, მაგრამ მთელი კაკნატის ნაწილი დაჯირჯვლებული ჰქონდა და ზედ ამოჰსვლოდა რამდენიმე თეთრი თმა. თავზედ ეხურა კალმუხის ქუდი. ლილის ფერის მაუდის ანაფორის კალთები მოეკრიბნა უკან გაბრუნებულ მარცხენა ხელში; მარჯვენა ხელში ეჭირა მნათეს მიერ მირთმეული ტყემლის ჯოხი, რომელზედაც იყო გამოსახული რაღაცა ფრინველის თავი. ტერნოს კაბის ქვეშიდან გამოუჩნდა ქუსლებ უკან წასული ხარაზული წაღები. წლოვანებით შესამჩნევი მეტ-ნაკლებობა არ იქნებოდა იმასა და მთავარს შუა.

მამა ქრისტესიას დანახვაზედ ელვასავით გადაურბინა ყველას
ირის სახეზედ ღიმილმა. მთავარ-დიაკვანი წამოდგა ფეხზედ და
ამოვენი შეემზადნენ სალამის მისაცემად. ყველამ ქუდები მაიხადეს
ა, ითქმის ერთხმად, წამოიძახეს—„შენდობა, მამაო“. მნათე
არ ჯვენაზედაც ეამბორა. მღვდელი არ-კი შეჩერებული ფურცელ
ვეშ, გასწია სოფლისკენ და დანარჩენნიც დაედევნენ უკან. კარგა
ანს ჩუმად იარეს. მერე კი ეველარ მოითმინა მნათემ, მიმართა
ღვდელს.

— ღვდელო, ე რეერთი გვალოდინე? რა ხანია კაცი მოვიდა,
ცხედარი მზად არიო!

— არ გეკადრება, რო ელოდო, —მისწვდა პირში დაიჩოქი, —
კაცმა ჯილდოდ სკუფია მიიღო!

მღვდელმა მხრები შეათამაშა და მედიდურად უთხრა:

— რა იყო, ციმფავ, წაგივიდა სული?

— ეჰ, შე დალოცვილო! როგო არ წამივა სული, რო კვირა-
ცხოვლობას აქეთ ჩემ ულვაშებს ცხიმი არ მოჰხვედრია, და ჯო-
ხი კიდე ალარა ბეყვრიალებს, რო ბოზბაშიანი ხელი ალარ წა-
მისვამ?

— შენმა მზემ, ძალიან მსუქანი მკვდარი კი გვყავს!

— ისეთი ბედილები გაატარეს, რო დუმებს ძლივ მიათრევდნენ!

— მუცელი თუ ამოიყორე და ჯიბე კი ცარიელი წამოიღე,
ვიშენდება ოჯახი!

— მე იქნება მართლა გაძღომის მეტი არა შამრჩება რა, მაგ-
რამ შენ რა გაშინებს?

— მე კი, მე ვიცი, „პოლიმპრიალებს“ დამითვლიან! ნეტავი
მე შარშანდელი კოდის პური არ დამეკარგნა, თორემ წინგასაძღო-
სა და საანდერძოს ვინღა ჩივის. ილბალი რომ ამ კანეის-ულაპიასა
აქვს: სუ ბედაური ხალხი ეზოცენა!

— შენ კი დაგეკარგება, ღვდელო, რა?—ჰკითხა დიაჩოქმა.

— დაკარგული არ არის, აბა მაშ ვინ ჩამაბარებს?

— ისეთი ლატაკი ბიჭი დარჩა, რომ ორ წელიწადს იქით მო-
ჯამაგირობას შეიძლებს; მოიყვანე შინ და იმსახურე.

— ერეჰა! ყველა რომ მოჯამაგირედ დავიჭირო კოდის პურ-
ში და სამკვდროში, რაღა ვქამო? შენც კარგ ჭკვაზე მარიგებ!

ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დაიწყო ისევ მაათემ:

— ჩვენ ტყუილად ვუკადეთ, დიაკვანო, მოძღვარს! აქამდინ
რო წავსულიყავით და დავნაყრებულიყავით, კარგი იქნებოდა.

— როგორმე სამზარეულოში უნდა წავყოთ თავი და ცოტა
ფერდი ამოვიღოთ, თორე იქ რა ეშმაკი ააღწევს!

— ერთი კარგი მწვადი გააცხელე, ციმფამ! — უთხრა მთავარმა.

— შენც აპირებ თუ?—ჰკითხა მღვდელმა.
— მე რაღა ვარ? უფრო მაგრა არ დვიჭახებ „შვვვიწყალენს!“
— შაგარცხვინათ ღმერთმა!
ამ ლაპარაკით მოუახლოვდენ „სასოფლოს“.

II

სასოფლოზე.

Ეჯა სოფელში კი არა და არც ძლიერ განაპირებით, სცხოვრობდა ერთი შეძლებული გლეხი, მამულაშვილი, ხალხთ-მრავალ ოჯახის პატრონი. ოჯახი სცხოვრობდა დიდ უზარმაზარს ქვითკირის სახლში, რომელსაც უკანა კედელი ზედ სასოფლო გზის პირას ჰქონდა ამოყვანილი. მარჯვენა მხრივ სახლს ჩაუდიოდა საუომე გზა, მარცხნივ კი ზედვე ჰქონდა მობმული ქვითკირის დიდი მარანი. მარნის უკანა კედლიდან დაწყებული, გზის პირად იყო გაკეთებული მაღალი ძეძვის ღობე, რომელიც ორმოცის ადლის შემდეგ ერთიანდებოდა და ზღუდავდა მარნის გვერდზე მდებარე ხეხილიან საფუტკრეს. ღობის პირში შიგნიდან იდგა მწკრივზე სამი კაკლის ხე; გზის მხარეს კი იყო მიწყობილი ღობის ძირზე მუხის ხერგები. გზის მეორე ნაპირსაც ასეთივე ღობე ჰქონდა გავლებული. ამ ორღობეში წვიმების დროს იცოდა საშინელი ტალახი, მაგრამ, რა ტალახიც უნდა ყოფილიყო, მაინც კვირა-უქმე დღეს აქ მოიყრიდნენ ხოლმე თავს მცხოვრებლები, სასოფლო საქმე ექნებოდათ, თუ გულის გაყოლება ენდომებოდათ. ამისთვის ეს ორღობე იწოდებოდა „სასოფლოდ“.

სოფელში ბევრი სხვა უკეთესი ადგილები იყო, სადაც შეეძლოთ მცხოვრებელთ მოეხდინათ სასოფლო ყრილობა, მაგრამ იკრიბებოდნენ ამ ორღობეში არა ადგილის უკეთესობით, არამედ სხვა მიზეზების გამო. ორმოცის წლის წინად (რა დროდანაც ჩვენი მოთხრობა იწყება) მამულაშვილების ოჯახში გარდაიცვალა ერთი ღრმად მოხუცებული ბერიკაცი დათია. დათიას დიდად პატივსა სცემდა მთელი სოფელი და ყველას მაგალითი იყო, როგორც კარგი ხელოსანი ურმისა, გამოცდილი გუთნისდედა და მეფუტკრე. მანამ ჯანი და ღონე ნებას აძლევდა, დათია ტყესა და მინდორში აღამებდა და ათენებდა. როცა აღარ შეეძლო ბევრი სიარულის ატანა, ხელი მიჰყო ფუტკარს და შინად ურმების კეთებას. ყოველებდა თუ არა მამალი, დათია ფეხზე იყო. საქმის დღეს უსაქმოდ ვერავინა ნახავდა, კვირა-უქმე დღეს კი იჯდა მთელი დღე საფუტკრეს უკან გზაზე და ვისაც მოახელებდა, დაუწ-

ყვედა ლაპარაკს. იმისი სალაპარაკო იყო ან ურემი, ან გუთანი, ან ფუტკარი.

სიბერის დროს ძველ ამბებზედაც გადადიოდა. ლაპარაკის დროს ხშირად ხმარობდა, როგორც დასამტკიცებელ სიტყვას: „გარჯილობას რა მოჰქონდა და საწუთრო დაულეველიო“. ამ ნაირად დათიამ მიიზიდა სოფლის მკვიდრნი და კვირა-უქმე დღეს ყველა ამ ორლობისკენ მიეშურებოდა, რათა გაეგონათ იმისგან ან ავი, ან კარგი. ხალხს ჩვეულებად გარდაექცა ამ ორლობეში თავის მოყრა და დათიას სიკვდილის შემდეგაც აქ იკრიბებოდა. თვითონ ოჯახიც კი ძალაუნებურად იზიდავდა ხალხს. ძნელად მოიპოვებოდა სოფელში ისეთი კაცი, რომელსაც წელიწადში, ორჯერ-სამჯერ თუ არა, ერთხელ მაინც და მაინც არ ეჭამა მამულაანთ ოჯახში პური. თუ ვინმე არ მოჰყვებოდა „მამითადში“, მკათათვეს, ან „ალილობას“, ან „ბერიკობას“, ან „ყეინობას“ მაინც გაიღებდა გემოს მამულაანთ პურ-ღვინისას. მამულაანთ რძლებიც პურის ცხობის დროს ხშირად გამოურბენინებდნენ ხოლმე თბილ-თბილს პურს გზაზედ მსხდომთ. მას შემდეგ უფრო დამტკიცდა ამ ადგილს სასოფლო, როცა ერთმა სომხის ბიჭმა, არტემა არზუმანოვმა, გააღო მამულაანთ საფუტკრის კუნჭულში პირველი დუქანი სოფელს მრავლეთში.

არტემას წინად საწვრილმანო დაჰქონდა იღლიაში ამოჩრილის ყუთით, მერე ვირით. ბინა ყოველთვის მამულანთ ოჯახში-- მარანში ჰქონდა. რომ ცუდი ხმა არავის დაეგდო, ოჯახმა დაინათლიავა არტემა. შემდეგში, როგორც ნათელ-მირონს და ამასთანავე საწყალს, მამულაშვილებმა დაუთმეს საფუტკრის კუნჭულში უქირაოდ სადუქნე ადგილი და თითონვე უფასოდ აუშენეს წნულის პატარა დუქანი. არტემა ბუნებით სულელი არ იყო, მაგრამ განგებ კი თავს ისულელებდა, ასე რომ მთელ სოფელში დედაკაცები „რეტიანს“ ეძახდნენ სახელის მაგივრად და მამაკაცები „დამთხვეულს“, ანუ „დაუჭტვინეს“. კაცს თუ ქალს, დიდსა თუ პატარას, ყველას გაურჩევლათ ეხმაურებოდა და ებღლაძუნებოდა. ვისაც უნდა ელანძღნა ან ეცემნა, არც ჰირს, არც ხელს არავის უბრუნებდა, თუნდ იმაზე პატარა ყოფილიყო: ყველას ხუმრობით იგერიებდა.

ამნაირის ქცევით არტემამ შეაყვარა თავი მკვიდრთ და კვირა-უქმე დღეს ბევრი იმის გულისათვისაც მოდიოდა სასოფლოზე, რომ არტემა ეყვირებინათ. მიზეზსაც მალე იპოვნიდნენ ხოლმე. ყველამ კარგათ იცოდა არტემას ხასიათი, რომ ნისიებს წაუმატებდა ხოლმე. ვისაც უნდოდა არტემას წვალება, მივიდოდა და ეტყოდა: „აბა, ერთი დავთარი მაჩვენე, ჩემზედ რამდენია“. დავთრის

წაკითხვის შემდეგ დაუწყებდა არტემას ცემა-ტყეპას და ესეც მოჰყვებოდა ყვირილს. ამ ყვირილით საქმე თავდებოდა: არტემა მაინც ყველასაგან მოუკლებლად იღებდა, რაც დავთარში ეწერა.

კრებულზედ ერთის ფეხით წინ სასოფლოზედ გამოიარეს სხვა და სხვა მგზავრებმა. ერთი ახალგაზდა ბიჭი მოუძღოდა წინ კვიციანს ცხენს, რომელსაც ეკიდა ლურჯი ხამის სუფრა-გადაფარებული ხურჯინი. ცხენს უკან, მეორე ხანში შესულს კაცს მოჰყვანდა ყელზე აპეურ-შებმული თოხლი. ამათ უკან მისდევდა სამი ძველ-ქათიბა მანდილოსანი, რომელთაც წინა კაბის კალთები სარტყელში ჩაეკეცნათ და მკლავებზე გადაედოთ თეთრი დაკეცილი მანდილები. ამათ დანახვაზე ხალხში, რომელიც ბლომად შეყრილიყო სასოფლოზე, ლაპარაკის საგანი გამოიცვალა.

— აბა, ე ვინ გადაიცვალა, კაცებო?—წამოიძახა ერთმა და ამის შემდეგ გაბეს ყველამ.

— ვინა და, საწყალი თვალიანთ ზურია.

— ო... ვაჰ!

— საწყალმა აკი ვეღარ იკეთილა-რა, რაიც ი ბატონმა გალახა!

— აი, იმი ცოდო და იმი ცოლშვილი ცოდო ნუ დაულიოს ღვდელს, როგორც იმან დაიდო იმი ცოდო!

— თავი დღეში არ გამიგონია, რო ყურძნის ქურდი ქურდად ჩაითვალოს! ხილს რო პირი ჰქონდეს, თავითავს თითონ შეჭამს, და ღაბი მეხრემ რო ყურძენი არ მოიპაროს, რაღა...

— ყურძნის მოპარვა კი შეეძლო საწყალს?

— მე მკითხოთ, როგო იყო?—წამოიძახა ერთმა ყმაწვილმა ბიჭმა: — საწყალ ზურიას გემოთაც არ უნახამ მაშინ ყურძენი. აი როგორ იყო: საღამოთი ძროხა ძეძველებზე შამოვაყოლეთ. ბინაზე რომ მივრეკეთ და დავათვალიერეთ, ნინიამა თქვა: „ნიშა დეკეული მაკლიაო“. ი დასაქცევი არ წავიდა მოსანახათ. „სა წავავო, სანდროს შევაღოცინეფო და ფიქრიც არ არიო“. დავაცადე და, ი საწყალმა ზურიამაც დამძღარი გუთნიხარი ჩვენ ბინაზე მორეკა, რადგანაც ამხანაგი შინ დაპთხოვნოდა. მერმე ბიჭებმა ვთქვით: მოდი ერთი ბატონიანთ ზვარს ვეცნეთო და გუდები დავეფდოთო. საწყალმა ზურიამ ბევრი გვიშალა, ნუ წახვალთ, აიქ საფთხეში არაში ჩასცვივდეთო. მაგრამ არ დავიშალეთ, ავდექით ხუთი ბიჭი და წავედით. მე და ნინია მივიპარენით ქოხთანა; დაჭყლეტილი მტევნები მუჭაში გვეჭირა მომზადებული, რო, თუ გამოსულიყვენ მეზვრეები ქოხიდან, თვალებში უნდა გვესროლნა, მაგრამ იჰ დალოცვილები ისეთ ღრმა ძილში იყვენ, რო ფეხიც არ გაუქნევიათ. ბიჭებს გუდები გაეეედნათ და ახლა ჩოხიკალთები

გეეწვერნათ. როცა ბინაზე მოვედით, ზურიას ხარი აღარა ჰყვანდა, ეეშალნა და გეეროკნა. მეორე დღეს ნინია წავიდა მოსანახათ და მგლისაგან გაღეღილ დეკეულს კი მიადგა. მასკვანიითა, არ ვიცი, როგო გაეგო ღვდელს, რო ჩვენ იმ ღამეს ყურძნის მოსაპარათ ვიყავით, მაგრამ გუმანი კი სვიმონაზე მივატანეთ--იმან დაგვაბეზღა ღვდელთან. ღვდელიც წასულიყო და ჩეეკენჭა ბატონისათვის. დაგვიბარა ბატონმა ყველა მეძროხეები და ი საწყილი ზურიაც. ჩვენ ბიჭებს სამ-სამი, ოთხ-ოთხი სახრე გადაგვაწნეს მხრებზე და ი საცოდავი ზურია კი წაიკეეკვინა და სუ გველივით გაიჭრელებინა როზგით: „მე დიდი ხანია შენი ჯავრი მჭირსო“. საწყალმა ბეერი იყვირა: მე არა ვარ დამნაშავეო“, მაგრამ ბატონი ეძახოდა: „დაჭარითო, მოღალატე ყმას ე მაგრე უნდაო!“ ვეეოფ, განაყოფის დაბეზღებული იყო, რო ისე ბოღმამ გახეთქა. სუ იმას იძახდა: დედა ვაცხონე და მამა ღვდლისა, რო იმან შენი თავი ხელში ჩამიგდოვო.

— აი არ დაულიოს იმისი ცოლშვილის ცოდო, როგორც ისინი ეხლა ყელ-გამოკრილები დარჩნენ!

— ეგ სახ-კარ დაქცეული, ეგა, რაერთ ნავნებსა შვრება?! — წამოიძახა ძმამ, — ჩვენ არ ვარგივართ, თორე ეგ აქამდინ აქ უნდა ბოგინობდეს! ხო გვაზღვევინა მაგ სახ-კარ დაღუპულმა, რიღაჰთვინ აბიზღებდა, რო ერთი კომლი კაცი სოფელსაც დაუკარგა და ბატონსაც.

ეს სიტყვები წარმოსთქვა დაბალის ხმით, რადგანაც კრებული მოვიდა სასოფლოზედ. ყველანი ფეხზედ წამოდგნენ, ქუდები მოიხადეს და მიჰმართეს მღვდელს: „შენდობა, ბატონო!“ პასუხად კრებულმა უთხრა: „გაკურთხოთ ღმერთმანაო“, და დაუმატა, „ნეტავი ე მაგრე ერთგულად ეკლესიაში იარებოდეთ!“

— შე დალოცვილო, აღდგომას აქეთია, ორჯელ არ გიწირამ და ეკლესიაში რიჰთვინ ვიაროთ! — მიუგო ერთმა.

— არავინ-კი იარება და ვის ეუწირო?

— არ ვიარებით და აკი ღმერთიც იმიჰთვინ გვახდევინებს! — თქვა ერთმა მოხუცებულმა.

— რას ამბობ, თევდორე? დავდივართ თუ არა, მაგას რა დავა აქვს! ჯამაგირს იმიჰთვინ ვაძლევთ, რო ღმერთს ჩვენ მაგივრად შეეხვეწოს და მოსავალი მოგვგვაროს, თორე ი ჩანახ ნიტრას რო მიიტანს, საიდამ უნდა ავუწყოთ კოდი პური? ე ცა და ღრუბელი რო შაიკრა და ერთი ბეწო ნამი აღარ გვეღირსა, მაგისი ვალი არ არი, რო ილოცოს და წვიმა მაიყვანოს? — წამოიძახა ნინიას ძმამ,

— აი, მეხი-კი დაგეცა მაგ წვინტლიან თავზედ! ცა და ღრუბელი რამ შაკრა? — თქვენმა ცოდომ შაკრა: ღვთისა თქვენ აღარ

გეშინიანთ და მღვდლისა, ერისა და ბერისა. კვირა დღე თქვენ არ გაგაჩნიათ და უქმე!

— სალვთოები ხო დავიწყებას მიეცით და აღარას აჩემებთ!— სთქვა ციმფამ.

— სალვთოები-კი არას დაგვავიწყდება, მაგრამ... იმ კვირია ვაპირობთ,— დაამშვიდა ერთმა ციმფა.

— გვალვა-კი არა, მე მიკვირს, რომ ღმერთი მარტო ამას გა-კმარებთ და ცეცხლს არ მოუდებს ქვეყანას! ვის გაუგონია, რომ მართლმადიდებელმა ქრისტიანემ იოანნე ნათლისმცემლის თავის-კვეთის დღეს გუთანი შაობას და ხნას? განა იმ ნახნავში უნდა გა-სტყვრეს რამე? ცოტაც არის თქვენთვის ეს სასჯელი ღვთისა!

— ღვდელო, ე ღმერთ ქვეშ ნუ გვაგდებ, თორე...— უთხრა ისევ ნინიას ძმამ.

— თორე, სკუფია-კი არ გამიბრუნო უკან!

— ვისი ბრალია, ღვდელო, რომ კვირა უქმე დღესა ვტეხამთ? ი ზარი რიჰთვინა ჰკიდია, იმიჰთვინ არა ჰკიდია, რო კვირა-უქმე დღე შაგვატყობინოთ? რატო არ გვირეკავთ, როცა უქმეა?— წა-რმოსთქვა კიდევ სხვამ.

— ე ბიჭ ბუჭეს რა ყურს უგდებ, ბატონო!— უთხრა მღვდელს ერთმა ხანში შესულმა კაცმა: — ვერც არავინ სკუპიას გაგიბრუნებს და ვერცა!.. შენ ერთი ეს სიკეთე გვიყავი, რომ ერთს კვირა დღეს გამობრძანდი სასოფლოზე და კვირა-უქმე დღე შევკრათ ისე, რომ ველარავის შეეძლოს მუშაობა. და თუ გასტეხამს ვინმე, ისე დავარბოთ, რომ სიკვდილამდინ ახსოვდეს.

— მაგაზე ადვილი რა არის: თუნდა დღესვე დავწეროთ. აი ცხედარს დავასაფლავებ, გამოვივლი. დავწეროთ ერთი მაგარი ქა-ღალდი, შავაჩვენოთ ღვთის პირით, ვინც იმუშაოს და კიდეც დაი-რბეს,— სთქვა ესა და შეუდგა ისევ თავის გზასს კრებული.

— ისე გვიყავ, შენი ჭირიმე, ისე!— მიაძახა რამდენმამე.

ცოტა ხნის შემდეგ ერთის პატარა წნულის სახლიდან გა-მოასვენეს ცხედარი შეუმოსავის კუბოთი. ცხედარს გამოჰყვა თხუ-ომეტიოდე მანდილში გახვეული დედაკაცი. ორი დედაკაცი ამოჯ-დომოდა მხრებში ჭირისუფალს— გარდაცვალებულის ქვრივს, რო-მელიც „ზარით“ მოტირალთ არ აქცევდა ყურადღებას და, რაც ხმა გაუწვდებოდა, გაჰკიოდა: „სად მიხვალ, რო მიჰდიხარ, შე ულმერთოვ!.. ვის ამწყრალებ შენ საცოდავ ცოლშვილს!.. ვინ უნდა უგდოს ყური და უპატრონოს შენს პატარა ილიას!“

ჭირისუფლის ხმა იცნო ერთმა პატარა ოთხი-ხუთი წლის ბავშვმა, რომელიც იქამდის იჯდა პერანგა, ფეხ-შიშველა და თავ-შიშველა თავის ტოლებთან და ხუხულას აკეთებდა. დაანება თავი

ხუხულას კეთებას და გაექანა იქით, საითაც ცხენდარი მიჰქონდათ, ყვირილით: „ვაიმე, დედილო!.. ცად მიქვალ, ეი!?..“

მზე კარგად იყო გადახრილი, როცა კრებულმა გამოიარა სასოფლოზედ, სადაც ერთი კაციც აღარ იპოვებოდა. აღარცა-კი მღვდელს მოჰგონებია ქაღალდის დაწერა, მწათე ოხუნჯობდა ჩვეულებისამებრ, დანარჩენნი-კი გულიანად ხარხარებდნენ.

III

ბ ა ტ ო ნ ე ბ ი.

ლიდმარხვაა — საღამო ხანი. ერთს პატარა წნულის სახლში, რომლის კარებიც დია იყო, შევიდა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის ქალი. ქალს თავზედ ედო ძველი ჩიხოლა, ბეჭებზედ გადაფენილი. შევიდა თუ არა, კარები მოხურა.

— გოგო, რა დაგმართებია, რადა ჰხურამ კარებს? საღამო ხანია, გააღე, ანგელოზი შემოვიდეს! — მოესმა ქალს ცეცხლა პირიდან. ქალი მიბრუნდა კარების გასაღებად და პასუხად მისცა:

— იჰ, რას ამბობ, ბები, ვერა ჰხედამ, ცივა! ეხლა ანგელოზს კარში რაღა უნდა? მზე ჩასულია.

— იქნება დარჩა სადმე!

ქალი ფეხებს ითბობდა ცეცხლზედა, როცა ამ სიტყვებზედ უპასუხა:

— დარჩა დ ავმა ანგელოზმა რომ შემოუსწროს?

— ავი ანგელოზი როგორ გაპბედავს, ხშირ ბინდამდინ ფეხი გარეთ გამოდგას!

დაბინდდა, კარები მიხურეს. შუა ცეცხლმა და მარჯვენა კუთხეში, თაროსთან ანთებულმა ბაზმამ*) გაანათა შიგნიდან სახლი. სინათლეზე ჩანდა ყოველისფერი, რაცა-კი შეადგენდა სახლის მორთულობას ან მოწყობილობას. ოთხივე კედელი სახლისა, წნელით დაწნული დირეებზედ, სქლად იყო გალესილი ძროხის განავალით და სხვა-და-სხვა ნაირად დაჭრელებული. წმინდა წნელით ხელოვნურად გაწნული სხვენი ბოლისაგან ძალზე იყო გაშავებული. მხოლოდ ცეცხლის პირდაპირ არ იყო გაწნული სხვენი; აქ იყო ჩამოკიდებული პატარა ჯაჭვის საკიდელი. საკიდელს ზემოდ, დედა-ბოძისაკენ, კერის პირდაპირ ეკიდა „ბობო-

---

*) დანაყილი და დასორსლებული ნიგოზი. ამას აანთებენ იმ სახლში, რომელ ოჯახშიაც ყვავილი ადგას, რადგანაც ბაზმის სუნი იამებათ ბატონებს საყნოსველადაო.

ლა“ *), რომელსაც სამი ფრთა კიდევა ჰქონდა დარჩომილი. დედა-ბოძის ძირში იყო დარჭმული და ზედვე წნელით მიკრული შვინდის ხის ჩხა, რომელშიაც იდგა თიხის სახაში. სახაშის ზემოდან დედა-ბოძს ჰქონდა მიკრული სამგან წითელი კვერცხის ნაჭუჭები. დედა-ბოძს უკან კედელზე იყო მიდგმული თაბრო, რომელზედაც ელაგა თიხის ჯამ-ჭურჭელი, ერთი პატარა ყურიანი ქვაბი და ერთიც ტაბაკი. მარცხენა კედელთან, ცეცხლის პირდაპირ, ორი პატარა ბოძი იყო დარჭმული; ბოძებზე გადებული ხიდები კედელში იყო დამაგრებული. ხიდებზედ იდგა პურის ვარცლი, ზემოდან ხონჩა დაფარებული. ამავე მხარეს, კუთხეში, კარებთან იდგა ფქვილის გოდორი. მარჯვენა მხარეს, კარებს უკან, იყო გაკეთებული ქვეშაგების დასალაგებელი ისევე, როგორც ვარცლის დასადგმელი; ახლა-კი არაფერი ელაგა ზედ. მარჯვენა კედელზედ გაბმული იყო უსურვაზის წნელი და ზედ კონკ-მანკები იყო გადაკიდებული. ერთგან კეჩოზედ ეკიდა პატარა კალათა. უკანა კუთხეში, იმ ადგილს მაღლა, სადაც ბაზმა ენთო, იყო მოფენილი ბატონებისათვის. კუთხეში დამაგრებულს პატარა ფიცარს ჰქონდა გადაფარებული სხვა-და-სხვა ნაკუწები. ზედ ეყარა ჩამიჩი და ელაგა თითო-თითო ვაშლი, ჩურჩხელა და წითელი კვერცხი. ცეცხლა პირას, მარჯვნივ, იწვა ნაბადზედ თორმეტის წლის ბიჭი, ყვავილით ავადმყოფი, და ეძინა. თავით ედო მსხვილი ჩითის ბალიში, ბარცაკალზედ მიდებული, და ზემოდან მსხვილი ჩითისავე საბანი ეხურა. ავადმყოფს თავით უჯდა დედა, ზურია თვალიაშვილის ქვრივი თამარი. სიკვდილთან ერთად მოისპო სახელიცა და გვარიც ზურიასი: იმის სახლსაცა და ობოლსაც ეხლა ყველანი ეძახოდნენ ოქროულასას—თამარი იყო ოქროაშვილის ქალი.

ავადმყოფს ფეხით ეჯდა მეზობლის დედაკაცი ქეთო, კარგი დამკვრელი ჩონგურისა, მოზლაპრე და საშინელი ხუმარა, თუმცა კი ცუდის შვილებისაგან გული ძრიელა ჰქონთა გატეხილი. მეორე მხარეს ნეჭაზედ, კერასთან, იჯდა ოთხმოცის წლის დედაბერი „შამანდუხა“. იგი იყო ქალი შამანდუხაშვილისა და შემოკლებით შამანდუხას ეძახოდნენ ყველანი.

შამანდუხა ძრიელ ახალგაზდა დარჩა ქვრივად, მაგრამ მეორედ გათხოვება აღარ ინდომა, თავი დასდო სამს ვაჟი-შვილზედ და ისინი კაცად აქცია. ეხლა შამანდუხა სავსე იყო შვილიშვილე-

*) ოქროულა დადგება ხოლმე დიდმარხვა, ერთ თავს ხახვს გაუკეთებენ ხელში შვიდ ფრთას—ბატისა იქმნება თუ ინდაურისა, რამდენი კვიოაც გავა, იმდენ თითო ფრთას აძრობენ—ამას ეძახიან ბობოლას. გარდა ამისა, რომ ბობოლას საშუალებით დიდმარხვის კვირეებსა სთვლიან. ბავშვებსაც ეშინებენ, რომ მარხვა არა სჭამონ.

ბით. იმისმა შვილებმა მხნეობით ქვრივ-ობრის ქოხი შეძლებულ ოჯახად გადააქციეს. ამ გარემოებით ძრიელ თავი მოჰქონდა შამანდუხას და ყველას თავის გამჭრიახობას შეჰკვეხოდა. როცა შამანდუხა მოუძლურდა ისე, რომ საქმის გაკეთება აღარ შეეძლო, ატაცებულივით გახდა. ზოგჯერ რომ ჭკვიანურად ელაპარაკნა, ზოგჯერ ისეთ ლაპარაკს მოჰყვებოდა ხოლმე, რომ კაცს მთლად სულელი ეგონებოდა. შინაურს, გარეულს, დიდს, პატარას, ხუმრობით, თუ მართლა, დედ-მამას ერთმანეთში ურევდა; ხანდისხან ყავარჯენსაც იშველიებდა ხოლმე. როცა მოსწყინდებოდა შვილებისა და რძლების ლანძღვა-ბინება, დაიჭერდა ყავარჯენს, გაიკეთებდა სარტყელში ბურნუთის კოლოფს და ჩამოუვლიდა მთელს სოფელს რიხრიხით. საცა ჭირი იყო, ან ლხინი, უიმისოდ არ იქნებოდა; დაჭპატიჟებდნენ თუ არა, ის მაინც იქ იყო.

შამანდუხას ქვემოდ დამწკრივებულნი იყვნენ სამი მეზობლის გოგო იავნანის მთქმელნი. ყველაზედ ბოლოს იჯდა ახლად მოსული, თავზე ჩიხოლა დახურული გოგო, და გულუხვად აყრიდა ცეცხლს ჭიგვის ნაჩეკებს, რომელიც ექუჩა ცეცხლის ბოლოს. როცა გათბა კარგად, გოგო მაკამ დაიწყო:

— ქა, მამულაანთ სახლში კიდევ არ იპოვეს ჯადო.

— ვიშ, რაღა ვქნა ქა!—წამოიძახა ქეთომ:—აკი ვერ გამოლიეს გეთაყვანეთ, ქა!

— რა ვიცი, ქა, ქონდარივით კი მოფშუკა იმოდენა ოჯახი ვილაცა იყო და!—სთქვა თამარომ.

— არტემამ მოლა მოიყვანა,—დაიწყო ისევ მაკამ:—მიწა გაშინჯა და თქვა, რომ მიწაში აღარ არი ჯადოვო. მემრე გახსნა კარაბადინი და კარაბადინში ამოვიდა, რომ ყველაზე დიდი ჯადო დარჩომილაო და შიგ სახლის სახურავშია დატანებულიო. თუ სახლს დაქცევთო, რომ ის ჯადო ვიპოვო და ამოვიღოვო, უწინდელი სარჩო-დოვლათი ისევ დაბრუნდება ამ ოჯახშიო.

— უი, ქა, მულაბანა! ი ლამაზი ხე-ტყე აყრია და უნდა კი გაოხრდესო,—წარმოსთქვა მოზუზუნებით ქეთომ:—იმას ხომ არაინ მიუდგება, დაჯადოიან-ქარიანებულია.

— არტემამ პირობა მისცა, რომ მე ავიღებ ხე-ტყესაო. თუმცა დაჯადოიან-ქარიანებულიაო, მაგრამ რა ვქნაო, იოლას უნდა წაგიყვანოთ, მირონი მაქვს თქვენზე მიღებულიო.

— ი ღმერთმა კი უშველოს, რომ ე მაგრე ხელს ახმარებს!—სთქვა თამარამ.

— აკი ჰშველის. ამბობენ, იგეთი სახლები წამოიჭრაა სიღნაღშიო, რომ სუ ატაჟ-ატაჟიანიო, ბატონიანთ სახლი კიდევ ეცადრებაო,—უპასუხა ქეთომ.

— ნეტა, ვინ იქნებოდა ისეთი ულმერთო, რომ ეგრე გაავსო ჯადოებით? — დააბოლოვა მაკამ.

— ნეტავი მითხრა, რას მიედ-მეედებით! რომ არა იცით-რა, რატომ თქვენთვის არა ჰყრიხართ? ის ოჯახი ეშმაკებისაგან იყო აშენებული და ივრეე ეშმაკებმა წაიღეს! — წამოიძახა შამანდუხამ.

ყველა იქ მყოფთ გაგონილი ჰქონდათ, რომ მამულაანთ ოჯახს როდისღაც ეშმაკი ჰყოლია დაპატრონებული, და უნდოდათ როგორმე შამანდუხა გამოეწვიათ ლაპარაკში და მისგან დაწვრილებით გაეგოთ ეს ამბავი.

— მამულაანთ სახლში, — დაიწყო შამანდუხამ სვენებ-სვენებით, — დათიამდინ კუდიანები არ გამოლეულან... დათიას მამა, პაპა, პაპის-პაპა სუ კუდიანები ყოფილან და დათიაც ხო კუდიანი იყო... დათია მოკვდა, სახლში კუდიანები გამოილიენენ და სარჩო-დოვლათიც გაქრა... მე ახალი პატარძალი ვიყავ, როცა დათიას მამა მოკვდა. ამბობდნენ, მკვდარს ერთი ციდა კუდი ჰქონდაო... დათიას პაპის-პაპა ძრიან ღარიბი ყოფილა და სხვას მეცხვარეთა ჰდგომია... ერთხელ შუაღამისას ცხენით შინ მომავლებულა და ბარჯაოვთან რო მოსულა, ერთი ციკანი დაუნახამ; გამოსდგომია და ის წყეულიც დაჰჭერინებია... შამოუდვია ცხენ წინ, გაუვლია ცოტა გზა და ციკანი გაწეწილ ალად კი გადაქცეულა...

ყველამ პირჯვარი გადიწერეს და წამოიძახეს: „დასწყევლოს სამას და სამმა წმინდა გიორგიმაო“.

— წამოიყვანა, მაიყვანა შინ, ფრჩხილები დააჭრა და იმის მალვით კერას ქვეშ ამოდო... ის წყეული არაფერს ამობდა... მისცემდნენ კოკებს, წადი წყალი მოიტანეო, ის კიდევ წავიდოდა, დაამტვრევდა კოკებს და მოვიდოდა... ერთხელ უთხრეს: „წადი, ალო, კოკები დაამტვრიევო!“ ალი წავიდა, წყალი მოიტანა... მას უკან სულ ალურად დაუწყეს ლაპარაკი... ჰყვანდათ რამდენიმე ხანი და იმსახურებდნენ... ერთხელ ყველანი წირვაზე წავიდნენ და შინ მარტო ალი და ერთი რვა წლის გოგო დააგდეს... იმ წყეულმა ჰკითხა: „ქაჯან, ჩემი ფრჩხილები სად არი, მასწავლე და წითელ ზიზიას ჩაგაცმეო“. — ემანდ, კერას ქვეშ არიო“... მაშინვე გამოიღო ფრჩხილები, გაიკეთა და გოგო სულ ერთიანათ დაგაზრა... თითონაც გაიქცა... წირვიდან რომ მოვიდნენ, გოგო სისხლში მობასრული და მკვდარი დახვდათ და ალიც აღარსად იყო...

— იმ ულმერთოებმა ალის სინაბარას როგორ გაუშვეს! — წამოიძახა ავადმყოფის დედამ.

— აქაურობას კი ჯვარი ეწეროს და, იმლამესვე მივიდა თურმე ალი და სანათურიდან შაჰძახა: „თქვენაც დაგეწყევლათ ცეცხლი

იგრე, რო თავ-ს დღეში აღარ ეენთოსო“... იჰ დღეა და მაჰ დღეა, იმათ ცეცხლი აღარ ანთებიათ, სუ ბნელაში ისხდნენ... ი კაცსაც ჩემეეკიდა ის წყეული და მოსვენებას არ აძლევდა: ხან შინ მიუხდებოდა, ხან ფარეხში, და ეძახოდა:

— ი ვა-ნე!

ამ სიტყვებზე ყველამ პირxვარი გადიწერა. დედაკაცმა კვლავ განაგრძო:

— ხან გასათხოვარ ქალად მეეჩვენა, ხან ბებრად, ხან მაxლაxუნად გადაიქცა და ზედ დააწვა — არ აძლევდა მოსვენებას... ერთ-თხელ კიდევ ფარეხიდამ მომავლებულიყო შინ ღამე; იმ წყეულებს ფერხული დეებათ გზაზე... რო დაინახა ივანე, ეაქანდ ის წყეული ალი, ჰტაცა ხელი, მიიყვანა და თავიანთთან ჩაბა ფერხულში... შაისვრიდენ თურმე მაღლა და მღეროდენ:

შაჰამანდი გავაკეთე, უმარილო, უფშრუკილ,
შენისთანა ბერი კაცი ეგრე შევაკუნტრუშო...

დაუდგნენ თურმე, ახლა შენ. ომღერეო. — ... ...

ნატრის თვალი წამოიღო... აკი გაუგო იმ წყეულმა და შაუკრა ისიც...

— ვიშ ქა?—წამოიძახეს იქ მყოფთ, და დედაკაცმა კი კვლავ განაგრძო:

— დარჩა ყელ გადაგდებული... მერმე მეეჩვენა ის წყეული მზეთუნახავ ქალად და უთხრა, თუ შემიყვარ ეფო ღა შენ შვილისშვილსაც მე დამილოცამო, ცეცხლს აგიხსნი წყევლასაო, ნატრის თვალსაც გავხსნიო და იგრე გაგამდიდრეფ, იგრე, რო შენ თავს შენვე დანატვრიდეო... თუ ჩემ ნებას არ დაჰყვები, მაგასაც არ გაკმარეფ და სადმე კლდეში გადაგჩეხამო...

ამ სიტყვებზედ ყველანი შიშის კანკალმა აიტანა: იწერდნენ პირჯვარს და სწყევლიდნენ ! ამას და სამის წინდა გიორგიის სახელით.

— იმ თვალ გახეთქილსაც,—დაიწყო ისევ შამანდუხამ:—მეტი რა გზა ჰქონდა! ადგა და მიჰყვა იმი ნებას... იქ დღე და მაჰ დღეა, ცეცხლიც ენთებოდათ და ნატრი თვალმაც დაიწყო მუშაობა... ფქვილის გოდორში ჩაჰდებდნენ, ფქვილის გოდორი ივსებოდა, ქვევრში ჩაჰდებდნენ, ქვევრი ივსებოდა... რაშიაც ჩაჰდებდნენ, სულ პირ გადმოჰდიოდა. ამაობაში სახლმა წამოიწია წინ და გამდიდრდა... ივანე რო მოკვდა, ახლა იმისი უფროსი შვილი შაიყვარა. მოჰყვა და დათიამდინ მივიდა. ვინც ალსა ჰყვარობდა, ნატრის თვალიც იმასა ჰქონდა, სხვას არ უგდებდნენ ხელში... რამდენჯერ გამიგონია ჩემ ახალ პატარძლობაში: „დათიას საფუტკრეში მააწრეს, ალსა ჰკოცნიდაო“, „დათიას ვენახში მააწრეს ალთანაო“, „მავან ალაგას მააწრესო“... ის წყეული თურმე ისეთი იყო, როგორც ამამავალი მზე... ხო იმთენი გამოიცვალა და კიდევ თურმე გასათხოვარ ქალსა ჰგვანდაო... არც დათია, არც სხვები ღამ-ღამე შინ არ იძინებდნენ თურმე, სუ ალის მუსაიფში იყვნენ და ნატვრის თვალით კიდე საქმეს აკეთებდნენ... კუდიანობა ღამეს ტაბაკელაზედ*) მიდიოდნენ და იქ ქაჯებთანა და ქალატურებთან კატებით ჯირითობდნენ... რო ივსებოდა და ივსებოდა ი ოჯახი და ყელამდინ მაიყარა, სხვა ალები წეეკიდნენ, როგორ თუ შენ ჩვენი დოვლათი სხვაგან მიგაქვო, და ჩხუბში მოკლეს... გამწარდა დათია და როგო გამწარდა! სიკვდილამდინ პირი არ მოუპარსნია, სუ გლოვობდა... მოკვდა თუ არა დათია და ნატ-

*) ხალხსა სწამს, რომ ყველიერის აღების ღამეს და დიდ-ოთხშაბათის ღამეს ყველა კუდიანი ადამიანები—ადამიანები ქალატურები იკრიბებიან ერთს ტრიალ მინდორზედ, რომელსაც ტაბაკელა ჰქვიან, და ეშმაკებთან ერთად კატებით ჯირითობენ. ამისთვის ამ ღამესაც კუდიანების ღამეს ეძახიან.

თვალიც გაჭრა საიდღაც და ოჯახიც წავიდა უკულმა. ეშმა-ს მიჰცეს ცხოვრება და ისევ იმათვე წაიღეს და ჯადოებიც ივე უგდეს.

ამ სიტყვებს რო ათავებდა შამანდუხა, ავადმყოფმა ძილში ირილი დაიწყო:

— ვაიმე, დედავ, მიშველე!

— რა იყო, შვილო, შენი ჭირიმე?—გაეპასუხა დედა.

ავადმყოფს გამოეღვიძა და შესწყვიტა ყვირილი. როცა დამ-ედა, ჰკითხა დედამ:

— რათა ჰყვიროდი, შენი ჭირიმე, ძილში?

— გუდურაზე ვიყავ სიბმარში და ბრმა ღელიდამ ერთი დიდ-ლება დედაკაცი გამამიდგა, უნდოდა დავეჭირე, ის კი იყო მი-ედა, რო არ გამომღვიძებოდა.

— ჯვარი გწერია, შვილო! ბატონების ანგელოზი ყოფილა შენი შეშინება ნდომებია,—უთხრა შამანდუხამ.

— ქა, იმ დასაქცევმა მაკამ ე რაღა მააჭორა, რო ლაპარაკ-გაგვაბა და აქამდინ იავ-ნანა არ შასმენიათ ბატონებს!—სთქვა ბოლ.

გოგოებმა მორთეს იავ-ნანა:

„იავ, ნანა, ვარდო, ნანა, იავ, ნანინაო!
„აქ ბატონები მობრძანდნენ, იავ, ნანინაო!
„ბატონებისა დედასა
„ვარდნი უსხედან კერასა;
„ვერთ უდგა ოქროს აკვანი,
„ია და ვარდი ჰფენია;
„შიგ უწევს ბატონიშვილი—
„ბატონიშვილი ლევანი;
„პირს არტყია მარგალიტი,
„მარგალიტისა მტევანი.

—

„იაგუნდის მარანშია
„ღვინო დგება ლალ-ს ფრისა;
„შიგ ალვი ხე ამოსულა,
„ნორჩია და ქარი ჰშლისა;
„ზედ ბულბული შამამჯდარა,
„იადონი მხრებს უშლისა.

სხვა ნაწყვეტ-ნაწყვეტი ლექსებიც ბევრი თქვეს და უმატებ-ღენ „იავ, ნანინა“-ს. ძლიერ ხმა შეწყობით ამბობდნენ გოგოები „იავ, ნანინას“ და საამური გასაგონიც იქმნებოდა, რომ დანარჩენ-

თანაც მონაწილეობა არ მიეღოთ. ქეთო ბანს ეუბნებოდა; ავად-მყოფის დედა სულ ერთსა და იგივეს გაიძახოდა: „ჩემი ილა მამირჩინეთ, აგრემც გენაცვალებითო“.ს. შამანდუხაც თავის ლექსს იმეორებდა:

ობლები კარგად გავზარდე—კაცად ვაქციეო;
ჩემი მიხა გუთანს ასხამს, გუთანს გაიტანსო;
სოლომანი მთაზე წავა, ყველს ჩამოიტანსო;
ზაქრო კიდევ მარილს წავა, მარილ მოიტანსო.

რამდენმეჯერმე მიჰმართეს გოგოებმა შამანდუხას:

— ბები, ნუ გვაშლევინებ, ბები!—მაგრამ პასუხად შამანდუხა ყავარჯენს უთავაზებდა თავში და დედ-მამას შეუკურთხებდა ხოლმე.

„იავ, ნანა“ დაბოლოვდა ცეკვით. ყველამ, შამანდუხადან მოკიდებული, იცეკვეს ჩანგურზედ. ცეკვის შემდეგ ოქროულამ მოჯარეა ვახშამი—ცარიელი პური და მჭადი, რადგანაც არაფრის მოხარშვა არ შეიძლებოდა ცეცხლზედ—ბატონები გაჯავრდებოდნენ.

ვახშამს უკან გოგოებმა სთხოვეს შამანდუხას:

— ბები, ერთი ზღაპარი სთქვიო!

იმანაც დაიწყო:

— ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ქალას ჩიტი მამკვდარიყო;
მაღლა შავდე, გამხმარიყო,
ჩამოვიღე, დამბალიყო;
დიდსა ქვაბში არ ეტევა,
პატარაში ლაღი იყო;
ასმა კაცმა ვერ შეჭამა,
ერთი კაცის ლუკმა იყო.

— იჰ, ბები, ეგ-კი არა, კარგისა თქვი!

— მე ამაზედ კარგი არ ვიცი, კარგი კიდეჯ თქვენა თქვით. აგე მოზღაპრე!—მიუთითა ქეთოზედ.

— უი ქა, სიკვდილსაც დაჰვიწყებიხარ! ძალო, ერთი ბრმა ხემწიფის ზღაპარი თქვი, აგრეძც შაგრჩება ქმარი და შვილი!—უთხრა მაკამ.

ჩაახველა ქეთომ და დაიწყო:

— იყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რა იქმნებოდა! იყო შაშვი მგალობელი, ღმერთი თქვენი მწყალობელი. იყო ერთი ღარიბი და საწყალი კაცი. თავის ბედობაზე არაფერი გააჩნდა ცასა და ქვეყანაჰ შუა. ადგა, დაიწყო სიარული და მივიდა ერთ მდიდარ კაცთან. ამ მდიდარ კაცს მოჯამაგირედ დაუდგა ერთი

წლობით. ყავლი რო გაუთავა, ჯამაგირში ერთი ფური გამაართვა, გამოიგდო წინ და წამოიყვანა. რომ მოვიდა შუა გზას, გამოუვარდა მიწი მგელი და ეს ფური ანაჰდეულად გააქრო. დაღონდა ეს საწყალი! ადგა და წავიდა, იგრეე ნაალავარიან მივიდა და უთხრა: ესე-ესე მომივიდაო, ფური მიწი მგელმა გამიხეთქა, იგრეე დაგიდგები მოჯამაგირედაო. წლის გასულს კიდეე ფური გამაართვა თავის ჯამაგირში და წამაიყვანა. ის ფურიც იმავ ალაგს მოუკვდა. დაღონდა და დაძმარდა საწყალი, აღარ იცოდა, რა ექნა! მემრე თქვა: მოდი, ერთი კიდეე ვცდიო და რაც გახდეს, გახდესო. წავიდა მესამედაც, გაუთავა ყავლი და გამაართვა ფური. მაგრამ ეს ფურიც იმავე ალაგს მოუკვდა. ეჰო, ალბად ღმერთს ეგრე ჰწადიან ჩემთვინაო! დაიკრიფა გულ-ხელი და გაუდგა გზას. ბევრი იარა, ცოტა იარა, შამოხვდა ერთ კაცს. ამ კაცმა ჰკითხა, რათა ხარ ე მაგრე დღონებული და დაფიქრებულიო? იმანაც უამბო დაწვრილებით, რაც თავ გადაჰხდა, მემრე უთხრა ამ კაცმა: მანამ შენ იმ მდიდარი კაცის ქალს ცოლად არ შაირთამ, შენი ბედი! და იღბალი არ გაიხსნებაო. იყოყმანა, იყოყმანა და მერე თქვა: მოდი, ერთი ამასაც ვცდიო. ადგა და წამოვიდა იგრეე თავის ნაალავართან. იმის ნაალავარს უანგარიშო და უთვალავი სარჩო-საცხოვრებელი ჰქონდა და ერთად-ერთის ქალის მეტი არავინ გააჩნდა თავის ბედობაზე. ეს ქალი ორივ თეძოებით კოჭლი იყო, ორივ თვალებით ბრმა, დაჩენჩილი, ქაჩალი და კუზიანი. როცა მოვიდა და უთხრა: შენი ქალი მომათხოვეო, მდიდარ კაცს სიცილად არ ეყო.

— რად გინდა, შვილო, რა ხელს მოგცემსო.

— მაგრამ აღარ მოეშვა. ადგა და იმანაც მიათხოვა ქალი და თავისი სარჩო-საცხოვრებელიც იმას დაუმტკიცა. უყურა, უყურა იმ მახინჯ ცოლს, შამაიკრა თავში და სთქვა თავის გუნებაში: ე რა შაცდენა შამივიდაო. გულმა ვეღარ გაუძლო, ადგა, დაანება თავი ცოლსაც, იმოდენა საცხოვრებელსაც, გაჰწია და წავიდა. იარა, იარა და მივიდა ერთს ქალაქში. ამ ქალაქში ხემწიფე მომკვდარიყო და ანდერძად დაეგდო, რომ ვისაც ჩემი მტრედი დააჯდეს, ხემწიფედ ის დასვითო. ააფრინეს მტრედი ჯერ ერთხელ, ამ კაცს დააჯდა. მაგრამ უარი თქვა, მე ხემწიფობა არ შემიძლიანო. მეორედ ააფრინეს, კიდეე იმას დააჯდა. კიდეე უარი სთქვა. ააფრინეს მესამედ. მესამედაც იმას დააჯდა. კიდეე უარი სთქვა. მაგრამ ხალხმა აღარ გაუგონა და დასვეს ძალად ხელმწიფედ. რახან არ მეშვებითო, მაშ თვალები დამთხარეთო, რო სამართალი არავისკენ არ გადავწიოვო. იმათაც დასთხარეს თვალები. მემრე უბრძანა, ერთი ვაშლიც გასპერით შუაზე და ნახევარ ნახევარი დაჰკიდეთ ცალკეო. როცა

მე სამართალსა ვსჯრიდე, იმ ნახევარ ვაშლებს უყურეთო. თუ ისინი შეერთდნენ, სამართალი სწორედ არ იქნება გადაჭრილი და მითხარითო. ისე სწორედ სამართლობდა ეს ბრმა ხემწიფე, რომ არც ერთხელ არ შეერთებულან ი ნახევარ-ნახევარი ვაშლები. ერთხელ ვიღაც ბერიკაცმა ჩამოიარა. ჯორცხენაზე იჯდა. ერთ ქვრივ-ოხერ დედაკაცს წყალზე ხბოიანი ფური მიჰყვანდა და ბერიკაცმა რომ გამოიარა, ხბო ჯორცხენას დაედევნა. დედაკაცი გამოუდგა, მაგრამ ხბო ვერ

IV

ბაკცეული შვილი

თიბათვის პირველი რიცხვებია. ქერები მომზადებულია მოსამკალად, ყანებიც ამრეშებულა. სოფელ მრავლეთის ერთ მცხოვრებელს გაუსინჯავს თავისი მოსავალი დი საღამო ხანზედ მოდის შინისკენ. გამოიარა ოქროულას სახლის წინ და, რა დაინახა სახლის კარები ღია, შებრუნდა ეზოში, მივიდა დერეფანში და შესძახა:

— ოქროულავ!

— ბატონო! — მოესმა სახლიდან.

— შინა ხარ?

ამის პასუხად ოქროულა კარებზედ მოდგა.

— გაგახაროს ღმერთმა! — ოქროულამ თავი დაუკრა.

— ცივი წყალი არ გიდგა?

ეს კი იყო ეხლა მოვიტანე, — და შებრუნდა შინ.

ფიდია, — ასე ეძახოდნენ ოქროულას, მოსაუბრეს, — დაჯდა დერეფანში სამფეხა სკამზედ; ქუდი მოიხადა, შუბლზედ მოისვა ოფლის მოსაწმენდად და მარცხენა მუხლზედ დაირქო. ოქროულამ გამოიტანა სველი თიხის ლიტრით წყალი. ფიდიამ ჩამოართვა ლიტრა, გამოაფურთხა, ჩაიყენა მერე პირში წყალი, დაახრიალა და გამოღვარა. მერე იწაფა ორჯელ ზეციზედ. „იშვ!.. ცხონდა მამაშენიო!“ და დადგა ლიტრა ძირს.

ოქროულა იდგა ფიდიას წინ, ცოტა მოშორებით. თავი მარჯვენა ხელზე დაებჯინა, მარცხენა ხელი კიდევ მარჯვენა ხელის ნიდაყვთან ედო.

— როგორი მოსავლებია, ჩემო მაზლო? — ჰკითხა ფიდიას, როცა ამ უკანასკნელმა დაისვენა.

— მოსავლები და რა მოსავლები! ამოდენა კაცი ვარ და ჩემს დღეში ამიჰთანა მოსავლები არ მინახამ — ღვთის თვალი შიგა ტრიალებს! ერთი სიტყვით, წელს ვერავინ დაჰძრავს თავის მოსავალს.

— ზეციერმა გამჩენმა და ღვთისმშობელმა დედამ მძანოს!

— ოქროულავ, მაიტა და ი ბიჭი დამიყენე ან მოჯამაგირედ, ან მეკალოვედ!

— ი, ჩემო მაზლო, ბიჭი ვიღამ შამარჩინა! ბიჭი წამეჩხუბა და ორი კვირაა საითღაც გემექცა. არ ვიცი, ცოცხალი ღა არის სადმე, ავად არი, კარგად არი, ჰშიან, წყურიან, თუ მაძღარია, არა ვიცი რა.

— აბა, მამა გიცხონდა, ერთი რას ამბობ! იმოდენა კაცს რა გაუქირდება? აი, ყვარელში წავიდოდა სამუშაოდ, ეხლა იქ ვენახების თიბაა გახშირებული.

— ყვარელში წავიდა, თუ სადა, მე კი შვილი დამეკარგა-და!

— ეჰ, ჯეილმა ემაგრე იცის. ივლის, ივლის და ისევ მოვა. სად წავა? რა იყო ახლა, რაზე წაგეჩხუბა?

— ჩემი ცოდო რომ არ დაულიოთ ღმერთმა, ვინც ის გადამირივეს! აუტეხნია, მოჯამაგირედ უნდა დავდგეო. მე კი სიკვდილი მინდა და იმისი მოჯამაგირობა არა.

— ახირებული დედაკაცი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა, უნდა და დააყენე!

— რა ვქნა, ჩემო მაზლო, თუნდა ყველამ ჩამაქვავოთ, მე ილას მოჯამაგირედ ვერ დავაყენებ.

— რა სიზმარი მინახავ, რომ ემაგრე უარზე ჰდგეხარ?

— აის სიზმარი მინახავ, ჩემო მაზლო, რო ნამოჯამაგირალი კაცი აღარც სახლს არგია და აღარც თავს; ან უნდა გაყალაღნდეს, არა-და, ი საცოდავივით, ჯანი და ღონე სხვას უნდა ჩაალალოს.

— შენ მითხარ, რო კაცი თითონ იყოს და აღა შახვდეს ღვთისნიერი, თორე ეგენი სუ ტყუილია.

— აბა, ეხლა მადლი ქნეს ი ჩემი ცოდვით სამსეებმა, ვინც ის გადამირივეს?, ვამობდი, ორიოდე კაბდო ნაჩიჩქნი ქვ, იქნება ღმერთმა მოჰხედოს და ქვეყანაში გეერიოს-მეთქი. ვინ მოუმკის, ვინ გაულეწავს? უნდა წავიდეს, დეეღუპოს. აი, ამაზე მეყრება გულს და მეკიდება თავს. ვამობდი, ბატონ-ყმობა გადავარდა, თავის ქოხს ვერავინ მააშორებს და თავითვინ იმონაგრებს-მეთქი და დახე, რა მიყვეს იმ ჩემი ცოდვით სავსეებმა!

— რა გულს იყრი, განა იქ დარჩება რა! საცა არი, გამოვლენ ეხლა, ვინც სამუშაოდ წასულები არიან, ქერები მოსამკალი გახდა.

— ნეტავი, შენი შვილების სიცოცხლით, მშვიდობით მოვიდეს და თუნდა ჩხირს გვერდად ნუ აქცევს.

— ნუ გეშინიან, მოვა, მა სა წავა, და ჩხირსაც აქცევს გვერდად და სუყველასაც გააკეთებს.

— არა, ჩემო მაზლო, მე იმისი იმედი სულ აღარა მაქვ, ძალიან გადამირივეს, რო მეტი აღარ იქნება.

— მაშ დააყენე მოჯამაგირედ რიგიან კაცთან, ჯამაგირს ჯამაგირად აიღებს და კიდეც გამოიჯეკება ყველაფერში.

— ნაცარს ავფშრუკავ და იმასა ვქავმ და ილას კი მოჯამაგირედ არ დავაყენებ!

— ეი, რა უნახავ ამ დედაკაცს, თქვენმა გამარჯობამ! არც ჩემთან დააყენებ? ჩემი ამბავი ხომ იცი?

— რა ვქნა, ჩემო მაზლო, გაგიტყდები და გეტყვი, ციდამ

ჩამოსული ანგელოზი რომ იყვეს, იმასაც არ დაუყენებ! უფრო პატარა იყო, როცა ღვდელი მეხვეწებოდა, დამიყენე მოჯამაგირედაო, ციმფამ კარი და ბანი აღარ დამიგდო. დღე ერთი იყო და მოსვლა ათასი. ი საცოდავის სამკვდროც ზედავე მემართა. მაგრამ სამკვდროც მოვიშორე და კოდ პურსაც ვაძლევდი ჩემი ქვრივ-ოხრობით და ბიჭი კი არ დავუყენე. ეხლა რო სხვას დავუყენო, ხო წყევლითა და ქოქვით ამიღო მღვდელმა! მერმე იმ დროულის წყევლა რა ხეირს დააყრის? ესეც რო არ იყოს, რა ვქნა, ი საცოდავის ანდერძს ვერ გავტეხამ. სიკვდილის დღემდის ცოდოს მაყრიდა: „ილა მოჯამაგირედ არავის დაუყენოვო და ჩემსავით ჯანი და ღონე სხვისათვინ არ შაალევინოვო.“

ამ ლაპარაკში იყვნენ, როცა ეზოში შემობრუნდა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლის ყმაწვილი ბიჭი: მაღალ-მაღალი მსხვილ ცხარ-ბეჭიანი, მოგრძო და წითურ პირისახეზედ ახლად ჰქონდა ამწვანებული წვერ-ულვაში. შავი დიდრონი თვალები ჰმოწმობდნენ, რომ მამაცი და ხასიათ მტკიცე უნდა ყოფილიყო. ყმაწვილს ბიჭს წელზე ერტყა ახალი ქამარ-ხანჯალი, თეთრი ახალი ჩოხის კალთები უკან შეეკალთავნა, წელში გაერჭო ნამგალი და ზურგზე ეკიდა გუდა. გვერდზედ მოეგდო ნაბდის ქუდი და თავმომწონედ მოდიოდა პირდაპირ სახლის კარებისაკენ. არ ვიცი, დაბრუნების იმედი აღარა ჰქონდა, თუ ყმაწვილი სრულიად გამოცვლილი იყო ახალ ტანისამოსში, მაგრამ ოქროულამ კი ვერ იცნო ილია და თვალი გაუშტერა.

— ეჰ, ილა არ არი?—წამოიძახა ფიდიამ.

თითქო აქამდის ძილში იყოო და ამ სიტყვებმა გამოაღვიძესო, ოქროულამ ერთი შეჰკივლა:

— ვენაცვალე, ხანჯლიანი შვილი მამდის!—მერე გაექანა შვილისაკენ, გადაეხვია და დაეწყო კოცნა.

ილია შევიდა დერეფანში, „გამარჯობა შენიო!“ უთხრა ფიდიას, მოიხსნა გუდა-ნამგალი და დაჯდა. კარგა ხანს მდუმარება ჩამოვარდა.

— აბა, ერთი გველაპარაკე, საით იარე და რა ჰნახე? — უთხრა ფიდიამ.

— ვნახე და მართლა, რა კაი სანახავები ვნახე! მე აგრე მეგონა, ჩვენს სოფელს სოფელი არ შეედრება მეთქი და ეგ ოხერი ყვარელი რა კაი სოფელი ყოფილა!

— ყვარელი რა... გათქმულია! კიდევ ეგ რა არის, ლეკებს არ უნდა ეხდინათ, რო მაშინ გენახა. შამილი მაგი გულიჰთვინ არ იკლავდა თავს! უნდოდა გაღმა მხარი დეემორჩილებინა და ყვარელში დაბინავებულიყო, მაგრამ ი დალოცვილმა რუს ხელწიფემ მაატანა ჩიტივით კაკანათში.

— ჯერ ეხლა რა არი და მაშინ რაღა იქნებოდა? ეი, რა სახლებია, თქვენმა გამარჯობამ, წამოჭიმული! ვენახები კიდენ, რაც იქ უკანასკნელ კაცსა ჰქონია, ჩვენში გაძრიალებულ ოჯახსაც არა აქვ. ძალიან გულ-უხობაცა ყოფილა ყველაფრისა. საცა კი ვმუშაობდით, ყველგან ღვინოს თავზედ გვასხამდნენ. ხალხი დახიბლულსა ჰგავ და სარჩო კი ბევრი ჰქონიათ?

— მოსავალი როგორია?

- მოსავალი რა, ყანებშიაც და ვენახებშიაც ღვთის თვალი შიგა ტრიალებს. ეი, ღმერთო, რატო არსად მინახამ ეგეთი მსხმოიარე ვენახები! იგრე აყრია მტევანი, როგორც ქონქოლი.

— იმიჰთვინ აოკებს მთელ დუნიას, რომ მაგეთი ღვინო მოდის, მაშ! — თქვა ფიდიამ და ადგა წასასვლელად.

— შვილო, რა მიყავ? — დაუწყო დედამ, როცა მარტო დარჩნენ. — რაზე გადამილივე თვალი და გული შენი გზისაკენ ყურებით? რას ამობდი, რო დაგვანებე თავი, მე ცალკე და მოსავალს ცალკე? ვის სინაბარას დაგვაგდე, შვილო? განა იმისთვინ გაგზარდე, რო ეგრე მიყოს მეთქი?

— ეჰ, დედილო, მეც ბევრი ვიჩივლე მემრე, სანამ შევეჩვეოდი სხვაგან ყოფნას, მაგრამ, პირი მერცხვინებოდა, ველარ დავბოუნდი ცარიელი. ვთქვი, რაკი შინიდან ფეხი გამოვდგი, ცარიელი მაინც ნუ დავბრუნდები, მივიტანო რამე მეთქი.

— იშოვნე რამე მაინც?

— ცხრა მანეთი ავიღე. ჩოხა-შალვარში და ქამარ-ხანჯალში ექვსი მანათი დამეხარჯა და სამი მანეთიც ფულად მოვიტანე.

— უი, შენ კი გენაცვალოს დედა-შენი! შვილო, რაკი შენ მშვიდობით დამიბრუნდი შინ და ჩემმა თვალებმა კიდევ დაგინახეს, ოუნდა ცალი ფულიც ნუ მეგეტანა.

— ვაი, ცოცხალი ღა უნდა გემეკვლო მაშინ, რო ხელ-ცარიელი მოვსულიყავ!?

— მართალია, შვილო, კარგი შალავათია ეგ ფულიც. ე შენ კიდე სუ შაჰმოსილხარ, მაგრამ, თუ ჩემ რეგვენ ჭკვას დაუჯერებ და შინადამ ფეხს არ'ად გაჭდგამ, ის ყველას ემჯობინება. სუ ყოველთვინ სხვითა ხელში შაყურება და ღრეჯა განა კარგია, შვილო, რა! გაისარჯე, მოხან, მოთესე, ღმერთი ხელს მოგიმართავს და ყველა ფულია.

— მეც მაგ ჭკვაზე დავდექ, დედავ, ეხლა. გულიდამ გადავიგდე მოჯამაგირობა. ე სამუშაოდ კი ხანდიხან წავალ, და მოჯამაგირედ კი გაქრეს! თავი დღეში ალარ ვიფიქრებ. რო არ წავსულიყავ გაღმა და იქ არ ერჩივნათ ჩემთვინ, მოჯამაგირედ ნუ დადგებიო, იქნება... რაღა იქნება, იგეთ გულზე ვიყავი, რო

უთოვოდ დავდგებოდი სადმე მოჯამაგირედ. მაგ ოჯახს-დასაქ-
ცევმა ფიდიამ იგრე ამისხა ფთები, რო სიზმარშიაც კი მოჯამაგი-
რობა მეჩვენებოდა, მაგრამ ყვარელში კი სულ სხვანაირად გამა-
მიცვალეს გული.

— ვინ იყო ის ღვთის ნათლული, რო შენ ემაგრე გული
შაგიცვალა?—ჰკითხა გახარებულმა დედამ.

— აქედან რო გავედით, ერთ კაცთან ვმუშაობდით ხუთი
დღე ერთმანეთზედ. მე ბიჭები დამცინოდენ, დედა შენმა გცე
მა და გამოგაგდო შინადამო. ერთ დღეს აღა თავს გვედ-
გა. და მკითხა, მართალიაო? მე უამბე, როგორ იყო და იმან მი-
თხრა: „დედა-შენი ძალიან ჭკვიანი დედაკაცი ყოფილა, მოჯამა-
გირობით კაცმა სახლი უნდა აეშენოსო? მოჯამაგირობა პირველი
ბედოვლათობა არიო. შენ დედა-შენს დაუჯერე, შვილო, ის ძა-
ლიან ჭკვიანი დედაკაცი ყოფილაო. შენ ჯერ ყმაწვილი ხარ, რა
გაგეგებაო. ნამოჯამაგირალი კაცი მკვდრათ არი ჩასათვლელიო.
უგულოდ გააკეთებს აღის საქმეს, ყალაღნობას მიეჩვევაო; ერთ-
გულად გააკეთებს და, მაშინ ჯანი და ღონე სხვას უნდა ანაცვა-
ლოსო. მიბრუნდებაო შინ, ან გაყალაღნებული, ან დასნეულე-
ბული და ჭამის მეტს აღარაფერს გააკეთებსო. არა, შვილო, შენ
იგრევ დედა-შენს დაუჯერე და იმის ჭკვას მიჰყეო.“

— ღმერთო და ცისა და ქვეყნის გამჩენო! შენ მოუმართე იმ
შენგან მირონ-ცხებულს ხელი, როგორც იმან მოუმართა ჩემ პატარა
შვილს ხელი საკეთილოდ! აბა, შვილო, ჰნახე, რო მართალს გეუ-
ბნებოდი? დედა კი ცუდს მაინდოჭებს შვილისათვინ და სხვა კარგს?
მაშ რად მამსჯდა ცოდით ი საცოდავი მამა-შენი, მოჯამაგირედ
ნუ დააყენებო. თუ კარგი იყო მოჯამაგირობა იმან ხო მთელი
თავისი სიცოცხლე მოჯამაგირობაში დალივა. აგრე იტყოდა-ეე
ის საცოდავი, როცა ჩალოგინდა ქვეშაგებში და აღარაფერი შეე-
ძლო, და მეც ვალალას ვაყრიდი:

სხვათა მოჯამაგირობას
ადვილად იტყვის ენაო:
დილით ძროხაში მგზავნიდნენ,
საღამოთ ღორისკენაო;
ქორ მეძებრებსაც მატანდნენ,
თანც ინადირე შენაო.
თუ კურდღელი დაიჭირო,
ხორცი ჩვენ, ტყავი შენაო,
და თუ დათვ-მელას დაიჭერ,
ტყავი ჩვენ, ხორცი შენაო.

— აი, რა ცეცხლში ყოფილა მოჯამაგირე აღის ხელში! ეს რო გამიგონია ი უბედური მამი-შენისაგანა, მე ხელი უნდა მოგიმართო იმაჰ შემდეგ?

— ოჯახი დეექცეს ფიდიას, რომ იმან ამაბილბილა, იმ ქვაძაღლმა, იმან! ეხლა, აკი გეუბნები, გულიდან გადავიგდე მეთქი მოჯამაგირობა. ზოგი ეგეც მუშაობით, ზოგი, რაც მამივა, იქიდამ მოვიმხო, ფული მოვაგროვო და ერთი უღელი ბოჩოლა ვიყიდო და მივყვე ხვნა-თესვას. გლეხი კაცი თუ აშენებულა, იგრეგ ხვნა-თესვით.

— ეგე, შვილო, ე მაგითანები იფიქრე და თუ მეც ხელი არ მოგიმართო და ძმასავით მხარი არ მოქცე, მაშინ ჩამაქვავე!

— ცოტა ლუკმა შავჭამოთ, არა გაქვ-რა? დაღლილი ვარ, მეძინება.

- როგორ არა, შვილო, თითქო გულმა შამიტყო, ლობიო შაჭამანდი დავდგი.

ივახშმეს და მიეცნენ ტკბილს ძილს.

V

ღამის მეხრეები.

ერთ საღამოს, მაისში, ორი ღამის მეხრე გააყოლებდა კვალში წყალ დალევინებულ გუთნის ხარს. თეთრი წამოსასხამი ნაბდები გადაეკიდნათ მხარზე გადებულ დიდ ჩომბახებზედ და აქეთ-იქით ყანის პირებში უდგნენ. გუთნის ხარი გამოვიდა კვლიდამ და შეეფინა ერთ ფერდობს, რომელზედაც ხშირად იყო მოდებული ტყის პატარ-პატარა კორომები მაყვლისა და კრიკინის ბარდებით. მეხრეები დაწინაურდნენ და წამოწვნენ სერზედ, საცა თავდებოდა ფერდობი. ფერდობს ქვემოდ გაშლილი მინდორი შემოსილი იყო დასათავთავებლად მომზადებული ჯეჯილებით, რომელსაც წყნარი ნიავი სასიამოვნოდ არხევდა. აყვაყებულის კრიკინისა და მაყვლის ბარდები უხვადა ჰფენდნენ არემარეს სახიამოვნო სუნნელოვანებას; მგოსანნი ბარდებისა თავისის ტკბილის გალობით ატკბობდნენ იქაურობას.

ერთი მეხრეთაგანი დიდხანს იყურებოდა მინდვრისაკენ და სიამოვნებდა მღელვარე ჯეჯილებით. შემდეგ გადახედა ფერდობზედ შემოფენილ გუთნის ხარს და წამოიძახა:

— აი, შენი ჭირიმე, შენი, ჯერანავ, რო გულიანათა ჰბოჭამ! ჰძოვე, შე ქედ-დალოცვილო, შეგერგება!

მეორე მეხრე კი ვერც არაფერსა ჰხედავდა იქაურობისას და

არც არაფერი ესმოდა, გარდა ბულბულის სტვენისა; იმისი გონება სადღაც შორსა ჰფრენდა, ხანდისხან სახეზედ ეხატებოდა რაღაცა საიდუმლოებით მოცული ღიმილი; ხან ტანს ბულბულის სტვენას აყოლებდა. დიდხანს იყო ამნაირს მდგომარეობაში. შემდეგ წამოიძახა:

— დელა, ოდელაი, დელა, დელას, ოდილასა, დილა, დელას, ორიოდელია, დილა-ოდელა! დამძახე ბიჭო! — უთხრა ამხანაგს და დაიწყეს ორთავ:

წყალი მწყურიან, წყალს დავლევ,
დავეწაფები გუბესა!
დელას, ორი-ოდელია, დილა-ოდილა!
წავალ და ჩავეხუტები
ივანეჰ გოგოს უბესა!
დელას, ორი-ოდელია, დილა-ოდილა!

— მართლა, ბიჭო, რატომ აღარ გამითავე, როგორ დააბოლოვე საქმე? — ჰკითხა ამხანაგმა.

— ვერ მევესწრობით ამაღამ!

— ამაღამ რო ის ვილაპარაკოთ, როდის-ღა დავიძინოთ?

— ვერ გაძღები ამოდენა ქალაქ ღამეში? შენ არ გაყარაულებ, ნუ გეშინიან!

— არ მაყარაულებ რა, ჩემი ფეხები! შენი რა გადასახადია?

— მაშ ილა მოგიკვდეს, თუ ილამ ამაღამ თვალი მოხუჭოს! რაც ის ივანეჰ გოგო ვნახე, მე ტკბილად აღარ დამიძინია.

— ჰოდა, აბა, ერთი მილაპარაკე!

— სად ვიყავ?

— აი მზღუდრს რო მიხველ და თქვენებიანთ ტასიკო გოგომ რო გითხრა, ივანეჰ გოგო აქ არიო.

— ჰო, რო მივედით მზღუდრობას, ექვსიოდ-შვიდი ბიჭი ვიყავით, ჩვენებიანთ გიოც იქ იყო. აბა, შენ ხო იცი, რო მე და იმას კარგა გვაქ შაწყობილი ხმა. ისე, სუ გუგუნით გავიარეთ სოფელზე, და მზღუდრშიაც სიმღერით მივედით. რო ჰნახო, და-გვინახეს თუ არა ჩვენებურმა ბიჭებმა და ჩემეგვეგებნენ. გოგოებიც წამოვიდნენ ჩვენკენ და ყურება დაგვიწყეს. მერმე იმ დალოცვილმა ღმერთმა სუ კაი ბიჭებს მოგვიყარა თავი, სუ დასანიშნი ბიჭები ვიყავით: მე, ჩვენებიანთ გიო, შინჯიკაანთ ყარამანი, ყანჩაანთ ბასილა, მესხიანთ ზაქარია, იმედაანთ კოწია, გარხელაანთ ნინია.

— ეი, რა სუ კაი ბიჭები შაჰყრილხართ!

— მემრე იგეთი ჩაცმულ-დახურულები ვიყავით, რო ყველას თვალი ჩვენზე რჩებოდა. მე კიდე იგეთი გამოკანკლული ყიყავი, რო!

— მითომ არ იცოდე გამოკანკველა რა!

— ჰო, რო მივედით დაგვიწყეს ყველამ ყურება, ჩვენებიანთ ტასიკო იქა ყოფილიყო. დამინახა მე და ხელი დამიქნივა. მე მივედ იმასთან და მითხრა, ივანეჰ გოგო აქ არიო. აი გაგიხარიან, მე გამიხარდა! მაშინვე წავედით, ჯერ ფერხული დავაბიეთ. ცალ მხარეზე მე და ჩვენებიანთ გიო ვამობდით, მეორე მხარეზე კიდე ყარამანი და ზაქარა. კაცო, მე იგრე გაჩამიჩებული არა მინახამ-რა, როგორც სხვა სოფლისანი იყვნენ გაჩამიჩებულნი. ბანსაც ვერ გვეუბნებოდნენ ხერიანს, ის ოჯახ-დაქცეულები! ჩვენებურები რო არ ჩამბულიყვნენ, კიდევ ერთი ათიოდენი, შენი მტერი, ჩვენ შავრცხვებოდით. მერმე სულ ყველანი ჩვენ გვიყურებდნენ, ფერხული რო გავთავეთ და „ჰოი ტიტი“ დავიწყეთ. რო არც თამაშობაში გამოიჩინეს ფხა-ფოლადი! ერთი უნდა გეყურებინა, როგორ დაბაჯბაჯებდნენ. ჩემა მზემ და თავი არ მამიკვდება, თქვენი შაქარა კამეჩი იმათზე კარგა ითამაშებს. გაგიხარიან, რო ჩვენმა ბიჭებმა ქვეყანა ზედ შაიხედიეს!

— აბა რა, კოწიას თამაშობას დაიწუნებდნენ-რა! მგონია, სუ წყალწყალა ჩიტივით დაცქრიალებდა.

— კოწიამ, თორემ ჩვენებიანთ გიომ ხო დაიკლო-და!

— ნუ გეშინიან, არა-კი შენ ჩაორჩებოდი!

— მანამ კარგა არ დავიქანცენით, სუ ვმღეროდით და ვთამაშობდით. ი გოგუები ჯიდე, ჩვენ ზემოდამ ერთი ბექური იყო, იმაზე იდგნენ და გვიყურებდნენ.

— ივანეჰ გოგოც ხო იქ იყო?

— არა, ბიჭო, ბევრი ვათვალიერე, მაგრამ ვერსად დავინახე.

— მაშ ვერა ჰნახე?

— დაიცა გითხრა-და! ჰო, რო გავათავეთ თამაშობა და მემრე გოგუებმა მუზიკა დაუკრეს და თამაშობა დაიწყეს, ჩვენ ბიჭები წავედით, მივწივ-მოვწიეთ გოგოები და ცალი მხარე დავიჭირეთ. ერთი ვიღაცა გოგო უკრავდა ბუზიკას. იმ დედ-მამა ცხონებულმა სუ აატირა. გამოდიოდნენ გოგუები რიგ-რიგით და თამაშობდნენ. მემრე გამოვიდა ივანეჰ გოგოც. გამოვიდა და რა გამოვიდა! ყველანი უკან მიჰყარა. თითქოს ალალმა წამოუქროლაო ჩიტებს, იგრე გაჩუმდნენ ყველანი და ყურება დაუწყეს. მემრე ის ოჯახ-დაქცეულები მამიბრუნდნენ და სუ მე დამიწყეს ყურება. ეი, შამრცხვა და რა შამრცხვა! ამოდენა ვარ. და თავიდღეში იგრე არსად შამრცხომია. მე თავი ჩავიუნე, იმან-კი უფრო და უფრო მოუმატა. როგორც ისა თამაშობდა, იგრე ბეჭებზედ გადაყრილი ხუთი-ექვსი შოლტივით ნაწნავი უთამაშებდა. რო გაათავა თამაშობა, წავიდა და ჩემ პირდაპირ გოგუებში ჩადგა. ის მე მიყუ-

რებდა, მე იმას. იგრე გამიყარა თვალი-თვალში, რო ბოლოს იგ-
რევ მე შამრცხვა და თავი ჩავლუნე. სხვა გოგუებიც ბევრნი გამო-
ვიდნენ მემრე, ბაგრამ იმიჰოანად-კი ვერავინ ვერ ითამაშა. გოგუებ-
მა რო გაათავეს თამაშობა, ჩვენი ტასიკო გამოვარდა და გვითხრა:
ბიჭებო, ახლა თქვენ ითამაშეთო. აბა, მე ვიცოდი, თქმა არ მინ-
დოდა, ყველაზედ წინ გავარდებოდი-ყე და ციბრუტივით ვტრიალ-
ლებდი, მაგრამ მაშინ-კი რაღაცა დამემართა, თქვენმა გამარჯობამ,
ვერ გავბედე. მემრე ი გოგო იგრე აწიწინებდა ი ბუზიკას, რო
იმაზედ თამაშობა მკვდარსაც-კი მოუნდებოდა. კოწიამ ჯერ-კი
მოიცადა და რო არ გავდიოდი, გავიდა და ჩამოტრიალდა. გაა-
თავა და მე დამიკრა თავი.

— ჰაი, თუ შენც კი გამოიჩენდი, რაც იცოდი და არ იცოდი!

— ისემც ღმერთი გაუწყრება დუშმანს! რას ამბობ, კ-ცო,
რაღაცა ღმერთი გაიწყრა, სულობით ვერ მოვახერ ხე თამაშობა.
მუხლები იგრე მეკეცებოდა, რო კინალამ არ წავიქე. რო ვნახე,
რო ხერხად არ მომდიოდა, გავანებე თავი და წავერიენ, საცა
ბიჭები ჯგუფად იდგნენ. შაქნეს ერთი ალიაქოთი, რა დეემართა,
რატო ვერ ითამაშაო. ჩვენ გიოს-კი ეყურებინა იმიჰთვინ. თურმე,
ნუ იტყვი, ძალიან ჰწყენოდა, რო მე ვერ მოვამგზავსე თამაშობა.
შუბლი შაიკრაო და სუ იგრე შუბლ-შეკრული იდგაო. ჩვენებურ-
მა ბიჭებმა რო ითამაშეს ყველამ, ჩვენი ტასია გოგო მოვიდა, წა-
ბავლო ხელი და მითხრა: „რა დაგმართებია, შენი თამაშობა
დუნიაზეა გათქმულიო და აქ რაღა დაგემართაო? წამო ითამაშეო.“
ბეერი ვიუარე, მაგრამ აღარ მემეშვა, მეც შევაფურთხე ეშმაკს და
გავედი მეორედ. გავედი და მაშინ-კი, გაგიხარიან, მე თვალები
დავაცეცებინე ყველას. რო დაუარე და დაუარე, ბიჭები მიძახოდ-
ნენ აქათ-იქიდამ, „ჰა, შენია ილიავო!“ თურმე მიყურებდა ისა და
სუ ღიმილი მოსდიოდა პირზედ. რო გავათავე თამაშობა და, ვერ-კი
დავინახე, ვინ იყო, ერთმა დამიძახა: „ტყუილია შენიჰთანა, რო
ყველაში გათქმული ხარო.“ შველა შენ გქონდეს, მე ამან გიმახა-
რა. ი ვიცაცა იყო, სწორედ იმიჰ გვერდზედ თქვა და იმანაც გაი-
გონა. შენ არსად გინახამს ივანეჰ გოგო?

— აბა სადა ვნახამდი!

— ახ, ნეტავი ერთი გაჩვენა, ჰწორედ ციდან ჩამოსული ან-
გელოზია!

— ეი, იგეთი ლამაზია?!

— აბა როგო განიშნო, ჭიმიანთ ბაბალე გოგოს ხო იცნობ?

— როგორ ვერა, იმასაც რო ვერ ვიცნობდე, მა ვიღას ვი-
ცნობ?

— ჰო, სწორედ იმ სიმაღლეა.

— თითქმის ცოტა-ღა ჰკლები შენ სიმაღლესთან.

— მე მაღალი ვიქნები, მაგრამ ის ძალიან მოხდენილია: მთვარესავით ბადრი პირი აქვ, წითელი, თურაშაული ვაშლივით ლოყები, მაჯის სიმსხო, უსურვაზივით დაგრეხილი კავები ჩამოჰკიდამ. ბეჭებზედ კიდე ოთხი შოლტ-ვით ნაწნავი აყრია. შენ იმიჰ წარბები უნდა ნახო, თითქოს წალამი გაუკრამთო. შავი ყურჭივით კიდე თვალები აქვ. მემრე გლეხურად ხო არ აცვია!

— არა?

— გლეხურად-კი არა. შენ გლეხურად გეგონა?

— მაშა, კაცო!

— გლეხურად კი არა, თავადურად აცვია. შიგნით თეთრიანი ჩითის კაბა ეცვა, აი რუშიანს რო ეძახიან!

— აი ნაოჭ ასხმული?

— ჰოო, ზემოდამ კიდე თავადური პოლკა. რაღაც-კი ჰქვიან სხვა. ტასიკომ მაჰწავლა. დაჰწყეეღ ღმერთმა!.. ენი წვერზე მადგია. აგეი ბატონიანთ ნენესაც არ აცვია, კაცო, იგეთი.

— ი ივანეჰ გოგოს ხო ეცოდინება იმიჰ სახელი?

— აბა, კაცო, იწყეევლები! იმიჰ მეტი-კი ჰცოდნია რამე! დიაკვნიჰ ცოლთან ყოფილა შაგირდად და რა იქნება იგეთი, რო იმას არ უჰწავლებია. ჩვენი ტასიკო ამბობს, იმან ხო გლეხური ლაპარაკი არ იცისო, სუ თავადურად სიტყვა-პასუხობით ლაპარაკობსო. აი ჩვენ რო ვიტყვით ჰხელები, ფეჰები, იმას ხო ეგრე არა ჰცოდნია, იმასა ჰცოდხია ხელები და ფეხები. წიგნსაც იგრე კითხულობსო, რო კარგი დიაკვანიც ვერ წაიკითხავს იგრე. „უფალო“ და „მამაუჩვენო“ დაისრულა და ახლა მოკითხვასა კითხულობსო. აბა ხელ-საქმე ჰცოდნია კარგი, აი! იგეთ ჩახსაკრავებს დაჰქსოვს და დაჰწერამს კიდეც ზედაო, რო ყეევარ ხარათა ღირსო!

— ეეეი, რა მწავლული ყოფილა! ჩახსაკრავებზე როგორღა უნდა დაჰწეროს? არა ჰგვანებია ჩვენ მწერალს, ქალალდზედაც ძლივა ჰწერავს!

— ოჰტატმა იცის-და!

— საოჰტატოც შენ მოგინდება ბევრი.

— ბევრი რა, ერთ თუმანს არ დამჯერდება?

— როგო არ დაგჯერდება, მეტი რაღა უნდა!

— მივცემ, რა ჩეში ფეხებია, ველარ ამოვაღებინებ? ვაქსოვინებ ჩახსაკრავებს და ვაყიდვინებ.

— რა, ჯიბი ბოხჩა ეცოდინება?

— ჩახსაკრავებზე ჰწერამს და ჯიბი ბოხჩა გაუჭირდება!

— ერთი შამიკერვინე!

— არ დაიჯერებთ, კაცებო, ამ დასაქცევს ფული ეჭნება!

— იგრემც ჩემს მტერსა ჰქონდეს!

— მა რად გინდა ჯიბი ბოხჩა?

— ტალკვესი ვერაში შამინახამ.

— ცოტა ძალუები გყავ, რატო იმათ არ შაკერინებ?

— ვაჰ იმათი, ძალუები მე ვიცი!..

— მაშ კარგი, შაგიკერვინებ.

— ვინ გირიგებს?

— ვინ უნდა მირიგებდეს, ილბალია და ყისმათი!

— როგო ილბალი და ყისმათი, მე რატო არა მაქვ მაგიჰთანა ილბალი?

— ჯერ სუფსარქისის მარხვა არ შაგინახამ?

— ვინ მამაცლის იმიჰთვინ!

— აი, რო შაგენახა, ნამდვილათა ჰნახამდი შენ ილბალსა და ყისმათსა. იმაზე მართალი არა ყოფილა-რა. ახლა როგო იყო: წლეულ ვიმარხულე. სუფსარქისობა რო თენდებოდა, იმ ღამეს აიღო დედა ჩემმა ერთი სათითე ფქვილი და ორი სათითე მარილი. არივა ერთათ, გამააცხო კვერი და მითხრა: „ეჰ შაჰამეო და დაიძინეო, წყალი მოგწყურდებაო და, ვინც სიზმარში დაგალევინებს, შენი ილბალი ის იქნებაო.“ დავწექ, დავიძინე და რო მამწყურდა წყალი, მაიტანა ერთმა გოგომ და დამალევინა. ავდექი თუ არა დილით, დედა ჩემმა მკითხა: „ვინ დაგალევინა წყალიო?“ რა ვიცი-მეთქი, ერთი ლამაზი, მაღალ-მაღალი გოგო მოვიდა და იმან დამალევინა მეთქი. „საიდან მოვიდაო“, და მეც გავუშვირე ხელი, აი იქიდამ მოვიდა-მეთქი. დედა ჩემმა შაჰკივლა: „ეი, შვილო, ტასიკომ მელაპარაკა, შარშან მეშველიანთ ივანეჰ გოგოს შეენახა სუფსარქისის მარხვაო და შენ ილას დეელევინებინა წყალიო. მე ტასიკომ დიდი ხანია მითხრა და შენ არ გეუბნებოდიო“. ტასიკოსათვინ ეთქვა დედა ჩემსა, რო მეც ისა ვნახე, და ეხლა ტასიკოა მაჰანკალი.

— მემრე, სადილად ვიჰთან წახვედი ზღუდრიდამ?

— სადილად სუ ერთიანად ტასიკოჰთან წავედით, ვინც კარგი მომღერლები ვიყავით. მაგრამ რა გითხრა, გავჯერეთ იქაურობა. აბა, მეშველიანი ტასიკოს მეზობლები არიან,—რო უყურო, მოჰდგა ღობეჰთან იმოდენა ქალი და ქაცი და სუ ჩვენ გვიყურებდნენ, როცა ვთამაშობდით და ვმღეროდით. მემრე ტასიკო მოვიდა და მითხრა: „კარგია და ნუ დაიწყვეტინე თვალები შენი ყურებითაო“. მაგრამ მე უარესი ვქენ, კიდევ-კი არ მეკეცებოდა მუხლები.

— ნეტავი შენ! ტყუილად-კი არ არი ნათქვაში: „ბედი ძამეო და სანახვეზე გადამაგდეო“. მე არც ძმა გამამადგა, ძმარი ედინოს,

არც ბიძა, არც ბიძაშვილი, არც მამიდაშვილი, არ ვიცი, ვის რა დავუშავე. ზოგს როგორი იღბალი აქვ! აბა რამდენით მე შენზედ დიდი ვარ, კიდევ ვიქნები ხუთი-ექვსი წლით დიდი; ხან წავეკიდე, ხან გავუწყერი ჩემ ბიძებსა და ძმებს: თქვე რო დაბინავდით და ზოგმა ქალებიც გაიპტუმრეთ, მეც ნუღა მაყურებინებთ, დამაბინავეთ-მეთქი, მაგრამ ვერაფერი ვერა შევასმინე-რა იმ ოჯახ დაღუპილებს. ჯერ ვალი გვმართებსო, ვალს ვეღარ მივუმატებთ სხვა ვალსაო. აბა ერთი შენ მითხარი, იმათ რო თავი დღეში ვალი არ მაიშორონ, მე დაუბინავებელი უნდა დავრჩე? მე ვეუბნები, საცა ი თქვენი შვილების გაპტუმრებაზე აღებული ვალია, ჩემი საქორწინო ვალიც იქ იყოს მეთქი. მაგრამ შაადგეს ქვა და შაუშვირეს თავი, პირი ვერ დავაძრევინე იმ სახ-კარ დაღუპილებს!

— ბიჭო, შე რატო ეგრე ეხუმრები ვალს, იცი, როგორი კაცის დამღუპავია ვალი? ღმერთმა ჩემი დუშმანიც ნუ ჩააგდოს ვალში და მემრე სომხის ვალში! ვენაცვალე დედა ჩემს სულში, რო იმან ვალი შამაჯავრა. სუ იმას ჩამჩიჩინებდა, ვალი კაცის დამღუპავიაო, ანამცა და ანამც ვალი არ აიღო როდისმეო. ვალს უთქვამს: „კარის ჯუჯრუტანიდამ შევძვრებიო და კარებში ვეღარ გამოვეტევიო“. აგე რა მოუვიდათ მამულაანთ. არ გახსოვს იმათი ცხოვრება, რა ცხოვრება ჰქონდათ? ვინა ჯობდა იმათ ამ მხარეზე? იმათი ცხვარი და ძროხა მინდორს აბნელებდა. აბა ეხლა შაჰხედე იმათ ნასახლარს, რასა ჰგავ? ვალმა არ ჩასცხო თავში!

— რას ამბობ, ვალმა კი არა, ვიღაცამ ჯადო უგდო. ჩვენ-ბიანთ ისაკას არ აბრალებდნენ, ღარ გახსოვს?

— ჯადომ ჯადოდ იმუშავა და ვალმა ვალად, ორივე ერთმანეთზე მიჰყვა, თორე იმოდენა დოვლათი იგრე ანაჰდეულად გაქრებოდა?

— ჰაიტა, მე რო ჩემ პატარაობაში იმათი მარილის ყორე მინახამ, მითქვამ ჩემ გულში, ნეტა რა ხარმა და კამეჩმა მოზიდა ამოტელა ზღვა მარილი მეთქი! იგრე მალე სად ჩაიყლაპა იმოტელა ცხოვრება!

— აბა ვალს ემაგრე ჰკოდნია, აი! ი ოჯახდაქცეული, ი არტემაა რაღაცა, შაუჩნდა ჩრჩილივით და იგრე დაანიავა პატიოსანი ოჯახი. ის ოჯახ დაქცეული, თურმე ნუ იტყვი, მივიდოდა იმათას ღამ-ღამ, როცა საწერილმანო დაჰქონდა, კარგსა სჭამდა, კარგსა სვამდა და ერთი ბეწვა კევი რო მეეწერწკნა ბალღებისთვინ, დავთაოში ჭწერამდა. რასაც ფულსა შოულობდა, იმასაც იმათ ასერსებებდა, თუნდა არა ჰქირებოდათ. ატარა, ატარა, შაეყენა უანგარიშო ვალი, მემრე წაუსვა ხელი და წაართვა. ეი, მე რო იმას უყურე ერთხელ პური წყვაში! ერთი დიდი ხვავი იდგა მამულა-

ანთ კალოზე, მისდგომოდა შენი არტემა და, რო ჰწყამდა, განა ხელს, მკლავს უხვევდა, ის მკლავ-გასახრობი! კაცს ცრემლები გადმოჰცვიოდა, რო დეენახა. თითქო ნაღდი ფულები დაუთვალაო, ისე შეუბრალებლად ჰწყამდა, ის ოჯახ-დაქცეული. ვაჰ, ვალის მყვარებელს-კი!.. დედა-ჩემს ვენაცვალე სულში, რო იმან ეგრე შამაჯავრა ვალი და მოჯამაგირობა, თორე ერთ ლუკმა პურსა ვქამ დღეს ღვთით, იქნება ისიც აღარა მქონოდა. ეხლა შე რო ამბობ, რატო ჩემი საქორწილო არ აიღესო, იცი უფრო როგო დაგაწვებოდა კისერზედ? მე რო შინ არ მეპოვებოდეს ყველაფერი და ვალის აღება დამჭირებოდა, იგრე უცოლ-შვილო დავდგებოდი და ვალს კი ჩემ სიცოცხლეში არ ავიღებდი. ჩემი თვალით შაგაყვარა ვალი! მე ახლა რო ვინიშნები, სუ ყველაფერი მზადა მაქვ. შამადგომისა ათი დღის ნახნავი მაქვ და რა ღმერთი გაუწყრება იგრე, რო ოცი კოდი მაინც არ მამიგროვდეს. ჯერ ეხლაც მექნება კიდევ ძველი ოც კოდამდინ; აბა რალას შავქამთ ეხლა, საცა არი ყანები გაიპრება. ახლა კიდე გაზაფხულის მოსავალი? ვენახიც კარგი მაქვ. თუ ღმერთმა ცა და ღრუბელი დაუმშვიდა, იმთენი მამივა ყველაფერი, რო არამც თუ ქორწილში მეყოფა, კიდეც გავყიდი. საკლავებიც ეხლავე მყავ დავალიანებული. ფულადაც სამ ოთხ თუმნამდინ მექნება. როგო არ მეყოფა საქორწილოდ?

— მაშ ეგ არი, გაათავე საქმე რალა?

— არა, აბა ჯერ სად გავათავებდი, მაგრამ გათავებულივით კია. როგორც ჩვენმა ტასომ მილაპარაკა, „იგრე ჰყევხართ ყველას გულში ჩავარდნილი, რო იმათ შენ მეტი არავინ უნდათო“. მე უფრო არავინ მინდა იმის მეტი და ვერც არავინ, იმას ხელს ახლებს, სანამ ცოცხალი ვარ. იმათ დაუბარებიათ, რო უსანეთობას მოვალთ სახლის გასაშინჯადაო და პეტრე-პავლობას ნიშანი მოიტანეთო. უსანეთობამდინ ალო გამოვა და მეც მოცლილი ვიქნები.

— შენ იკეთები მელაპარაკე, ჩემო ძმაო, რო მეც გამიფრთხა ძილი. ადე, ხარები ავშალოთ და სადმე კვლებში შავრეკოთ, ერთი კარგა მაინც დავაძლოთ, თუ ვერ დავიძინებთ.

მეხრეებმა დაადეს ხარი, დაჰყარეს ერთ მინდვრიანზე და თითონაც მიდუს თავები: ილიამ თავის შვინდა ხარზე და მეორეს თავის ჯერანაზედ. სულ არა სძინებიათ ერთ საათს, ნამგლის პირსავით დალეულმა მთვარემ ამოაშუქა და დაუფრთხა. უიმისოდაც დამფრთხალი ძილი ღამის მეხრეებს. უცბად წამოხტა ილია და დაუძახა ამხანაგს:

— ბიჭო, გიგავ, ადე, გათენებამ მაატანა!

ადგა მეორე ამხანაგიც, აშალეს ისევ ხარები და გაყოლეს

გუთნისაკენ. მირეკეს დილა-ბნელაზედ გუთანთან ხარი და დაუწყეს შებმა.

— ილავ, რა ილბალი გაქვ, შე დასაქცეო! —უთხრა ამხანაგმა.— დღეჰ შენი ხვნაა და რანაირად არი დამაძღარიი ხარი, რა დღიურს გადაჰქიმამენ.

უღელი ხარი-ღა ჰყვანდათ შესაბმელი, როცა მოვიდნენ გუთნის დედა და დღისის მეხრეები. დღისის მეხრეებმა წნელები დასინჯეს და, საცა უნდოდა, ახლები ჩაგრიხეს. გუთნის დედა-კი გაემართა გუთნისკენ და აასხა სახნის-საკვეთი. შეაბეს, დახედა გუთნის დედამ ხარსა და სთქვა:

— დაილოცოს თქვენი მშობლის, ძეძუ, რა დამაძღარი ხარია! აბა, რა-კი დავქორწილდი, მას აქეთია, სუ გუთნი დედათა ვარ და, როგორც წლეულ დამაძღარი ხარი მოდის, იმიჰთანა-კი არსად მინახამ.

— ილამ იცის-და! იგრე გაატარებს სარტყლის ტოლა კვალში, რო ერთ თავთავს არ მააწყვეტინებს!—წამოიძახა ერთმა დღისის მეხრემ.

— მაშ ხარები რო მე მაძღობენ, მე-კი არ უნდა დავაძღო ეგენი? —უპასუხა ილამ.

— აბა, ილავ, ნაზურგი შავკრათ, თუ ნაფევი მივაგდოთ?— დაუძახა გუთნის დედამ.

— ნაზურგი, ნაზურგი!

— აბა ვახსენოთ ღმერთი, ღმერთო, შენ შეგვეწიე!—და გაისმა „ჰაე-ჰე-ჰე!"

ცოტა ხნის შემდეგ ტოროლამაც მორთო თავისი დილის გალობა, თითქოს ტოროლას ჩამოართვაო, შემოსძახა ილიამ:

„უხერხული გუთნიჰ დედა
მეხრეებს ემუქრებოდა,
ცოტა მხვნელი და მთესველი
მადალ ღმერთს ემდურებოდა."

სხვა მეხრეებმაც მიაყოლეს ბანი და შემდეგ ყიჟინა: „ჰაე-ჰე-ჰე!

VI

ოსტატთან.

Ოფელში იბრია დიაკვანს „ძიან მწავლული" ცოლი ჰყვანდა, თუ როგორი „მწავლული" იყო დიაკვნის ცოლი ანასტასია, იქიდანა სჩანს, რომ, როდესაც აბრია, წიგნების კითხვის დროს,

ან შეფერხდებოდა, ან ტყუილს გაურევდა და მღვდელი ამაზედ დაუყვირებდა, იქ მყოფნი დაიწყებდნენ ხოლმე: „ვაჰ, სად არი ეხლა შენი ცოლი, რო საჩქაროზე არ გადააბულბულებს!“ ბევრჯელაც შელაპარაკებულან და წამოუყენებიათ მრავალი საბუთები, იმისი სწავლის დამამტკიცებელი; მხოლოდ მაშინ-ღა გაჩუმებულან, როცა გასჯავრებიან. მართლაც-და როგორ არ უნდა ეწოდნათ ანასტასიასათვის „მწავლული“, როდესაც მთელი სოფლის მანდილოსანთა მკითხველ-მწერალი ის იყო. მანდილოსანთაგან, რასაკვირველია, მამა-კაცთაც ჰქონდათ გაგებული და, როცა დასჭირდებოდათ თამასუქებისა, ან სხვისა რისამე წაკითხვა და წამკითხველი ან არავინა ჰყვანდათ, ან ისეთი ვინმე შეხვდებოდათ, რომელიც თავსა და ბოლოს ვერ გააგებინებდა, იტყოდნენ ხოლმე: „მაიტა ერთი იგრევ ტასიას წაუღო, თორე... იგრე გადამიკითხოს როგორც ღვდელი. მეტიმეტი ჰწავლისაგან სუ თავს იქნევს!“

არც უნდა ყოფილიყო ანასტასია უცოდინარი. იგი იყო მღვდლის ქალი—ყველა შვილებზე უმცროსი. როგორც კოჟანდარი, იგი ძრიელ საყვარელი და ნებიერი იყო დედ-მამისა და ყოველი სიკეთე მისთვის ემეტებოდათ. რაც იცოდა და არ იცოდა, დედამ ყოველიფერი გადასცა ანასტასიას. წიგნის სწავლებაში-კი მამაც ღებდა მონაწილეობას, ასე რომ ხუცურიც-კი ასწავლა, პირდაპირ სამოციქულოში, და რამდენჯერმე წაკითხა ეკლესიაში სამოციქულო საუფლო დღესასწაულებში.

არც აბრია იყო მდარე კაცის შვილი. აბრიაც მღვდლისა და დიდი ოჯახის შვილი იყო. როგორც სხვა ძმებს, ისე აბრიასაც დედ-მამის დაუდევნელობით, არ გაჰღებია სასწავლებლის კარები. იმისმა ძმებმა ზოგმა მონასტერში, კერძოდ მღვდლებთან, ისწავლეს საეკლესიო წიგნების კითხვა და კიდეც იშოვეს ზოგმა დიაჩოკობა და ზოგმა მთავარ-დიაკვნობა, აბრია-კი დარჩა ამასაც მოკლებული. სოფელ №-ს მღვდელი ამავე სოფლის მცხოვრებელი იყო და სცდილობდა თავისი წინამოადგილის შთამოშავლობა ისე გეენადგურებინა, რომ ადგილის შემცილებელი აღარავინ ჰყოლოდა. ამისათვის არამც თუ ხელს უმართავდა აბრიას, ყოველს ღონისძიებას ხმარობდა, რომ აბრია სასულიერო წოდებიდგან გამოერიცხათ და გლეხ-კაცად დარჩენილიყო. დასანიშნი იყო აბრია, როცა ანაბანიც-კი არ იცოდა და სახლი-კაცების ჯიბრობით ,ძროხაში, გუთანზე და ურემზე დადიოდა. იქნება სულაც „ტყე-მინდვრის“ კაცად დარჩენილიყო, რომ აქეთ-იქიდან არ ეთქვათ: „თუ დიაჩოკობა არ იშოვნე, სასულიერო წოდებიდან გამოგრიცხამენ და ხარჯს შაგაწერენო“. ამ გარემოებამ ძრიელ შეაფუცხუნა აბრია. ზოგიერთის მადლიანის კაცის შემწეო-

ბით ისწავლა ხუცური ანაბანა და მას აქეთ დავითნი არ მოუშორებია: ხან ჯიბით, ხან გუდით ატარებდა თან და თავისუფალ დროს კითხულობდა. ისწავლა ისე, რომ ბლაღოჩინმა დაამტკიცებინა აბრია თავისავე სოფელში დიაჩოქობის თანამდებობაზედ და მიათხოვა ობლად დარჩენილი თავისი დეიდაშვილი ანასტასია.

აბრიაც და აბრიას ძმებიც გაუყრელებიც იყვნენ თავის ერის კაც ბიძაშვილებთან. მხოლოდ აბრიას ძმები თავიანთის ცოლ-შვილით სცხოვრობდნენ იქ, სადაც მსახურობდნენ; აბრია-კი თავის ბიძაშვილებთან ერთად სცხოვრობდა. ოჯახი რძალთა მრავალი იყო. ყველა რძლები, ანასტასიას გარდა, გლეხ-კაცის შვილები იყვნენ და ამისთვის ანასტასია ირჩეოდა იმათგან თავისის ხასიათითა და ზნე-ჩვეულებით. ანასტასიას ახსოვდა თავისი ვინაობა და, ყოველთვის სცდილობდა, არ დაემცირებინა არც თავისი შთამომაველობა და არც კაცის ცოლობა; ბავშვებსაც-კი აგრძნობინებდა თავისის ქცევით, ვინც იყო. ანასტასიას ქცევა არ მოსწონდათ დანარჩენ რძლებს, მით უფრო, რომ ბევრს საქმეში, მ-გალითად. პურის ცხობაში, წყლის მოტანაში, სამარგელში და სხვა „სა-თაკილო“ საქმეში იმათთან არ ეწყოდა ულელს. იმისი საქმე იყო ჭურჭლის დარეცხვა, თონეზედ თვალის დაჭერა, როცა სხვა რძლები პურს აცხობდნენ, და ტაბაკით პურის შეზიდვა. როდესაც-კი უიმისოდ შეიყრებოდნენ ერთად რძლები, მოჰყვებოდნენ ხოლმე ტუჩების აპრუკვით იმის ჯორვა-კილვას.

— ი ჩვენი ჰეწენიკი (ასე უწოდებდნენ ანასტასიას) სადა ბძანდება? — იკითხავდა ერთი.

— რა ვიცი, ქა, ძრიან-კი ყვიტყვიტებს-და; იტყვი, მაგისი მოახლე იყოს ვინმე! — ჩამოართმევდა მეორე.

— ი, მეხი-კი დავაყარე მაგი თაესა და ჩავტიტ-ე! რაო ახლა, ვინ არი მაგაზე ნაკლები, ან კაცი შვილი? აქა-და, მეო-და დიაკ-ვნიჰ ცოლი ვარო, თავზე ბუზს არ ისვამს! — დაუმატებდა მესამე.

— რა ვიცი, ქა, უწინ ღვდლი ცოლებიც არა დიდობდნენ ემაგრე! — იტყოდა მეოთხე.

— თუ დაარღვევს ჩვენ ოჯახს, ეგ დაარღვევს! — დასკვნიდა მეხუთე. ბევრს სხვა უწმაწურობასაც ლაპარაკობდნენ ხოლმე ტასიაზე.

უფრო იმაზე მოსდიოდათ რძლებს ჯავრი, რომ ანასტასია არა სცხოვრობდა საზოგადო სახლში. — რძლებთან ერთად. ისა სცხოვრობდა ცალკე მარანში. რამდენადაც ძლიერდებოდა ანასტასიას მიმართ რძლების სიძულვილი, იმდენად თვით ტასია მაღლდებოდა გარეშე ხალხის თვალში. ყველა ანასტასიას ამართლებდა, ყველა იმას ამბობდა, რომ ტასიას ღირსნი არ არიანო, იმისი

ფასი არ იცოდნო. ამ შემთხვევაში ანასტასიას დიდადა შეელოდა ის გარემოება, რომ წერა-კითხვა იცოდა და ამით დაეალიანებული ჰყვანდა ხალხი. წერა-კითხვაც იყო მისი მიზეზი, რომ ყველა, ვისაც კი მოეყრებოდა ქალი გასათხოვრად, ანასტასიასთანა გზავნიდა შეგირდად.

მართალი რომ ვთქვათ, ანასტასია არ იყო ღირსი რძლების კიცხვისა. იმისი შეგირდები ოთხს იმდენს აკეთებდნენ, რაც იმას თავის წილად საქმე შეხვდებოდა. სხვაც არა იყოს-რა, სოფელში ანდაზა იყო: „ღვდლიანთ (თუმცა იმათ სახლში მღვდელი აღარ იყო, მაგრამ მაინც ისევ ღვდლიანთ ეძახოდნენ) ეზო-ყურეში ერბო აიკრიფებაო". რასაკვირველია, ეს სულ ანასტასიას შეგირდების უნარი იყო, ყოველ დილა-სადამოს ჰგვინდნენ შინ და გარეთ მთელ ეზოს. წყლის მოტანა, ცეცხლის ანთება შეგირდებზედ იყო შინაბრებული. გარდა ამისა, ყოველი რძალთაგანი, ნამეტნავად, ვისაც აკვანი ედგა, ისე დაასაქმებდა შეგირდებს, როგორც უნდოდა.

თავისი საცხოვრებელი ადგილი—მარანი ანასტასიას ყოველთვის სუფთად და მილაგებულ-მოლაგებული ჰქონდა. ტუპკირები და გოდრები ელაგა საწნახელში. მარჯვნივ კედელზედ იყო გაწყობილი სარკეები, მაწაწურები და ეკიდა ხაპირი და ყელიანი გოგრის ძაბრები; მარცხნივ ნახევარ ბაქანზე იყო გაშლილი ფარდაგი; ფარდაგის თავში მარცხენა კედლის ძირზე ელაგა აკეცილი ქვეშაგები. ძირს, ბაქნისა და კედლის კუთხეში, იდგა სკივრი; სკივრს ქვემოდ პატარა ხილის კიდობანი. სკივრსა და კიდობანს წინ იყო ხოლმე გაშლილი ნაბადი, რომელზედაც იჯდა ანასტასია საქმის დროს. იმას ქვემოდ სხდებოდნენ შეგირდები. მარჯვენა მხარეს-კი არ ეკარებოდნენ არც ანასტასია და არც შეგირდები, რადგანაც ბლომა ზედაშეები იყო.

ანასტასია ასწავლიდა წერა-კითხვასა და ხელსაქმესა. შეგირდები ორ განყოფილებადა ჰყავდა ხოლმე განსაზღვრული. პირველს განყოფილებაში ირიცხებოდნენ გასათხოვარნი და სწავლობდნენ: „ანაბანას", „უფალოს" და „მამაო ჩვენოს": ხელ საქმიდამ: სახის შეკერვას და ჩახსაკრავის ქსოვას. მეორე განყოფილებაში ირიცხებოდნენ გათხოვილნი და სწავლობდნენ: „მოკითხვას" და სწერდნენ ნახშირით ბეკზედ; ხელ-საქმიდან: ჰქარგავდნენ ყაჯრებს და აკეთებდნენ გვირგვინებს. სწავლებაში ანასტასია არაფერს იღებდა ქალის ჰატრონისაგან, გარდა ძღვენებისა ყოველ ბედნიერ დღეებში და, როცა გათხოვილს ქალებს მოსაკითხი მოუვიდოდათ, მხოლოდ ჯვარის წერის წინ იღებდა სანეფოსაგან „საოსტატოს" ხუთ მანეთიდან ვიდრე თუმნამდინ.

ერთ დღეს, როცა შეგირდებმა მოიშორეს მოვალეობა სახლ-კარისადმი, მიუსხდნენ მარანში თავიანთ საქმეს. ამ დღეს მარტო შვიდი შეგირდი ქალი იყო. ორს მუხლებზედ „ანა-ბანა“ ედო, ერთი მისჯდომოდა აკვანს და კალთაზე უფალო ედო. მეოთხე ქალს ედო წინ ქარგაზე გაბმული წითელი მაუდი და ყაჯარსა ჰკერავდა. დანარჩენს სამს გეებათ ძაფები და ჩახსაკრავსა ჰქსოვდნენ. ერთი აწყობდა, ორი უბეკვდა; ჩახსაკრავზედ იწერებოდა შემდეგი ლექსი:

„ვარ ჩახსაკრავი ლომისა,
მუდამ მსურველი ომისა:
უყვარს თვისი გამარჯვება,
და დამარცხება მტერისა“.

ანასტასიამ ჯერ ერთს წააკითხა „ანბანი“, მერე მეორეს. შემდეგ მიუახლოვდა აკვანთან მჯდომარეს და ამანაც დაიწყო: „უფალაო-უფალაო იესაო-იესო ქრისტეა-ქრისტე ღმერთაო-ღმერთო!“ ამნაირად წაიკითხა ბოლომდის დანარჩენიც: „სწავლა კეთილად მოუხდინე მხევალსა შენსა ეკატერინესა, რათა ისწავლოს წიგნი და წერვა, და გაქოს და გადიდოს უკუნითი უკუნისამდე. ამინ“. ყაჯრის მკერავს დაუწყო დონჯიანი კაცის სახე, ჩახსაკრავის მქსოვთ ასო „ლ“ და თითონ გავიდა თონეზედ, რადგანაც საცხობი ჰქონდათ. გასვლა ანასტასიას და ჩახსაკრავის არევა ერთი იყო. ბევრი ეწვალენ, ყაჯრის მკერავიც მიეშველა, მაგრამ ვერა გააწყეს.რა.

— იშ,ნეტავი მეც ეხლა ყაჯარსა ვკერამდე, ეგ ადვილია!— წამოიძახა ჩახსაკრავის მქსოვმა-დამწყობმა, როცა დანარწმუნდა, რომ ვერას უშველიდნენ წამხდარ საქმეს.

— შენ ადვილი გეგონება—!უპასუხა ყაჯრის მკერავმა.

— მა რატა შენც ჩემსავით მალ.მალე არ გეკერავა?

— იმისთვინ, რომ მე დიდი ხანია შაგირდადა ვარ და ვიცი, შენ-კი გუშინ მოხველ. განა ეგრე მალე დაგაწყობინებდა ოსტატი ჩახსაკრავს, რო არ გეესინჯეთ რა! ეგრე მალე იმისთვინ დაგაწყობინა ჩახსაკრავი, რო მანამ ხელს დაგდებენ, გაათავო და ახლა ყაჯარი და გვირგვინები დაიწყო, რო ქორწილებამდინ მოასწრო.

— ნეტავი შენი სიცოცხლითა და ბედნიერებით, მოხდეს და იგრე მალე შავკერო ყაჯარიცა და გვირგვინებიც, რო!..

— იგრე შამრჩეს ძმა, შენ ტყუილადა ვგონია, რო ყაჯრის კერვა ადვილიაო!

— იცი, ქალო, მაგას რაზე ვამობ? მე ეხლა გული გულის ალაგას აღარა მაქვს და თავბედისაც არაფერი გამეგება. ი გულ-კვდრის შვილმა, ჩემი გულიცა და ჭკვაცა და გონებაც იმან წაიღო!

— იგრე იციან ბიჭებმა შენიჰთანა ქალებისა!

— რა ჩემიჰთანასი, შენ-კი არა ჰყოფილხარ ამიჰთანა ცეცხლში?

— ყველას მაგიჰთანა წყალი დეესხმება ხოლმე, ჩემო მარო! მეც ისე გადამრივა სოსიას ნახვამ, როგორც შენ ილას ნახვამ.

— არა, რო არ შაიძლება, ძე ადამიანს უყვარდეს ვინმე ისე, როგოც მე იმ გულ-მკვდარმა—ნუღარვე,—ჩამიგდო გულში სიყვარული! ნეტავი ერთი დეგენახა, როცა თანა მღეროდა და თან უვლიდა წყალ-წყალა ჩიტივით,—სუ ჩლიქებზე დგებოდა. მემრე იგეთი გამოკანკლული იყო, რო, იტყვი, ჰეწენიკი თავადშვილიაო! ნაბდი ქუდი გვერდზე კოტტად მეეგდო, ბუზმენტ-მოვლებული თავითის პერანგის გულისპირი წითლად-კი უღალანებდა! იგეთი ჩოხა-შალვარი და ახალუხი ეცვა, რო ადამიანი ვერ გაძღებოდა ყურებით. ი ბადრივით პირზე კიდე შუქი გადაჰდიოდა, იტყოდი, ხალი ამოსული მთვარეაო. მემრე, რაც სახელი მე მიყვარს, ისა ჰქვიან.

— ჩემსასაც ისა ჰქვიან, რაც მე მიყვარდა.

— ნეტა ყველას ეგრე უცბად ეკიდება გულზე სიყვარული, როგორც მე უცბად მემედო?

— შენ ჯერ ცოტა გინახამ, ჯერ შენი ხო არც-კია, დაიგვლე შენად, სიყვარული მაშინა ნახე!

— მართალია, ჯერ საქმე არ გათავებულა, მაგრამ გულმა-კი დანამდვილებით იცის, რო ჩემია და ჩემს იქით არსად წავა. ამ კვირაა ჩემენები მიდიან სახლის სანახავად; თუ ჩვენებმა თან არ მაიტანეს ბიჭოგა, სწორზე თითონ მოვლენ და დამდებენ ხელს.

— რო არ მოხვეს, რას იზამდი?

— უი, უწინ დღე გამიქრეს, მაშინ ხო, საცა დიდი წყალია, იქ გადავვარდი და დავილრჩე თავი!

— აბა, შენ ემაგრე ვფიქრობდი აი, თუ სოსია არ მომხდარიყო.

— ოჰ, რა ძნელი ყოფილა სიყვარული!

— აკი გითხარ, სიყვარული მაშინა ნახე, როცა ხელს დაგდებს! როცა სალამ-სალამობით მოვა და ,ებითა და ჯიბით მოგიტანს, რასაც იშოვის და იპოვის, სიყვარული მაშინა ნახე! ილი მონატანიც ისე გეყვარება, როგორც ის. აი, ე ბეჭედი—უჩვენა თითი ამხანაგმა ქალმა—ჩემს თავს მირჩევნია. როგორც სოსია მიყვარს, ეგრე ეს ბეჭედი. როცა პირველად მამა ჩემმა დაჰპატიჟა და მოვიდა, მაშინ მამიტანა და მას აქეთია არ მამიშორებია; მძინამ თუ მღვიძამ, სუ ხელზე მაქვ გაკეთებული. ამას რო უკურებ, ეგრე მგონია, სოსიას უყურებ-მეთქი.

— ბელგაზე-კი არ იყო ბეჭედი?

— ბეჭედი და რა ბეჭედი! კარგისაგან კარგი. იმას როგო გა-ვიმეტებ გასაფუჭებლად. სოსიამა სთქვა, სამი მანეთი მივეცით— ვერცხლისაო. ეს ბეჭედიც-კი არ არი უბრალო, ამაშიაც სამი აბა-ზი მიუცია, მაგრამ ის სუ სხვა არი.

— რა თქმა უნდა, რო კარგი იქნება, რა-კი ვერცხლისა ყოფილა!

— ბაღდადი კიდე! ერთი ვეებერთელა საბნის ტოლა არი!

— რა კარგი ყოფილა გათხოება. ნეტავი შენ, რო გული გულის ალაგასა გაქვ!

— როცა-კი მოსულა სოსია, ცარიელი არ მოსულა—ხურ-ჯინი გატენილი მოუტანია. მწარე ნიორი რა არი, მწარე ნიორიც რო მოიტანოს, ისიც თაფლია. ძალიან ტკბილი ყოფილა ქმრის ლუკმა!

— ი, ღმერთი-კი გაუწყრათ და ცამი შაუდგათ ამ უპატრო-ნო დღეებს, რო ჭიაყელავდებიან!

— ნუ გეშინიან, შენც მალე მაიხდი ოფლს. ერთი ეგ არი, გათხოვებისას ვერაფერს გაიგებ. გათხოვება იმან დაიკვიხოს, ვინც აღღვომას გათხოვილი მიჰგებებია. რა ტკბილი იყო წლეულ ჩემ-თვინ აღდგომა, რო იცოდე! დიდ შაბათს, ჯერ შაბინდებული არ იყო, რო ჩემა პატარა მაზლმა მოგვიყვანა კარებზე დატვირთული ცხენი. რა არ იყო ხურჯინში, როცა ამოვალაგეთ: ეს წითელი კვერცხია, ეს ახალი ყველია, ვინ მოჰთვლის! რა უნდოდა თვალ-სა და გულს, რო შიგ არ იყო. ბატკანს კიდე თავი ჭიაფრით ჰქონდა მაღებილი. მაგრამ მე სუყველას თავი დავანებე და მივვარ-დი შაკრულ ბოღჩას. გავხსენ, ქალო, და იგრე გაიხაროს შენმა გულმა, როგორც მე გავიხარე. ლამაზი, დახატული ბაშმაკები, კარგი ლამაზი კოტიტკა, კარგი ჩითის საკაბე და ერთიც კარგი თასაკრავი. ამას რო მოვრჩი და, ჩემა მაზლმა მამიტანა და მამცა ხელში ჯოხზე მიკრული ვეებერთელა კელაპტარი. სუ ყველანი-კი ჩემ კელაპტარს უყურებდნენ ევლოგიაზე. ჩემითანა კელაპტარი მარ-ტო ბატონიანთ ქალებს ეჭირათ.

ღმერთმა ნუ დაულიოს ჩემი ცოდო ჩვენებიანთ ბაბალეს! იმას რო არ ვეძაგებინე, აღებაშივე დამდებდნენ ხელს და შენ გეყურე-ბინა მაშინ, ან როგორი მოსაკითხი მამივიდოდა ან კელაპტარი საალდგომოთ. აგრე ამობენ, რო ილიასთანა თავმამწონე ბიჭი დე-დამიწის ზურგზე არ დაიბადებაო. სუ იმას ცდილობსო, რო ყვე-ლაზე შეტი და გამარჯვებული იყოსო. აბა ის რას მაკადრებდა უბრალო კელაპტარს, თუ ძრიან კარგისა არ იქნებოდა, მაინც გადამიხდის სხვა ნაირად. კინალამ-კი, იმ გასაშვებელმა და შვილ-

მკვდარმა,—ხელიც იმისკენ და პირიც—ხელიდამ არ გამოგდებინა ილიას! თავისი დაშხამული გომბიო უნდა ეტკიდნა ი ლომივით ბიჭიჰთვინა და დამიწყო მე ძაგება: ეს აგეთიაო, ეს იგეთიაო, თარაქამა არიო. რა უთარაქამე, ნეტავი შამატყობინა! ვაჟკაცი რო შეეხეჩოს, პირს არ მაარიდებსო, იგეთი უნამუსოაო. ეგრე ვეძაგებინე მართლა-და იმ უნამუსოს, აგრემც დაცარიელებულა ის ვაჟიშილებიდან და გაუშავდება იმას დაშხამული ქეთას ვვირ-ვვინი! თქვენ ეი,—მიუბრუნდა დანარჩენ იქ მსხდომ გოგოებს,—გაგაქრობთ და გაგაწყალებთ, თუ ვისმე ამბავი მიგიტანიათ!

— მართლა, ქა, და მეტის-მეტად იცი, რო ვინც უნდა შა მოგვხდეს, პირს არ მაარიდებ!

— რა არი ახლა, რო არ ვარიდებ? თავი რო არ ჩავლუნო და პირდაპირ შავხედო ვისმე, იმისთვინ უნამუსო გავხდები?

— უნამუსო-კი არ გაჰხდები, მაგრამ ამბობენ, აშიღიაო.

— რა აშიღობა არი, ქა, თქვენი ჭირიმეთ, რო თავს არა ვლუნამ, ვინც შამამხვდება? თავის ჩაღუნა მაშინა მფერობს, როცა თავზე გადამხედია რამე და სირცხვილით პირი მეწვება. სოფიო თუ თავ-ჩაღუნული დადის, იმისთვინ არ აბუღრავებს თავისზე დენა მილეთ ხალხს! აგე იმასა ჰფერობს თავის ჩაღუნა და კიდეცა ჰლუნამს. აბა მე რა გადამხედია, რისათვის უნდა ჩავლუნო თავი?

— მაშ ვინც ვაჟკაცს შაჰხვდება და თავს ჩაჰლუნავს, ყველას გადაჰხედია რამე?

— ყველას-კი არ გადაჰხედია მაგრამ ან უნდა გადაჰხედოდეს რამე და პირი ერცხვინება, ან უნდა ულამაზო იყოს და არ უნდა თავისი სისახიჩრე გააგებინოს ვისმე.

— ეგე, შენი პირითვე ჰთქვი! კიდეც მაგას ამობენ ყველანი, რო სილამაზის ხმა აქვ დავარდნილიო, თავი მოჰწონსო და იმისათვინ არავის არიდებს პირსაო.

— ჰო და, რად დავარიდებ, როცა ვიცი, რო არავინ არას მერჩის და მეც გული წმინდა მაქვ!

ამ სიტყვებზე მოასწრო ანასტასიამ, გაუსინჯა საქმე და რა ნახა. რომ არავის არაფერი გაეკეთებინა, მოუგრიხა ხორცი.

VII

წისქვილში.

ერთს წისქვილს—მდინარე იორზედ—წინ უდგა დიდი, „ქუდი ვით შაკრული“ ვერხვი; თითონ წისქვილსაც ვერხვისაგან მიუღია სახელი და ჰქვიან „ვერხვის წისქვილი“. დიდი ამაგი მიუძღვის ამ

ვერხვს მოსაფქვავეთა წინაშე. ზაფხულობით, როცა ძვირდება წისქვილები, ამ ვერხვის „შავი გრილო“ იფარავს მოსაფქვავეთ მზის მწვავე სხივებისაგან: ბევრს მუშაკს ამოუქშენია თავისუფლად, ხანგრძლივის მუშაობის შემდეგ, და გამოუპიმნია ტკბილი ძილი ამ ვერხვს ქვეშ; თანაც ძილში დამტკბარა იმისი მახვილი სმენა ფოთლების შრიალით, რომლითაც ვერხვი თითქოს მძინარეს ნანინანად ეუბნება იმის გულიდგან განუშორებელს ნატვრასაო:

„მუშას წელი ნუ აჰტკივა,
ფურსა ძუძუ, ხარსა ქედი“.

ერთხელ, აგვისტოში ვერხვის წისქვილთან იდგა ოცამდის საფქვავის ურემი. შუადღისას მოსაფქვავენი შეგროვილიყვნენ ვერხვ ქვეშ, ზოგს ეძინა, ზოგი შეექცეოდა ახლად გამომცხვარს ხმიადს და ივრის წყალს, ზოგნი, ახლად გამოღვიძებულნი ტკბილის ძილისაგან, შეექცეოდნენ ყარფუზს. მხოლოდ შვიდიოდ-რვა კაცს მოეყარნა ერთ ადგილს თავი: ზოგი მოკეცილი იჯდა, ზოგი მხარ-თეძოზე იყო წამოწოლილი, ზოგი პირქვე იწვა. პირები-კი ერთმანეთისაკენა ჰქონდათ მიქცეული და საუბრობდნენ ჯერ-ჯერით.

— ეი, კაცებო, თქვენმა გამარჯვებამ, რა ნაირად შამოვარდება-ყე სიცხე! იტყვი, კაცს სული უნდა ამოჰხუთოსო,—სთქვა ერთმა.

— დაიწვა, დაიწვა, თქვენმა გამარჯობამ, ცა და ქვეყნიერობა!— ჩამოაღრთვა მეორემ და შემდეგ სხვებმაც ერთი-ერთ მანეთს.

— ამობენ, კაცებო, მთელ დუნიაზე ეგეთი გვალვააო.

— რატო ერთი ი ელია არ გამოუძღვება ღრუბლებს და არ მაიყვანს წვიმას, რო გაგრილდეს ცა და ქვეყანა!

— ი თხა ხო არ დაუვარდა?

— ან ის ოჯახ-დასაქცევი, ი ბებერი მაინც რატო არ ადგება, რო ქარმა ქროლა დაიწყოს და იმან მაინც გააგრილოს დედამიწა!

— ოჯახი რო დეექცეს! ვაჰ, ერთი წამავლებინა ბმიჰთვინ ხელი, ცოტა ჩვენებიანთ ბაბალეს ჯავრიცა მეპირს, იმი ჯავრსაც იმაზე ვიყრიდი... არ დაიჯერებთ, ბიჭებო, ისიც ჩვენებიანთ ბაბალესავით ბალყუმი იქნება!

— მე კიდე იგრე გავიგონე, რო ე ამოდენა სიცხეები წარღვნი ნიშანიაო. გუშინწინ მინდვრიდამ მივედი შინ და ჩვენ დედაკაცებს მივასწარ ლაპარაკზე, რო სომხი ტერტერებს კარაბადინი გაუხსნიათო და უთქვამთო, რო წარღვნა უნდა მოვიდესო. ორისამი თვე ეგრე ეცხელებაო, მემრე ზამბას ითოვლებსო და ცამ-

დინ ააგებსო. მეეკიდება ბამბას ცეცხლიო და სუ ერთიან გამოიხუხება შიგ ყველაფერიო.

— ხო დაიღუპა მთელი დუნია?

— განა უწინ-კი არა ყოფილა წარღვნა-რა?

— უწინ წყლითა ყოფილა წარღვნა და დიდი წარღვნაცა ყოფილა. ნოეჰთვინ უბრძანებია ღმერთს, რო ერთი დიდი კიდობანი შაკარიო, შენც შიგ შადიო და ოთხ-ფეხი პირუტყვიც და ფრინველებიც შაიყვანე სათესლედაო. ნოესაც შაუკრამ ვეებერთელა კიდობანი, შასულა შიგ თავი ცოლ-შვილით და ყველა ოთხ-ფეხი და ფრინველები შაუყვანია, კამეჩი-კი დაჰვიწყებია. მოვარდნილა ციდამ წყალი და მოუტივტივებია მაღლა კიდობანი. საითაც კიდობანი მიჰქონდა წყალს, კამეჩიც მიჰდევდა თურმე უკან ცურვით და ეძახოდა „ნოე“. იმისთვინა როყინობს ეხლა „ჰოე“, რო ნოეს ეძახის.

— ეი, ბიჭებო, ეხლა არ მოვედი გული ხმას, მართლა ნოე არ გამოდის!

— მა აქამდი არ იცოდი?

— ნოეჰ კიდობანი ეხლაც იგრევ ხელ-უხლებელია; ერთ დიდ მთაზე დგა მარილეთი გზაზე და იმ მთას გაუწყვეტელი ნისლი და ბურვი ახვევია; ძე-ადამიანს ვერ შეუძლიან იმ მთაზე ავიდეს. რამდენმა წმინდა ბერმა მოინდომა თურმე ასვლა, მაგრამ რამწამ მისულა შუა გზას, დაჰძინებია და ანგელოზებს აუწევნიათ და იგრევ ძირს ჩამოუტანიათ.

— ჰო, მეც ე მაგრე გამიგონია.

— ბიჭებო, რა გვეშველება, რო აქავე მოგვაჰწროს წარღვნამ? ეს ოხერი, რაღა ეხლა დაძვირდა ე წისქვილები!

— რამ დაგაფეთიანათ, კაცებო? აი შაგირცხვათ კაცობა! ე მაგრე მალე უნდა შაგეშინდეთ? ტყუილი ხმეთია. ჩვენშიაც გავარდა წარღვნაზე ხმა. მასკვან დედაკაცებს ეკითხნათ ჩვენი ღვდლი ცოლიჰთვინ და იმას ეთქვა, რო მანამ „ჰ“-სა „ჭ“-ში არ მივალთ, წარღვნა არ მოვაო.

— „ჰაე“ და „ჭ“ რაღაა?

— თარიღიაო.

— თარიღი რაღაა!

— მე კიდე აგრე გავიგონე, რო აი ანგლიჩნებმა რო რაღაცა მაშინა გადმოაგდეს, იმაჰ გამოჰყვა ეგეთი გვალვებიო.

— აი, ოჯახი დეექცათ, როგორც იმათ მთელი ქვეყნიაორობა დაღუპეს!

— ნეტავი მითხრა, მართლა არაფერი არ აბია შიგ?

— აბია-კი არა, ცეცხლითა მუშაობსო.

— ეი, თქვენმა გამარჯობამ, ცეცხლით როგო მუშაობს?

— რა ჭკვიანი ხემწიფე ყოფილა, ვისაც ის მოუგონია!

— ჩვენი ხემწიფე უფრო ჭკვიანი არა ყოფილა, რო აი მკლარებზე როა გაბმული, ის მოუგონია!

— ი რაღა არი, ნეტავი მითხრა?

— ის ის არი, რო საჭწრაფო წიგნებსა ჰგზავნიან იმით.

— აბა როგორ?

— ერთი რაღაცა არის ჰეპელასავითაო, იმაში ჩაჰდებენ წიგნსაო და იგრე მოჰკურცხლავსო, რო თვალს ვერ მოჰცხობს კაციო.

— არ დაიჯერებთ, კაცებო, თქვენმა გამარჯობამ, იმ დღეს მე დავინახე, ბუზიჰ ტოლა ჩანდა და სუ ისე სრიკინ-სრიკინი მიჰქონდა.

— კარგი თვალი უნდა, რო ის დაინახოს კაცმა.

— ჩემა მზემ და თავი არ მამიკვდება, მე დავინახე.

— ყველაფერი მაიგონა ე ჩვენმა ხემწიფემ და ე სიკვდილის წამალი კი ვერ მაიგონა, — თქვა ერთმა ხნიერმა კაცმა.

— რაც უფლის დაწერილია, იმას როგო მაიგონებს ხემწიფე!

— ხო უფლიდამ არი ნაკურთხი და რატომ ვერ მაიგონებს?

— იმიტომ ვერ მაიგონებს, რო უფალს იქ უწერია: მავანი კაცი მავან დროს უნდა მოკვდესო და აბა ხემწიფე როგო ამოჰშლის, რაც უფალს დაუწერია?

— ნეტავი რომელი ხემწიფე უფრო ლონიერია?

— ჩვენი ხემწიფიჰთანა ლონიერს არავის ამობენ, სუ ბუინასავით გამოჰყავ ჯარიო.

— რას ამობ. ანგლიჩას ხემწიფეს ამობენ, ლრუბლითა ომობსო.

— ეი, ის ოჯახ-დასაქცევი, რა ლონიერი ყოფილა!

— აბა ცა და ლრუბელიც იმიჰთვინ შაგვიკრა იმ სახ-კარ დაღუპულმა, რო ლრუბლების ხემწიფეცა ყოფილა-და!

— ჰმ! მაგიჰთანებისა მე მკითხოთ, ვინ არი ლონიერი და ვინ არა? — წამოიძახა ერთმა მოხუცებულმა. — ლონიერი ყეენია და ხონთქარი! ყეენი რო ტახტიდამ დაიძვრებაო, მზე და მთვარე დაბნელდებაო; როცა ხონთქარი დაიძვრება, მაშინ კიდევ დედამიწა იძვრებაო.

— ჰა, დედა, აგე ლონივრები ვინა ყოფილან!

— რატო მალ-მალე დაიძვრებოდა ე ხონთქარი!

— ხონთქარი წელიწადში ერთხელ დაიძვრება ტახტიდამაო და ყეენი-კი სამ წელიწადში ერთხელაო.

— მაშინ იმ ოჯახ-დასაქცევმა განაყოფთ ბასილამ მამატყუა? ქვეყნიარობა ერთ დიდ თევზზე დგაო. თევზს ბოლო პირში უქი-

რავსო და როცა ბოლო გეეშვება პირიდამაო და იმი დასაქერად შატოკდებაო, დედამიწაც ინძრევა მაშინაო.

— აბა, კაცებო, რა ოჯახი დაჰქცევია, იმოდენა თევზს წყალი როგო იმაგრებს?

— ბებია ჩემმა კიდე აგრე მითხრა, რო მზე და მთვარეს გველეშაპები დაიქერენ-ყეო და დააბნელებენ-ყეო. მანამ ძირიდამ თოფებს არ დაუშენენ, არ გაუშვებენ-ყეო.

— ჰო და ყენს ჯაჭვითა ჰყავ გველეშაპები დაბმული, და როცა ადგება, მაშინ ცოტა ხან აუშვებს-ყე და მაშინვე მზესა და მთვარეს მისცივდებიან-ყე.

— კარგამც დაბმულები ჰყოლია, თორე ვინ იცის, აქამდინ რამდენჯერ ჩაჰყლაპამდნენ!

— თევზს კიდე ბოლო მაშინ ეშვება პირიდამ, როცა ხონთქარი ადგება-ყე ტახტიდამ.

— მე კიდე ისევ იქა ვარ. ის ოჯახ-დასაქცევი, რა მდიდარი იქნება ი ანგლიჩას ხემწიფეა ვილაცა! მგონია მაშინ მოჰყავ წვიმა, როცა ყანებს უპირს.

— არა, პურით ჩვენი ხემწიფე დაჰკრამსო და ფულით-კი ისასჯობიაო.

— საცა პური იქნება, ფულიც იქ არი.

— ნეტა, ბიჭებო, მუჰადი სხვაგანაც იქნება?

— ჰმ, მაშ უმუჰადო ალაგი იქნება? საცა გლეხი კაცია, მუჰადიც არი.

— გლეხი კაცი რო არ გეეჩინა ღმერთს, ხო არც მუჰადი იქნებოდა ქვეყნიერობაზე?

— ვილაჰთვინ იქნებოდა? წმინდა პური თავადებიჰთვინ გაუჩენია, ქერი პური—აზნაურებიჰთვინ და მუჰადი— გლეხი კაციჰთვინ.

— დახე, 'იმ დასაქცევ ილიას, როგორი კარგი ყარფუზები უყიდნია!..—ამ სიტყვებზედ ყველამ გაიხედა იმ მხრისაკენ, საიდანაც მოდიოდა ერთი ახალგაზდა გლეხი, რომელსაც აქეთ-იქეთ იღლიებში ეჭირა ორი ყარფუზი.

— რა კარგები გიყიდნია, რა მიეცი?—ჰკითხა ერთმა მისაუბრეთაგანმა, როცა ყმაწვილი გლეხი მოახლოვდა მათთან.

— თითოში რვა გროშიკი მივეცი-და!

— დაიჯერე, კარგებისაა.

— მაიტა, ერთი პირი გაგვასველებინე!

— ვერას გაიგებთ! აგე ბაღი, წადით და გაისველეთ. ამ ყარფუზებს სხვა პატრონი ელით.

— აი, შე დასაქცეო, შენც-კი მიგიხარიან ი გოგოჰთან!

— არ მეყოფა? კინალამ არ დავშლექდი ამ ერთ კვირაში.

— ეგ იმიჰთვინ მოგვიდა, რო გაღმა არ წაიღე და აქ წამაიღე.

— კაცმა ყველაფერი უნდა გამოჰცადოს. ვთქვი, იორში უნდა წავიღო-მეთქი და სიტყვას აღარ გადავველ.

— რა გინდა, მოსაკითხისათვინ ხო მაააჰწარ-და!

— მოსაკითხიჰთვინაო! ერთი სიტყვით, მეწისქვილეებსაც და მოსაფქვავეებსაც სუ დავხანჯლავდი, სამარიამობოთ, რო ვერ მამეჰწრო დაფქვა და მოსაკითხი გასაგზავნი დამრჩომოდა. შენ არ იცი, რო მელიას მეძახიან?—ყმაწვილი ბიჭი გაემგზავრა ერთი ურმისაკენ, რომელზედაც ფქვილის საცალოები ედო, ჩააწყო ურემში ყარფუზები და დაუწყო შესაბმელად მომზადება.

— რა ყოჩაღი ბიჭი ჩანს?

— ყოჩაღი და მაგრე!

— არა, ზედ ეტყობა-და!

ღმერთმა დალოცოს მაგისი გამდლის ძუძუ, ერთი სიტყვით, მთელ დუნიაზე არ დაიბადება მაგითანა ფოლადიანი ბიჭი!

— რა გუთანზედაც ეგ ღამი მეხრედ უდგა, იმ გუთნი ხარი ვერ გაიგებს, რო გუთანში აბია.

— ეი, მე რო ეგ მინახამ, რიგო უმარჯვებს ხარს ი ბალახს! როგოი ვიწრო კვალიც უნდა იყოს, იგრე გაატარებს შიგ მთელ გუთნეულს, რო იტყვი ერთი ხარიაო.

— აბა, მკლავ-მარჯვენაც მაგაჰ შარჩება აი!

— გუთნი დედები სუ ერთმანეთს ეცილებიან და ჩხუბი მოჰდით მაგი გულისათვინ.

— აბა რა თქმა უნდა, რომ ყველა გუთნი დედას კარგი მეხრე უყვარს!

— ღამეში სამჯერ-ოთხჯერ თუ არ დააძღო ხარი, გული არ მოუსვენებს, და გუთნი დედა ხო ვერ მიაჰწრობს იგრე, რო ჰაგაჰ გუთანი შაბმული არა ჰქონდეს.

— ღმერთიც მაგიჰთანა კაცს მოუმართამს ხელს!

— აკი უმართამს. ერთი ბეწვა ბალღი დარჩა ობლად. მამისა არაფერი არა დარჩომია რა და თავისი მხნეობით იგრე მაიყვანა სახლი, რო მართლა კარგა...

— ღმერთსაც უყვარს მაგიჰთანა გამრჯელი კაცი და კაცსაც!

— არა, ეტყობა ი ყველაფერში, რო ძალიან ფოლადიანი უნდა იყოს. ჰე, როგო ლაზათიანად გადაუტყლაშუნა ი შოლტი. ჰე, შეგრჩეს ეგ მარჯვენა!

ამ ლაპარაკის დროს, რომელიც სრულიად არ ესმოდა ილიას, შეაბა ურმები და გაუყენა გზას. მოსაუბრენიც დაიშალნენ. ზოგმა ხარები გარეკა საძოვარზე, ზოგი ადგა, უსაქმობისაგან და-

თენთილი, ცალი ხელით იქექებოდა, ცალი-კი უბეში ედო და გასწია უაზროდ, თითონაც არ იცოდა, საით; ზოგი იქავე დარჩა, მაგრამ საუბარი-კი შესწყვიტეს.

VIII

ᲛᲖᲬᲐᲕᲠᲔᲑᲘ

ᲑᲣᲜᲔᲑᲐ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲦᲕᲘᲫᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲨᲣᲐᲓᲦᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚᲘᲐ. ᲡᲝᲤᲔᲚᲘ №-ᲓᲐᲛ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲔᲛᲖᲐᲕᲠᲐ ᲛᲠᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲔᲠᲗᲘᲐ ᲓᲐᲧᲐᲯᲠᲣᲚᲘ ᲙᲕᲘᲪᲘᲐᲜᲘ ᲪᲮᲔᲜᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲜᲐᲪ ᲘᲯᲓᲐ ᲨᲐᲚ-ᲬᲐᲛᲝᲡᲮᲛᲣᲚᲘ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ. ᲥᲐᲚᲘ ᲤᲘᲪᲮᲘᲡ ᲣᲬᲐᲜᲒᲝᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲡᲛᲔᲑᲨᲘ ᲔᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲔᲭᲘᲠᲐ ᲡᲐᲑᲐᲜᲨᲘ ᲒᲐᲮᲕᲔᲣᲚᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ. ᲧᲐᲯᲐᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ, ᲣᲜᲐᲒᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲕᲔᲢᲔᲑᲨᲘ, ᲘᲧᲝ ᲩᲐᲙᲠᲣᲚᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲮᲣᲠᲯᲘᲜᲘ: ᲔᲠᲗᲝᲡ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲡ ᲑᲝᲮᲩᲐ ᲘᲓᲝ, ᲛᲔᲠᲝᲔ ᲗᲕᲐᲚᲨᲘ-ᲙᲘ ᲘᲓᲝ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲝᲗᲘᲡ ᲞᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲘᲓᲒᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲭᲘᲞᲚᲐ ᲦᲕᲘᲜᲝ — ᲠᲫᲘᲡ ᲕᲐᲮᲨᲐᲛᲘ. ᲪᲮᲔᲜᲘᲡ ᲯᲘᲚᲐᲕᲘ ᲔᲭᲘᲠᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲓᲐ ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚ ᲑᲘᲭᲡ, ᲛᲝᲠᲗᲣᲚᲡ ᲡᲐᲛᲔᲤᲝ ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲙᲐᲜ-ᲣᲙᲐᲜ ᲘᲮᲔᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲝᲓᲐ ᲥᲐᲚᲡ. ᲥᲐᲚᲘ ᲮᲐᲜ-ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲗ ᲘᲛᲐᲮᲝᲓᲐ: „ᲠᲫᲔ-Ო, ᲠᲫᲔ-Ო, ᲬᲐ-ᲛᲝ-ᲓᲘ, ᲒᲘᲒᲘᲐᲡᲐ ᲰᲨᲘᲐᲜ!“

ᲠᲝᲪᲐ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲛᲝᲨᲝᲠᲓᲜᲔᲜ ᲡᲝᲤᲔᲚᲡ, ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲛᲐ ᲙᲐᲪᲛᲐ ᲛᲘᲰᲛᲐᲠᲗᲐ ᲥᲐᲚᲡ:

— ᲔᲠᲗᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲘᲡᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲘᲖᲐᲠᲓᲝ Ე ᲒᲘᲒᲘᲐ, ᲠᲝ ᲚᲝᲛᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲝ!

— ᲛᲔ ᲠᲐ ᲒᲐᲒᲘᲖᲐᲠᲓᲝ-ᲠᲐ! — Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ ᲥᲐᲚᲛᲐ ᲦᲘᲛᲘᲚᲘᲗ ᲓᲐ ᲜᲔᲑᲘᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲘᲚᲝᲖᲔᲓ. — ᲛᲔ ᲫᲣᲫᲣᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲔᲚᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲝᲕᲐᲙᲚᲔᲑ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲓᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲖᲔ ᲰᲙᲘᲓᲘᲐ.

— ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲰᲙᲘᲓᲘᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲗᲣ ᲨᲔᲜ ᲒᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲒᲐ ᲛᲝᲣᲕᲚᲘ, ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲪ ᲮᲔᲚᲡ ᲛᲝᲣᲛᲐᲠᲗᲐᲛᲡ.

— ᲛᲐᲠᲗᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲮᲝ ᲐᲠ ᲐᲠᲘ, ᲠᲝ ᲛᲔ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲓᲔᲡ? ᲨᲔᲜᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲘᲧᲕᲐᲠᲓᲔᲡ.

— ᲛᲔ ᲓᲐ ᲐᲠ ᲛᲘᲧᲕᲐᲠᲡ! ᲩᲔᲛᲐ ᲛᲖᲔᲛᲔ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲛᲐᲛᲘᲙᲕᲓᲔᲑᲐ, ᲔᲰ ᲡᲐᲛᲯᲔᲠ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲛ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲨᲘ, ᲠᲝ ᲛᲘᲗᲝᲛ ᲒᲘᲒᲘᲐ ᲓᲦᲘᲡᲘ ᲛᲔᲮᲠᲔᲗ ᲒᲣᲗᲐᲜᲖᲔ ᲔᲓᲒᲐ.

— ᲣᲘ, ᲘᲛ ᲓᲦᲔᲡ ᲨᲐᲕᲔᲡᲬᲠᲝᲑᲘ?

— ᲰᲐᲘ ᲗᲣ ᲦᲛᲔᲠᲗᲛᲐᲪ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲐᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ! ᲘᲒᲔᲗᲘ ᲠᲐᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲕᲐᲜᲝ, ᲠᲝ ᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘ ᲬᲚᲘᲡᲐᲡ ᲦᲐᲛᲘ ᲛᲔᲮᲠᲔᲝᲑᲐ ᲨᲔᲔᲫᲚᲝᲡ. ᲘᲒᲠᲔ-ᲙᲘ ᲐᲠ ᲕᲣᲗᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲛᲐ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲛᲔ ᲛᲘᲧᲝ, ᲠᲝ ᲛᲘᲰᲮᲐᲕᲐᲜᲐ ᲙᲐᲢᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲣᲨᲕᲐ ᲩᲔᲛ ᲑᲔᲓᲝᲑᲐᲖᲔ. ᲦᲕᲗᲘᲗ, ᲔᲮᲚᲐ ᲧᲕᲔᲠᲘ ᲮᲐᲠᲘ ᲛᲧᲐᲕ. ᲛᲘᲜᲐᲛ ᲒᲘᲒᲘᲐᲡ ᲛᲔᲮᲠᲔᲝᲑᲐ ᲨᲔᲔᲫᲚᲔᲑᲐ, ᲝᲗᲮ-ᲮᲣᲗ ᲣᲦᲔᲚᲔᲚ ᲮᲐᲠ ᲨᲐᲕᲣᲠᲐ.

მაშინ ყველანი შემეხვეწებიან, რო შაუბა ხარები და გიგიაც მივაყოლო ლამი მეხრეთ; მე კიდე შინ დავტრიალდები.

— ეი, ეს უნდა ლამე ხარში ატარო და შენ-კი შინ გამაიძინო? დიაღ!

— არ გამოვიძინებ კი, შინა საქმეს გავაკეთებ. მინამდინ კიდე დავბერდები,—უპასუხა ლიმილით.

— დაჰბერდები, თუ რაც მოგივა, მე ამას იგრე პატარას ვერ გავიმეტებ სალამი მეხრეოდ.

— როგო, შენა გგონია, მე-კი გავიმეტებ? მე ვამობ, ისეთი უნდა გამოვიყვანო-მეთქი, რო ღლისი მეხრეობა არ იკადროს და პირდაპირ ლამის მეხრეობა მაინდომოს თითონვე. მე განა დიდი ვიყავ, ლამი მეხრეობა რო დავიწყე-რა! მეც ხუთმეტ-თიქვსმეტი წლისამ დავიწყე ლამი მეხრეობა.

— შენი საქმე სხვა იყო და ამისი საქმე სხვა არი. შენ არაკი გახსომს მამა და ამას, მამა ღმერთმა უცოცხლოს, რა აქვ გასაჭირი?

— გასაჭირი-კი არა გვაქვს-რა, მაგრამ, მე ვიქნები, თუ ეგა, უნდა ერთ-ერთმა აუცილებლად ლამი მეხრედ ვიაროთ, ამიჰთვინ რო ხარები გვყავ და იმათი თავის დანებება და სხვის ხელში ჩაყარა არ იქნება. ხარები რო კაცმა უპატრონოდ სხვისა ხელში ჩაყაროს, იმათი იმედი აღარ უნდა ჰქონდეს; ხო გაგიგონია, „ხარი სხვისაო და სახრე ტყისაო“. პატრონი-კი რო გვერთ ეყოლებათ, ბალახსაც მიუმარჯვებს და ტოლის დადებითაც არ გაალახვინებს. შენ არ იცი მეხრეების ეშმაკობა!

— მეტი რა გამიგონია მამი ჩემისაკან.

— ჰო-და ე მაგას გეუბნები, რო ეგრეო!

— ღმერთმა კეთილის ყურით გაიგონოს! მამეულთიდამ მოჰდგამს ჯიში და დედეულთიდამ. მამა ჩემი არ არი, რო, რაც გამოზდილა, სუ გუთანი ეჭირამ.

— ეჰ, კაცი თითონაც უნდა გამოვიდეს, თორე მამა ჩემს თავისი სიცოცხლე, მოჯამაგირობაში დაულევნია, მაგრამ მე არაკი ვიცი, მოჯამაგირობა რასა ჰქვიან. მეც რო მამი-ჩემის კვალზე წავსულიყავ, ეხლა სხვის ხელში შამყურე ვიქნებოდი. მაშინ ხო ზედაც აღარ შამამხედავდი!—დაუმატა ლიმილით.

— მე-კი შამოგხედამდი, თუ მამა ჩემი შამამახედებდა. სუ ეგეს ამობდა: „იგეთ ოჯახში უნდა ჩავაგდო ჩემი მარიკოვო, რო, ვინიცობა არი, ქვრივი ბა ეწერეს და დაქვრივდესო, ვენახების ღობეებმა შაინახონო“.

— ეი, გამოჰკრა ამანაც!

— ო, გიგიას სიცოცხლემ!

— მაშ მე რათ მამათხოვა შენი თავი, რა გადაქიმული ზვრები მე მაქვ?

— შენ სხვა ხარ. შენიდამ რო მაჭანკალი მოვიდა, დედა ჩემი და მამა ჩემი ეკითხებოდნენ ერთმანეთს, მე-კი ჩუმად ყურს ვუგდებდი. მამა ჩემმა თქვა: „მე არ დავარიდებ იმას ქალსაო. მართალია, ძირეული ოჯახი არა აქვსო, მაგრამ თითონ მხნე ბიჭიაო; მამა-პაპისა არაფერი არა დარჩომია-რაო, მაგრამ თავისი მხნეობით სახლი ყოჩაღად მაიყვანაო“.

— სწორედ მითხარი, შენ რა სთქვი მაშინ შენ გულში?

— რა ვთქვი? იგრე გაიხაროს ჩემმა პატარა ქმარ-შვილმა, როგორც მე მაშინ გამიხარდა.

— ჰაი თუ შენც-კი მისვამ თავზე ქონს! — უთხრა ღიმილით.

— იგრე მართლა ღმერთმა მე შამარჩინოს პატარა გიგიას თავი, როგორც მართალს მე ვამბობ! ქმარსა და შვილს ტყუილად დავიფიცამ?

— გეხუმრები, განა მართლა გეუბნებიო-რა!

— განა არ ვიცი, რო მეხუმრები, მაგრამ ხუმრობასაც თავისი საბუთი აქვ.

ამნაირი ლაპარაკით შევიდნენ მგზავრები სოფელ მრავლეთში, რასაკვირველია, ამ მგზავრებში ყველანი იცნობენ ილია თვალიაშვილს თავისის მეუღლითა და ძით.

ილია თვალიაშვილმა, ოქროულას შვილმა დასდო ხელი ივანე მეშველიშვილის ქალს მაროს, ანასტასიას შეგირდს. გადაიხადა ქორწილი. სანათლიღებოდაც მოუვიდნენ მაროს წესისამებრ ორის თვის უნახავი დედ-მამა და ნათესავები, მაგრამ მაინც ამათმა ნახვამ ვერ მოუკლა სრულიად წყურვილი „სამშობლოს“ ნახვისა. იმის გულს იზიდავდნენ ის ადგილნი და სწორ-ამხანაგნი, სადაც და ვისთანაც გაატარა თავისი სიყმაწვილის დღენი და ყოველთვის ნატრობდა იმ წუთს, როდესაც იზამდა პირს სამშობლოსკენ. ეს წუთიც დადგა იმისთვის ჯვარის წერის ექვსის თვის შემდეგ, როდესაც მისმა უფროსმა — დასანიშნად ბომბადებულმა — ძმამ შემოუჭენა ეზოში ორი შეკმაზული ცხენი იმის წასაყვანად სამშობლოში მოსალოგინებლად. იმავე დღეს საღამოზედ მარო ოჯდა ნშობლებთან და შეეკცეოდა. მოიკლა წყურვილი. დალოგინდა კიდეც და ეყოლა ვაჟი, რომლის მომავალ ბედზედაც მოსაუბრობდნენ გზა-გზა ცოლ ქმარი.

როცა მგზავრები შემოვიდნენ სახლის ეზოში, ოქროულა გაექანა, ჩამოართვა რძალს თავისი შვილი-შვილი და შეარბეინა შინ. ოქროულა ძლიერ გახარებული იყო, რომ ილიას პირველად ვაჟი ეყოლა. სულ იმას იძახოდა, ახლა კი მოჰხედა ღმერთმა ჩემ

ილასაო, ძმასავით მეესწრეპა შვილი და ობლობას სულ დაავიწ-
ყებინებსო. რაწამს გიიგო ოქროულამ, რომ მაროს ვაჟი ეყოლაო,
მოამზადა ოოგინის ძღვენი და მესამე დღესვე გაემგზავრა ახლად
მშობიარე რძლისაკენ. ბევრი ჰკოცნა, ბევრი ეალერსა თავის პა-
ტარა შვილიშვილს, მაგრამ მაინც ვერ გაძღა იმის კოცნით და
ალერსით ნახევარის დღის განმავლობაში. ამისთვის სახლში შეეყვა-
ნის უმალვე დაუწყო ბავშვს ხანგრძლივი კოცნა და ალერსი. როცა
მოიოხა გული კოცნით, დაიწვინა კალთაზე, ააპყრო მაღლა ხე-
ლები და დაიწყო: „იი, მაღალო ღმერთო, შენ აჩუქე და გაუზარდე
თავის პატრონს!... შენ გაიფუფუნე ამ ფუზე-კარზე და მიეცი
შენი წყალობა და გამარჯვება! შენ მიე მკლავში ღონე და ხელში
ბარაქა, ჯანის სიმთელე და გულის სიმხიარულე! შენ შემაჰსწარ
ამის ბედნიერობას და გადუქცივე ამას ლხინად, რაც ამის უბედურ
პაპას ტანჯვა და უსამართლობა გამოუვლია, და ამას შაჰმატე იმისი
დანაკლისი დღენი!“

IX

დაწუება ხაძვისა

ᲚᲠᲝᲗᲐ ვითარების გამო მრავლეთში სასოფლო თვალსაჩინოდ
გადიდდა. მთელ მამულაშვილების ნასახლკარი და ნახევარი საფუ-
ტკრისა სასოფლოს შეემატა. საფუტკრის მეორე ნახევარი-კი არ-
ტემა არზუმანოვმა შემოღობა თავისთვის. მამულაანთ სახლისა თი-
თო ადლის სიმაღლე კედლის ნანგრევები-და იყო დარჩენილი და
შიგ ღამ ღამე ზაფხულობით არტემას საკლავი ძროხები და ცხვრე-
ბი ეყარნენ ხოლმე. მარნის კედლები, თუმცა ისევ ხელ-უხლებე-
ლი იყო, მაგრამ ქერი-კი ზედ ადარ ედგა და ქვევრების გამოზი-
დვაში კარებიც ჩამოენგრიენთ. მარცხენა კუთხეში შიგნიდამ
უკან მიშენებული ჰქონდა ბატარა ქობი, შამბნარით დახურული.
ამ ქოხში სცხოვრობდა არტემას ნათლიმამა ზაქარია მამულაშვი-
ლი, რომელიც ერთად-ერთი ღა დარჩა თავის ეზო-ყურეში და
სხვა თავისის ძმებისა და ბიძაშვილებისავით არ გადავარდა სხვა-
ვან: იქნება იმისთვის, რომ თავის ნათლიას „სამადლოდ იოლას
მიჰყვანდა.“ არტემას საკლავებს დასდევდა და თვეში იღებდა იმი-
სგან სამ მანათს ავეჯით. წინანდელ ბატარა დუქნის ალაგას არ-
ტემამ ააშენა ორი თვალი ქვითკირის დუქანი: ერთ თვალში იყო
ფარჩის დუქანი, მეორეში ბაყლისა და საწვრილმანოსი. ორი-
ვე დუქანს არტემა თვისის ფულით ამუშავებდა. რადგანაც
არტემამ ბევრი ვენახი შეიძინა და დიდ ზვრებად გადააქცია, ხი-
ლობის დროს ცოლ-შვილი მოჰყვანდა ხოლმე მრავლეთში: „გაი-

ხარებენ ყურძნით სავსე ვენახშიო.“ ამისათვის საჭიროდ დაინახა არტემამ სახლის აშენება და კიდეც ააშენა თავლაზედ ორ ოთახიანი ქვითკირის სახლი, ფართო აივნით, და უკანაც ბაღი გაუკეთა „საგულაოდ“. ეზოს გარშემო შემოავლო მაღალი ძეძვის ღობე და სახლის წინ დადგა დიდი ალაყაფის კარები.

ერთს კვირა დღეს სასოფლოზე ჩვეულებისამებრ შეყრილიყო ხალხი. ზოგი იდგა ჯგუფ-ჯგუფად დუქან წინ, ზოგნი ისხდნენ, დაფანტულად, იმ ხეხილებს ქვეშ, სადაც როდესღაც ელაგა ფუტკრის გეჯები. ერთს ფურცელზედ, ნასაფუტკრალშივე, გამობმული იყო ლურჯი ულაყი ცხენი და ხელს უსვამდა ერთი არტემას მოჯამაგირეთაგანი. თვითონ არტემაც იქავე იდგა და, ქოშებით და ხელში კრიალოსნით, სიამოვნებდა ცხენის ჭიხვინით და მაღლა-მაღლა ხტუნვით. ამ ჟამად არტემა არ იქნებოდა ორმოცდახუთის წლისაზე მეტი. იგი საზოგადოდ მოხდენილი კაცი იცო. მსუქანი და მრგვალი პირისახე მოპარსული ჰქონდა, ულვაშები ქერა და პატარა, წარბებიც ქერა, ცხვირი ზომიერი და თვალები ჭროღა. თავზედ ეხურა „კარტუზი“, წინ გადმოწეული; მოკლე, თეთრიანი ჩითის ახალუხი ეცვა და ვიწრო შალვარი, კოჭებამდის ჩამოშვებული. წელზედ ერტყა ოქროს წყალში დაფერილი ვერცხლის ქამარი და გულზედ საათი ჰქონდა გაკეთებული. ტანად წამოსადეგი იყო და ღიპის გადიდებაც შეჰპარვოდა ცოტათი. არტემა ძალიან ჭკვიანი და მოხერხებული კაცი იყო. თუ წინად „რეტიანსა“ და „დაუჭტვინეს“ ეძახოდნენ, ეხლა დიდის მოწიწებით მიჰმართავდნენ ხოლმე: „ხაზეინო“ ანუ „აღაო“. მხოლოდ ერთი ცუდი ხასიათი დასჩემდა ბოლოს და ბოლოს დროს: წრეს გადასული გულფიცხი იყო. ერთად-ერთი მაღალი სიტყვა იყო საკმარისი, რომ ყბები ზედ შემოემტვრივნა მა-ქმელისთვის. არტემა არავის არ არჩევდა, ყველა ერთი იყო იმისთვის: სუდია იქნებოდა, მწერალი, თუ უბრალო კაკი. მხოლოდ მამასახლისს უთმობდა ყველაფერს, ისიც მეგობრობის გულისთვის და პურ-მარილის პატივისცემით. ძალიან იშვიათად მოხდებოდა ხოლმე, რომ უერთმანეთოდ პური ეჭამათ. აი ეხლაც არტემასთან იდგა მამასახლისი თავისის ამალით, სუდიებით და იღლიაში დავთარ ამოჩრილი მწერლით, და ეხუმრებოდა, ელაზღანდარავებოდა. ხუმრობასა და ცხენის ყურებას მაშინ დაანებეს თავი, როცა არტემას სახლიდამ გამოვიდნენ და გასწიეს იმათკენ არტემას მეუღლე მაქთაღინამ და ერთმა კნეინამ —სამზეურებით ხელში. მაქთაღინას წინ მოუთამაშებდნენ ორი გიმნაზიურ ტანსამოსიანი ვაჟიშვილი და ერთი პატარა ბავშვიც უკან ბიჭს მიჰყვანდა. სახლის კარების გასაღები რომ გადასცა მაქთაღინამ ქმარს, უთხრა:

— კნეინა მეპატიჟება ბაღში და კიდეც „გავიგულავებთ“.

— ცარიელებ-კი არ მოხვიდეთ, კნეინავ! — მიაძახა არტემამ, — ცოტა მსხალი წამოიღეთ!

— ბატონი ხარ!—სთქვა პასუხად კნეინამ.

ფიქრი და ვარამი დანარჩენის ხალხისა სულ სხვა იყო. ერთგან მეველე ედგა მოწანახედეს პირში და ამტყუნებდა; მეორეგან შესჩიოდნენ ერთმანეთს, რომ წელს სულადი ძალიან იაფად გაკვეთესო, მესამეგან გუთანზე ეთვლებოდნენ. ერთის სიტყვით, რამდენიც გროვა იყო ხალხისა, იმდენი სხვა და-სხვა ნაირი საგანი იყო საუბრისა. ერთს ადგილს იყო მეტად საინტერესო ბაასი. ამ ადგილს მოგროვილიყვნენ სულ ისეთი ბიჭები, რომელნიც იყვნენ ერთმანეთთან შეკავშირებულნი მუშაობის სიყვარულით.

— კაცო, შე ოჯახ დასაქცეო, ოთხი-ხუთი წელიწადია, სუ ჩემი მოდგამი იყო ე ილია, ეხლა რისთვინ-ღა გადამიბირე?—ეუბნებოდა ერთი გუთნისდედა მეორეს.

— კაცო, ან ოჯახ რიჰთვინ მიქცევ და ან სხვასა? კაცია და გუნება! ილიას თითონ ალარ უნდოდა შენთან შათვლა და ჩემ გუთანზე შეეთვალა. შენა გგონია, მე ძალად გამოვიყვანე? აი ჰკითხე, კარამც აქ არი. ილავ, მე ძალად გამოგიყვანე, კაცო, ამიდამ?

— ძალად როგორ გამამიყვანდი, ჩემი ქეიფი იყო და შეეთვალე შენ გუთანზე! აბრიას არ ეყო, ოთხი-ხუთი წელიწადი სუ მაგი გუთანზე ვედექ?

— ბიჭო, არა კრცხვენიან, რო მაგდენი ამაგი შენიცა და ჩემიც გააცრუვე, შე ოჯახ აშენებულო? რა დაგიშავე იგეთი, რო ემაგრე ქვა მამაგდე?

— რა ვქნა, აბრი, ვინ ამობს, რო დამიშავე რამე? ოთხი-ხუთი წელიწადი სუ შენთან ვხნამ და ვსთესამ, სუ შენ ხო არ შამოგაბერდებოდი? მეცა ვთქვი, ახლა სხვაჰთან შეეთვლები, ვნახოთ, რა იქნება-მეთქი. რა ვიცი, იქნება ბედი ახლა სხვანაირად დამიტრიალდეს!

— არა, ჩემო ძმაო, რაც უნდა ჰქნა, მე შენ თავს არ დაგანებებ! არ ვიცი ამი გაიძვერა თავის ამბავი, შაგაგულიანა და გაგიყვანა ჩემიდამ.

— არ დაანებებ თავსა-რა, ონაობაა?

— ჩემა მზემ, ცოცხალი თავით თავს არ დავანებებ! თუ არა და, წილი უნდა ვყაროთ და ვისაც ერგოს, ერგოს!

— მოდი, მართლა, ერთი ყარეთ წილი! — წამოიძახეს ილასთან მსხდომმა ბიჭებმა, — და რაც გახდეს-გახდეს!

— იქნება თითონ არ უნდა წილის ყრა! ილავ, ვყაროთ წილი, ყაბული გაქვ?

— ჰყრით და ყარეთ, მე რა მენაღვლება!

— მე გავწყრები! — წამოიძახა ერთმა.

— არა, შენ მიხას დაუჭერ მხარს, აი გიო გაწყრეს!

— გიო კიდე შენ მხარეს დაიჭერს!

— მაშ, აი, ეს ღვთის კაცი გავაწყროთ, — წაავლო აბრიამ ერთ ბიჭს ხელი.

მოქიშპეც დასთანხმდა. ბიჭი გავიდა მობაასეთაგან, ორმოც ნაბიჯზედ გადგა, იმათკენ ზურგ-შემოქცეული, ორივე ხელები მაღლა აიშვირა, ერთი მომუჭული, მეორე ტაშად გაშლილი. ერთი გუთნისდედა ეუბნება მეორეს ჩუმად:

— თუ მუჭტი ჩამოიღოს, ილა იგრევ მე დამრჩეს, თუ ლავაში, შენ.

— აბა, ჩამოიღე! — დაუძახეს გაბუტულს და იმანაც ჩამოიღო ლავაში ანუ სილა.

— ოჰ, მიხას ერგო, მიხას! — შეეძენეს კიჟინი: — მიხავ, ტომბახი, ტომბახი!

— რაჰ მაშინებთ, რა? ძლივ ჩავიგდე ხელში ერთგული ღამი მეხრე და თავ გავიხრი? ჩემი დღენი დატანჯული ვიყავი ღამი მეხრეებისაგან. ის ოჯახ-დასაქცევნი, შაჰრეკამდნენ ბაკში ხარს და ითითონ კარებზე მოუწვებოდნენ. გათენებამდინ შიგ ეყარათ, გათენებისას მოჰრეკავდნენ ხარებს ფერდიფერდს უცყმდათ შიმშილისაგან. აბა, მოდი და მშიერი გუთნეულით მოჩიჩქნე რამე! იმ ულმერთოებს, არც თავისი ენანებათ და არც სხვისა. როცა ესეები გადამხედია, ეხლა უჯრს ვიტყვი ტომბახზე, რო ილა ხელში ჩავიგდე! ძაიტა, ილავ, ხელი, რო აღარ გამიმტყუნდები!

— ჩემი სიტყვა სიტყვაა! როცა პირობა მოგე, კიდეც შეავასრულებ! — უთხრა ილია თვალიშვილმა და მისცა ხელი.

სიტყვას „ტომბახი" ყური მოჰკრეს სუდიებმა და მწერალმა და მიაშურეს ბაასის ადგილისკენ. როცა გაიგეს, საქმე რაშიაც იყო, ჩაავლეს მიხას ხელი და მიიყვანეს დახლთან.

— ემათ არაყი დაალევინე, გეურჭ! — უთხრა დახლიდარს მიხამ.

— ფული სტოიკაზე!

— საღამოზე მოდი კალოზე და პური წამოიღე.

— რამითი ტრიცეტკა?

— რა ვიცი, ერთი იყოს თუ ორი.

— ორი ტრიცეტკა რამდენ ერთს?

— ყველას რო მივყვე, სად წავა? ერთი საპანე არაყი არ მეყოფა.

ყველას ვინ გეუბნები, აი ეს პატიოსანი კნიაზი ბძანდება

აქა, სუდიეპი, მწერალი, ეს პატიოსანი ხალხი. სირცხვილი არ იქნება, რო ერთმა დალიოს და მეორემ უყურეოს?

— ჰა და რა ვიცი, აბა რამდენისა ეყოფათ?

— ეგ ჩემზე მააგდე!

— ჩვენ-კი დამაღი ჩამოგვივიდა მაგდენ ლაპარაკში-და! — წამოიძახა „კნიაზმა“, რომლის პასუხადაც დახლიდარმა მიართვა ყველაზედ უწინ რუმკით არაყი.

ამ გარემოებამ ილია მეტად აღტაცებაში მოიყვანა: რასა ლაპარაკობდა ანუ რასა შვრებოდა, თითონაც არ ესმოდა. მხოლოდ იმას-კი სცდილობდა, რომ ამხანაგებს არ შეემჩნიათ იმისთვის აღელვება და მოუმატა ლაპარაკს.

— ე გუთნი დედა ხო კარგი ვიშოვნე, — დაიწყო ილამ: — და გუშინ ჩ—ში ი წამოსასხამი იაფინჯიც რო მეყიდნა, ჩემს ბედს ძაღლი აღარ დაჰკეფამდა! ჰეი, თქვენმა გამარჯობამ, რა ვნახე ისა! ვაი, რო ჯიბეში ერთი მანათი მაინც არა მქონდა! კაცებო, ერთ კაცს ერთი იაფინჯი ესხა, იგეთი, რო მართლა და თქვენი მოწონებული. მემრე, იცით, როგო აფასებდა? ორი მანათიო! იაფინჯი იგეთი, რო რატო თორმეტ-ცამეტ მანათად არა ღირდა. ბევრი ვიეც გულში, მაგრამ... არც იმ ოჯახ-დაქცეულ მამიდა ჩემსა ჰქონდა იმ ხელად ფული. ერთი მანათიც რო მგდებოდა ჯიბეში, ნამდვილად მანათად გამოვიტანდი.

— რა ღმერთი გასწყრომია, რო იგრე იაფადა სდომებია გადაგდება? — წამოიძახა ერთმა.

— უთუოდ ნაპარავი იქნებოდა, — წამოიძახა მეორემ.

— რა ვიცი, ნაპარავი იყო თუ რაც იყო, ორ მანათად-კი ჰყიდდა ახალ იაფინჯსა-და!

ამ სიტყვების შემდეგ მივიდა იმასთან „კნიაზი“ და უთხრა:

— ილიავ, შენ იცი, რომ მე სახლი გამიტეხეს და „ვეჰჩები“ დამპარეს?

— რა ვიცი. ბატონო, მე არაფერი გამიგია.

— ხო იცნობ იმ კაცს, ვისაც იაფინჯი დაჰქონდა გასასყიდად?

— როგორ ვერ ვიცნობ.

— მამასახლისო! — მიჰმართა კნიაზმა ჭის-კარებიდამ გამოსულს მამასახლისს: — შენ ხომ მოგეეცი განცხადება — თან თვალი უყო, — რომ მე სახლი გამიტეხეს? აი, ეხლა ჩნდება ქურდი, ოქროულას ბიჭს უნახამ. ილიავ, აღარ გადაჰსთქვა, აი! ის იაფინჯი სწორედ ჩემი იქნებოდა.

— გადავთქვა რა იმისი შემეშინდება-რა? დაიცა, ჩემ მეზობელ გადვუდგები და სხვათა სოფლის კაცს მივუდგები?!

— ჰაი, შე დასაქცეო, ილიავ, ჩაიქე, რა სამთხრობლოს აიღებ!—უთხრეს აქეთ-იქიდამ.

— მაგაჰ რა აქვ, რო მე რა მამცეს!—წარმოსთქვა ილიამ ისე, რომ „კნიაზს“-არ გაეგონა.

— შეშა-ფიჩხს ხო გამოგატანინებს მუქთად, თუ სხვას ვერას მოგცემს.

კიდევ ბევრი ილაზღანდარა ილიამ თავის სწორ-ამხანაგებთან და შემდეგ გახარებულმა ჯერ იმითი, რომ იმაზედ ცილაობა ჰქონდათ გუთნი-დედებს საქვეყნოდ და მერეც იმითი, რომ თაყის ნაბატონარს ასიამოვნებდა, გასწია შინისკენ. ხალხიც მალე დაიშალა. ყველაზე დიდხანს დარჩა სასოფლოზე „კნიაზი“, რომელსაც მიჰმართა მამასახლისმა:

— „კნიაზო“ შაქრო, დღეს ერთადა ვეამოთ სადილი!

— დაიჯერე; შენ დღეს მაგისთანა კარგი არა გითქვამ-რა. სადა?

— ან თქვენსა ან ჩვენსა.

— ჩვენსა ხელს ვერ მოგიწერ და თქვენსა-კი ძალიან კარგი იქნება.

— საცა იქნება, ერთად-კი უნდა ვისადილოთ დღესა-და! ეჰ, რაღა საცა, მოდი და წავიდეთ ისევ ჩვენსა.

— ეგე, ეგ მოგიხდა!—და დაედევნა „კნიაზი“ მამასახლისს.

X

მამასახლისისა

ეზე კარგად გადახრილია. მამასახლისი და კნიაზი შაქრო სხედან მამასახლისის სასტუმრო ოთახში და შეექცევიან. თითქმის შუა ჰურის ჭამაში არიან შესულები, მაგრამ სუფრას-კი არა ეტყობა-რა. კაცი იფიქრებდა, ჯერ ხელი არაფრისთვის უხლიათო, ისე გულუხვად იყო ყველაფერი სუფრაზე: თეთრი გამტკიცული ჰური, ბლომად დაჭრილი ყველი, ხიზილალა, დოში, ახალი ლოქოს მუჟუჟი, ცივად ინდაური, ერთის სიტყვით, რა უნდოდა თვალსა და გულსა, რომ სუფრაზედ არ იყო. კახურს ხომ რაღა თქმა უნდოდა.

მამასახლისმა აიღო ხელში ღვინით სავსე ჭიქა და სთქვა:

— ჰე, ეს ვიღასი

ვლიოთ? ესეც ღმერთმა ადღეგრძელოს ის კაცი, რომელმა კაცმაც კაცს ხელი მოუმართოს!

— იშვ, ეგ რა კარგი სადღეგრძელო მაიგო... ღმერთმა ადღეგრძელოს!

— შენ, როგორც გეტყობა, ძალიან გულში ჩაგვრია ოქროულას რძალი?

— შენ დამეხმარე და ერთი სადღობელივით მაქანებინე ისა.

— ქაჩალი აქიმი იყოს, თავის თავს მაირჩენდა! მე-კი არ უკრაჭუნებ კბილებს, რო ვერას გავხდი. ყველა პატარძლების გემო გავიცე და ეგ-კი ვერ ჩავიგდე ხელში! ტიკოს ბიჭს, გზირია, ხო იცნობ, ვისაც მიუსვევ, ცარიელი აღარ მოვა—ბერს რო შეადგეს, ბერს შეაცდენს. იმასთან-კი მაიღალა და პირი ვერ დააკვრევინა იმ... იქნება კიდე მოვიგდებდი ხელში როგორმე, რო დედამთილი არა ჰყავდეს ისეთი ქვა-ძაღლი.

— ვაჰ, ის ქოფაკი, ისა! რამდენჯერ დავეღრიჯე, ხან ფული ვაძლიე, ხან დავემუქრე, მაგრამ არა მეწეველა-რა. ის ძაღლი ასეკი მეუბნება: „თუნდა ეხლავე ლუკმა-ლუკმა ამკუწოვო, მე ჩემს რძალს ჩიქილას არ მოვხდიო და ნამუსს არ ვაუტეხამო. ან რა საკადრისია შენგან ეგაო,-რო მაგასა ჰკადრულოფო.“

— თითონ რძალიც რო შობელ-ძაღლია! ორჯერ ენახა ტიკოს ბიჭს სალაპარაკოდ და ეთქვა. ერთხელ ეთქვა: „სწორედ იმედი გქონდეთ, რო მე ან თავი და ან გვარი შავირცხვინოვო.“ მეორედ კიდე გეელანძღა კარგა და გეშეეგდო: „მე მამასახლისისათვინ-კი არა, თავისთვინ მამიყვანა ჩემმა პატრონმაო.“

— . . . . ეხლა ხო ჩემ ხელთ არი. შენ მხარი დამიჭირე ერთი ის ვაგოროთ მოსათელი ნაბადივით. მემრე საცა წვრილი იყოს, იქ გაწყდეს!

— თუ-კი შემეძლება რამე, მაგაზე რაღა თქმა მინდა!

— ოქროულას ბიჭი ხო ვერ გაჰტეხამს იმ კაცს, ვისაც ნაბადი ჰქონია გასასყიდი. მე მაგას ჩავკიდებ ხელს. ჯერ აქ ვატოკოთ: როცა მოვიდეს შენთან, ისეთები ჩაბარე, რო გული გადმოუბრუნდეს. ეგეე ჯერ ისე მოვახერხოთ. თუ აღარ იქნა და მაშინ „სუდში“ უჩივლებ. მაგას დავაბრალებ ჩემი „ვეჭჩების“ მოპარვას, მაგას იქ ჩაბამენ და ბურთი და მოედანი ჩვენ დაგვრჩება მაშინ.

— ბატონი ბრძანდები აბა დალიე ერთი ეგ სტაქანი!

— ღმერთმა აღღეგრძელოს ის კაცი, რომელიც კაცს ხელს გაუმართამს!

რადგანაც თავიანთის თვისისა და ტომის სადლეგრძელოები წინადვე გაათავეს და ღვინო-კი ისევა სწყუროდათ, დაიწყეს სადღეგრძელოების მოკონება და თან შეჰკვეხოდნენ ერთმანეთს, „ვინ ვისი გემო გაიღო“.

— მე შენზე გაცილებით ბევრი ეაშნიკები მინახამ,—დაასკვნა ბოლოს მამასახლისმა.

რადგანაც მამასახლისის სახლში ფეხი შევდგით, მარემ გავიცნოთ მამასახლისიცა და იმისი კარმიდამოც. ოცის წლის წინად გიგია მოსულიშვილი ერთ სომეხს მოჯამაგირედ ეჭირა, ტყიდამ ვირებით შეშას აზიდვინებდა. სომხიდამ რო გამოვიდა, ერთ თავადიშვილთან, იმ დროს გავლენიან კაცთან, დადგა მოჯამაგირედ— მედუქნედ. მედუქნობამ დიდი სარგებლობა მოუტანა გიგიას. გარდა იმისა, რომ ბოლოს დუქანი თავისთვის დაინარჩუნა, ძალზედ გამოიცადა ყოველიფერში. თითხმეტის წლის წინად შევიდა მამულზე სოფელ მრავლეთში და დაიწყო მეკომური ცხოვრება. შვიდის წლის წინად გიგია ამორჩიეს მამასახლისად და მას აქეთ მამასახლისობას არავინ შესცილებია. მაშინ, როდესაც მოვეცა ჩვენ შემთხვევა მამასახლისის გაცნობისა, იგი მესამე ყავლობაზედ იყო ამორჩეული. გიგიამ ძრიელი ნიჭი გამოიჩინა მამასახლისობაში: იმისი ცხოვრება წარმატებაში არ მიდიოდა-კი, მიფრინავდა. თავის პირველ მამასახლისობაში გააკეთა ორ-ოთახიანი ქვითკირის სახლი, დიდრონის ფანჯრებით, ლამფით და ფილაქნით დაფენილი, და ზემოდამ კრამიტი დაჰხურა. მეორე ყავლობაზედ შეიძინა ერთი დიდი ზვარი, ეზოს შემოავლო მაღალი ღობე ჭის კარებით, დადგა ქვითკირის, კრამიტ-დახურული მარანი და შეაბა საკუთარი გუთანი. მესამე ყავლობაზე დადგა ბეღელი და სათონე, გაიჩინა ცხვარი, ძროხა და ღორი. იმისი ფიქრი ახლა საბძელ-კალოზედ იყო მიქცეული. მესამე ყავლობაზედვე მორთო სასტუმრო ოთახი— გააკრა შპალიერი. მორთულობა აუცილებელ საჭიროებას შეადგენდა ოთახისათვის, რადგანაც ბევრი მომსვლელ-წამსვლელი ჰყვანდა. გიგიას პურ-მარილი მთელს მაზრაში განთქმული იყო და გუბერნიის ქალაქშიაც ჩაღწია იმისმა პურადობის ამბავმა. ერთი სირაჯი არ მოვიდოდა კახეთში ისე, რომ წინად იმასთან არ ჩამომხდარიყო. მთელი თაკადიშვილობა მაზრისა წელიწადში ორჯელ მაინც ჩაუდგებოდა ხოლმე სახლში და ატარებდნენ სანატრელს დროებას. მაზრის უფროსიც ეწვეოდა ხოლმე გიგიას ხანდისხან. „ჩინოვნიკები“ ხომ იმისი ძალიან ხშირი სტუმრები იყვნენ. მასპინძლობა განთქმული იცოდა: იმის სუფრაზედ „ჩიტის რძეც-კი“ გაჩნდებოდა ხოლმე. უფრო განთქმული იყო გიგიას „ტომბახები“ მამასახლისად არჩევის გამო. პირველს ამორჩევაში-კი ვერ გააკეთა სანუკარი ტომბახი და მაშინ ვერც არავის იცნობდა მაგრე რიგად. მაგრამ მეორე და, ნამეტნავად, მესამე ამორჩევაში-კი... ღმერთმა ნუ დაგილიოთ! მომრიგებელი-შუაკაცი, მაზრის უფროსი თავისის ამალით, თავადიშვილები, რომელნიც დასდევდნენ უკან მაზრის უფროსს ამორჩევების დროს, და მთელი სოფელი სულ გიგიას ჩაუდგებოდა ხოლმე სახლში. ჯერ არჩევანი არც-კი იყო ხოლმე დაწყებული, რომ გიგიას მა-

რანში სამი და ოთხი ქვევრი იყო მოხდილი და თანაც ეუბნებოდა გიგია ხალხს: „ეს არის უნდა გემეგეთხოვოთ და ყველას დაგალოცინოთო“. ის-კი არა თუ, გამოთხოვების მაგივრად, ისევ მამასახლისობას ულოცავდნენ.

რასაკვირველია, ამისთანა პარჯისა და სტუმართ მოყვარე კაცისათვის კარგი, სუფთა სახლი იყო საჭირო. აი ამისთვის ააშენა წინაპირველადვე სახლი, ერთი ოთახი დანიშნა სასტუმროდ და მესამე მამასახლისობაში შპალიერიც გააკრა. სასტუმრო ოთახში შემსვლელს პირველადვე თვალებში ბუხარი ეცემოდა. ბუხარს აქეთ-იქით იყო განჯინები, სადაც ელაგა თეგეზის კონები, წნილის ქილები და სუფრის მასალა—დანა-ჩანგალი, სალფეტკები, თეფშები და სხვა. მარჯვენა მხარეს იყო წალო, ქვეშაგებით სავსე; წალოს წინ—ტახტი, ხალიჩებით დაფენილი; მარცხნივ კედელზედ ეკიდა ერთი თოფი, შეევრცხლილი დამბაჩა, ხმალი და სასწრაფე. მეორე ადგილს ეკიდა წყვილი შეევრცხლილი და ვერცხლის ჯაკვითვე გადაბმული ჯიხვი, სხვებს მოშორებით—იუხტის ახალი წაღები და იმათთანავე ერთი თავი შაქარი. ფანჯარაში იდგა სამოვარი, ფანჯრის წინ სტოლი და კედლის ძირზედ გამწკრივებული იყო ათიოდე ბალიშიანი სკამი. მეორე ფანჯარაში, ტახტის ბოლოს, ეყარა მამასახლისის დავთრები სამსახურისა და შინაურის საქმეებისა.

თვითონ გიგიაც კარგი და წამოსადეგი ვაჟკაცი იყო. მაღალის ტანისა, მსხვილ მხარ-ბეჭიანი, მწითურის სახისა, შავი თმაწვერი ჰქონდა, თუმცა წვერს ყოველთვის იპარსავდა, და შავ თვალწარბა იყო. ტანზედ იცვამდა შავს პრუნელის დოშლუღიანს ახალუხს, შავის ფოხოხის შალის ჩოხა შალვარს; თავზედ იხურავდა მაღალს, წითელს ქუდს და, რაც მამასახლისად ამაირჩიეს, სულ იუხტის წაღებს იცვამდა. წელზედ ერტყა შეევრცხლილი ქამარ-ხანჯალი. თუ გიგიას ყელზედ მამასახლისის ჯაკვი არ ექნებოდა გაკეთებული, უცნობ კაცს სირაჯი ეგონებოდა. არც იკეთებდა ხშირად ჯაკვს. მართალია, წინაპირველ ამორჩევაში ყოველთვის ზედა ჰქონდა ჯაკვი, მაგრამ მეორე და მესამე ყავლობაზედ, როცა ყველა უჯაკვოდაც მამასახლისადა სცნობდა, აღარა კადრულობდა ჯაკვის გაკეთებას; იკეთებდა მაშინ, როცა საჭირო იყო. სხვა უიმისო დროს-კი ჯიბით ატარებდა. ლაპარაკი ხალხში გიგიამ ხშირად არ იცოდა. ყოველთვის იმასა სცდილობდა, რომ თავი მაგრა დაეჭირა. ეს კაცს რომ ეჩივლა ერთად, მარტო ისმენდა ისე, თითქო სხვა რასმეზე ჰფიქრობსო და მომჩივარს ყურაღღებას არ აქცევსო. ერთხელ არ დაილაპარაკებდა და, თუ იტყოდა რასმე, უთუოდ იქ მდგომ გზირს დაელაპარაკებოდა. მაგრამ თუ თავის ჰამქარში ჩაავარდებოდა, ან თავადიშვილის ყმაწვილებში, იმის ლხინსა და ხუმ-

რობას საზღვარი არა ჰქონდა. ყველაზედ ხშირი სტუმარი გიგიასი „კნიაზი შაქრო“ იყო. წელიწადში იმდენჯერ თავის სახლში არა სჭამდა პურს შაქრო, რამდენჯერაც მამასახლისთან. მამასახლისიც ეფერებოდა შაქროს, რადგანაც მერქანი, მარგილი, ჭიგო, შეშა-ფიჩხი ბლომად უნდებოდა ყოველწლივ და შაქროც უფასოდ აძლევდა ნებას საზოგადო ტყიდამ ესარგებლნა.

XI

ორიოდე სიტყვა „კნიაზ“ შაქროზედაც

Თავადის შაქრო დიდებულიძის მამა დიდის ყმისა და მამულის პატრონი იყო; ამისათვის შაქროს ძალიან კარგი ჭარი უქროდა ბატონ-ყმობის დროს. როგორც სიყრმის შვილი, იგი მალე ჩავარდა იმ ნეტარს ცხოვრებაში, რომელშიაც ცვივდებოდნენ, საზოგადოდ, შემძლებელთა თავადთა სიყრმის შვილები ბატონ ყმობის დროს. მისდა საუბედუროდ, სწორედ მაშინ მოასწრო შაქროს ბატონ-ყმობის გაუქმებამ, როცა თავისის ყოფა-ცხოვრების სიტკბო ის იყო გაუჯდა ძვალსა და რბილში. ორჯელ ძლივს მოასწრო შაქრომ მაყრობა ოთხ-ოთხის ბიჭით და ხავერდის ქულაჯით. თუმცა არც შემდეგში ანებებდა თავს მაყრობას, მაგრამ შემდეგში როგორც ბიჭების რიცხვი მცირდებოდა თანდათან, ისე იმისი მორთულობა ჰკარგავდა წინანდელს ეშხს. იმ ხანებში, როცა ჩვენ შაქრო გავიცანით, უბიჭოდაც დადიოდა მაყრად ნათხოვარის ცხენით, უფრო ხშირად გლეხის ქორწილებში. ტანისამოსიც ერთი და იგივე ეცვა, რაც შინ, ის მაყრობაში: უბრალო შალის ჩერქესკა, ყაზახური ქუდი და უქუსლო ხარაზული ჩუსტები. ნეტარი ცხოვრება შაქროსათვის მოისპო იმას შემდეგ, რაც მ:ნ, მამის მინდობილობით, მიიღო ტფილისში სულ ის ფულები და თავის სწორ ამხანაგებთან ერთად ცის გახსნას შეასწრო ტფილისის მეფაიტონეები და საზანდარ-მედაფ-მეზურნეები. ბევრჯელ მოუვლიდა ხოლმე ჟინი წინანდელის ნეტარის ცხოვრებისა და, ზოგი ბრაზმოსულობით, ზოგიც თავისის სურვილის დასაკმაყოფილებლად, გაუტეევდა ხოლმე ნაყმევებს „თავისებურად—უწინდებურად“, მაგრამ დროთავითარებამ ყველაფერი თანდათან მოათმენინა და დაავიწყა კიდეც. მხოლოდ აქომამდე არ დაჰვიწყებოდა თავისი ხავერდის ქულაჯა. ისე ცოცხლად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ თითქმის ეხლაც ყოველის წუთს ზედ ეცვა და ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ ხელი არ ეხლო იმისთანა რისთვისმე, რასაც-კი შეეძლებოდა ქულაჯის გაჩირქიანება. გარდა ბოჭბაშისა, ისიც იმისთანა გლეხ-კაცის ქორწილებში და

ქელეხებში, სადაც კოვზი არ იყო ხოლმე, შაქროს ხელებს სხვა არაფერი მიჰკარებია.

მამა პაპეული ქონებიდამ შაქროს კარგი წილი ერგო, როგორც მამულებისა, აგრეთვე ცხვრისა, ძროხისა და სხვა ოთხ-ფეხის საქონლისა. ყველამ იცის, რომ სისხლიან საქონელს ყოველთვის საფრთხე სდევს მრავალგვარი. ეს ყველაზედ უკედ უფრო შაქრომ იცოდა. რომ უეცარ ჭირს იმისათვის „ცეცხლზედ წყალი არ დაესხა“, ადგა და სისხლიანი საქონელი სულ ფულად აქცია. სულ ქვეშ-კი უნდა სთქვას კაცმა, რომ ეს აზრი მარტო შაქროს არ ეკუთვნოდა—ამაში იმის მეუღლესაც ჰქონდა მონაწილეობა. განა არ იყო ეს აზრი საქები? გული გულის ადგილას დაიდეს, შიში აღარაფრისა ჰქონდათ და კნეინამაც, როგორც ქვიფსა და სიამოვნებას ჩვეულმა, დროებაც გაატარა. მართალია, შემდეგში სჭირდებოდათ ხან ცხენი, ხან ძროხა და ხან ცხვარი და სხვა, მაგრამ ამ ნაკლულევანებას მალე შეავსებდა ხოლმე შაქრო: ჰყიდდა მამულს და ყიდულობდა, რაც საჭირო იყო. მხოლოდ ის უყო მამა-პაპამ ცუდად, რომ მამულ-დედული იმდენი არ დაუმყოფა, რომ რამდენიც უნდა გაეყიდნა, თავის სიცოცხლეში არ გამოჭლეოდა. მამულები შეუჭირდა ისე, რომ ერთი პატარა ვენახი დარჩა და რამდენისამე დღის სიხნავ-სათესი მიწა და იმაზედაც, კერძო ვალებს რომ თავი დავანებოთ, „პრიკაზის“ ვალი იყო ბლომად. ერთად-ერთი წყარო ცხოვრებისა ტყე-ღა ჰქონდა, თუმცა შაქროს ყველაზე ცოტა მონაწილეობა ჰქონდა ტყისა, მაგრამ ყველა მოძმეებზე ბევრსა სარგებლობდა ტყიდამ თავისის მოხერხებით.

შაქროს ერთი ცუდი ზნე შერჩა ბატონ-ყმობის დღიდამ. იგი დაჩვეული იყო პატარძლებში სიარულს და ბოლოს და ბოლოს ძალიან ძვირად უჯდებოდა ხოლმე ეს ჩვეულება. თავის ცოლშვილს მიჰრეკამდა ხოლმე თავის სიმამრთან, რომელსაც ეტყოდა: „ჩვენსას თქვენსას სჯობიაო“ და თითონ ნავარდობდა პატარძლებში. ამ შემთხვევებში მამასახლისი მოკავშირეთა ჰყვანდა. უძვირფასესი ადგილი შაქროსთვის სოფელში იყო არტემას დუქან წინ; თუ სადმე სხვაგან არ შეექცეოდა, ყოველთვის აქა ჰნახავდა კაცს.

XII

ოჯახოგა.

ეხე ჩასასვლელად არის მიმზადებული. მშვენივრად დაგვილ-დაწენდილს დერეფანში სხედან ილია და ცოლი. ოქროლოლას გაუშლია წინ ფეხები, კალთაში ლობიო უყრია და სჩეჩავს.

ილიას ცოლს, მაღლა თავდახურულს, შეუმარყუშებია თავზე მოსახვევის წვერები, წამოუყრია წინ მაჯის სიმსხო კავები, რომელნიც ამკობენ „დაჟღაჟივით“ წითელ ლოყებს, მიუყუდებია გულზედ აკვანი და პატარა გიგიას ძუძუს აწოვებს.

— ი ბიჭს რა დაჰმართებია, ქა!—წამოიძახა ოქროულამ, როცა დაინახა ილია შინათკენ მომავალი.—რა გულხელი დაუკრეფია! ბიკო, რა დაგმართებია, რატო იგეთი ფერი გაძევ, ავად ხო არა ხარ?—ჰკითხა ილიას, როცა დერეფანში შევიდა.

— ავად-კი არა!

— მა რა დაგემართა?

— ღმერთმა რო ამააგდოს შაქროს სახლი და კარი! მანც ამოგდებულია. სუდიაჰთან უჩივლია, ილი... ამ ნივთები დამპარაო. წელან პოვეჰტკა მამკა მწერელმა.

ოქროულამ გარჯვენა ხელი ტუჩებზედ მიიფარა და წამოიძახა:

— იმ წინწალ გამქრალსა და კომლობა ამოფხვნილს, შენ როდის დაჰპარე ნივთები, რო შენ გიჩივლა?

— სახ-კარი რო ამოუწყდეს!

რამდენსამე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. ოქროულას ტუჩებიდამ ხელი არ მოუშორებია. რაც შეეხება მაროს, იგი ისე გადირივა ამ ამბავზედ, რომ არ იცოდა, სად იჯდა და რას აკეთებდა ისე უგრძნობლად გადააქანა აკვანი, რომ ძირს ტყაპა მოსძვრა აკვანს.

— ადამიანო, შენ რაღა დაგმართებია?—უთხრა ილიამ. —რაზე დაჰჩეჩქვე ბალღი?

ოქროულამ ტუჩებიდამ ხელი აიღო, ისევ ლობიოს დაუწყო ჩურჩვა და ცოტა ხნის შემდეგ ჰკითხა:

— როდისა ხარ დაბარებული?

— რა ვიცი, ენკენითვეში.

— ენკენითვეს ნუღა დაჰხვდეს იმისი თავი და ტაძნი! იმ ქოქ-გამქრალს შემეელია საფანელი?

— ის იხერი, აჰტყდა ი თითო ცხვირი და აღარ დემეხსნა და აღარ დემეხსნა, რაკი დავაპირე იმ საოხრო დღეს სოფელში გასვლა! მე ვთქვი, ი ჩხუბზე გადაივლის მეთქი და კიდევ არ იქნა, არ ამცდა ხათაბალა! ნეტავი რამწამ კარებზე ფეხები გადავდგი, ფეხი მომტეხოდა და მე იმ დღეს სოფელში არ გავსულიყავ.

— რა გულს იხეთქამ, შვილო, ნუ გეშინიან! შენ რო არაფრის მქნელი არა ხარ და რას გიზამენ? სუდიას უამბეს ყველაფერი დაწვრილებით. უთხარი, რა უნახამთ კვლავ ჩემ ხელში-თქო, რო მაგისი ნიქვთები დემეპარნა-თქო; შაატყობინე ყველაფერი და მორჩები. სამართალი იმისთვინა ჰქვიან, რო სიწართლე გაარჩიოს ადა-

მიანიკა. ერთი ლაფი დაადე იმას თავზე და პირში ჩალა გამოვლებული გამაისტუმრე.

— ეჰ, დედი, შენ კიდე მოჰყვები-ყე ლაპარაკს! მე იმ სუდში წასვლა მეზარება. თავი დღეში ამოტოლა ვარ, და ჯერ არა ვყოფილვარ, თორე, რაკი იქ მივალ, გავატყუნებ-კი არა, ღდინსაც გავაგდებინებ!

— ჰო-და, თუ-კი გაამტყუნებს, წადი და გაამტყუნე, მაგაზე რაღა გაბოროტებს! გველაშაპები ხო არ არიან სუდში, იქაც ხალხია! — უთხრა მარომ.

— იქაც ხალხია, მაგრამ, ერთი სიტყვით, ოცი თუმნის გადახდა. მირჩევნია, იქ წასვლას!

— რახა ე მაგრე გემკვლელება, შვილო, იქ წასვლა, წადი მამასახლისთან და შეეხვეწე! როგორმე მოგარიგოს. მიაგდე რამე თავში და ეგეცა თავი დაგანებოს — იმ წინწალ-გამქრალმა!

— იგრე უნდა უყო. ეგეც დილაზე ჩავიდე და შევეხვეწო, თორე, რაც უნდა მიყონ, მე სუდში ვერ წავალ.

— მამასახლისსაც უნდა დაპირდე რასმე, რო გულით მეეპიდოს საქმეს.

ივახშმეს ყველამ ძალიან უმადოდ და დაწვნენ დასაძინებლად. ინათლა თუ არა, ადგა ილია, დაიწყო სიარული და წავიდა მამასახლისთან. ჭიის კარებთან დაჰხვდა გზირი, რომელმაც შეატყობინა ილას, რომ მამასახლისს ჯერ ისევ ეძინა. ილა დაჯდა კარებს გარეუ და დაუწყო ლოდინი, მანამ გაიღვიძებდა მამასახლისი. კარებთან მოგროვდნენ სხვა გლეხებიც, მამასახლისთან საქმისთვის მოსულნი. იქნებოდა რვა საათი დილისა, ახალუხა, თავ-შიშველა, ტოლაღებ ჩაშვებული, ქოშებით გამოვიდა მამასახლისი შინადგან თვალების ფშვნეტით და გამოსწია პირდაპირ ჭიის კარებისაკენ. ყველანი ფეხზე წამოდგნენ და სალამი მისცეს. მამასახლისი ჩამოჯდა კარებთან ქვაზედ და, მოუკიდა რა ცეცხლი პაპიროზს, ისმენდა გაჩუმებული, რიგ-რიგად, საჩივარს. სამმა რომ გაათავა საჩივარი, წადგა წინ ილა და უთხრა:

— მამასახლისო, ერთი საქმე მაქვ შენთან! მამასახლისი მიჰხვდა, რა საქმეცა ჰქონდა და უთხრა:

— მაიცა, მემრე!

ილა უკანვე გადგა. როცა გაათავეს ყველამ საჩივრები და წავიდ-წამოვიდნენ, მამასახლისი შევიდა შინ და ილიაც თან შეიყვანა.

ოქროულასა და მაროს ილას გზისაკენ თვალები დაეწყდათ. იქნებოდა თერთმეტი საათი, რომ მოვიდა ილა შინ. ძალზედ აღელვებული.

— რა ჰქენი, შვილო? ჰკითხა ოქროულამ.

— რა ვქენი, მე ვიცი! იგრე დამიხლართა გზები, რო იმან უფრო ბოღმა შამამახვია! „უგალონი“ საქმეა, მაგას არაფერი ეშველებაო.

რადგანაც ილას წინა ღამეს არ სძინებოდა, დაწვა და დაიძინა. გავიდა ორი კვირა. ერთი კვირა-ღა დარჩა სასამართლოში გამოცხადებამდის. ამ ორის კვირის განმავლობაში ილას ორი გროშის საქმე არ გაუკეთებია. დადიოდა გულ ხელ-დაკრეფილი ოხვრითა და გმინვით. უსაქმობისა და და დარდისაგან თითქმის სულ ეძინა და ძილშიაც საცოდავათ გმინავდა. ჩამოხმა და დაედო სახეზედ ისეთი ყვითელი ფერი, რომ ეგონებოდა კაცს, ორი და სამი წელიწადი უცივ უცხელებიაო. ვინც შეხვდებოდა, ნამეტნავად თავისი სწორ-ამხანაგთაგანი, გულს უკეთებდნენ, არაფერი არა იქნებაო-რაო.

— განა კი იქნება რამე, მაგრამ მე თავის მოჭრასა ვჩივი: ვინც გაიგებს, რას იტყვის, როგო-ღა უნდა შავხედო ვისმე პირზე!

ორის კვირის განმავლობაში ოქროულას სახლში არც ტკბილი პურის ჭამა ყოფილა, არც ტკბილი საუბარი, არც ტკბილი ძილი, სულ ყველასთვის მწარე ნაღვლად გადაიქცა ეს ამბავი.

ერთ საღამოს, როცა ილიას ეძინა და ძილში საცოდავად გმინავდა, ოქროულა წავიდა მამასახლისთან. როცა დაინახა მამასახლისმა ოქროულა, ულვაშებში ჩაიცინა და შეიყვანა სასტუმრო ოთახში.

— შენი ჭირიმე, მამასახლისო, მიშველე რამე, ღამის არი ი ბიჭი ხელიდამ გამემეცალოს! იგეთი გახდა ბოღმისაგან, როგორც ყვითელი ფათალო. შავის კაბის კალთით ძლივს გამოვზარდე. შენ კარგად იცი, შენი ჭირიმე, რო ოთხის წლის ბალღი დამრჩა იმ ღბედურის დაბნელების შემდეგ. ოცდა-ექვსი წელიწადია მაგაზე თავი დავდე, ვთქვი, არ გაუციებ მამის კერას მეთქი; სოფლისათვინაც გამოსადეგი იქნება-მეთქი — არც სოფელს დაუკარგე ერთი კომლი კაცი. ეხლა-კი, ლამის არ-, მე თვალ დამდგარს ნაღვლისაგან ხელიდამ გემემეცალოს. ან რა კარგია, შენი კვნესამე, რო სოფელს უსაბუთო საბუთით ერთი კომლი კაცი დეეღუპოს? შენი ჭირიმე, აგრემც შენ ცოლშვილს უხარნია, მიშუამავლე ი ნაქროჰთან! სასუდეთ ნუ გაუხდის საქმეს, რა ვიცი, ან მიჭცემს რასმე, ან გულს დაუდებს როგორმე, თუ სუდში არ ეთრევა.

— ისეთ საქმეში გაუბამ შენ შვილს თავი, რო შველა ძალიან ძნელი ღაა! უბრალო საქმე ხო არ არი, „უგოლოვნი“ საქმეა. შენი შვილიც ერთი რაღაცა მოუხეშავი კაცი ყოფილა, იმისათვინ კარგიცა და ავიც ერთი ყოფილა. რამდენი კარგი დარიგემა მივე-

ცი, მაგრამ მე იმას ვერაფერი შევასმინე. იმას ისე ჰგონია, გუთანზე ვარო და გუთნი დედასთანა მაქვ საქმეო.

— რა ქნას, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, განა შენ არ იცი, ტყესა და მინდორშია გაჰდილი. რა უნახამ და რა გაუგონია, რო სად როგო უნდა მაიქცეს? ტყის კაცია, შენი ჭირიმე, ბჭირ გულს ნუ ჩაიდებ! როგორც იყოს, საქმე გაუთავე, ი კნიაზი შენ სიტყვას ყოველთვინ გაიგონებს, ოღონდ უშველე რამე აგრემც ჭირს მოგჭამ და იხარებს შენი კარგი ცოლშვილი, და შენი ფეხთა მტვერი გახდება!

— განა ცოტას ვეხვეწები იმ ოჯახ-დასაქცევს, მაგრამ ძალიან უარზე დგა!

— რა ვიცი, იმ გასახარელს რა დაუშავა იგეთი, რო მაგრე ცილში ჰწვამს?

— შენ წადი, ერთი ოთხიოდე თუმანი აშოვნინე, ვეცდები, როგორმე დავიყოლიო, უთუოდ მოვარიგებ, თუ ოთხ თუმანს მამიტანს.

— სუდში ხო აღარ მოუხდება ი ბიუს წასვლა?

— სუდში რიღასათვინ წავა! არც შაქრო გამოცხადდება, არც ილია და სუდია ჩაჰშლის საქმეს.

— ოღონდ გაისარჯე და მაახერხე ეგ საქმე და მაშ ეს შავები ილაზე გამოვიცვალო, თუ იმანაც ვერ გადაგიხადოს სიკეთე.

— მე იმისი არაფერი მინდა, ერთი კვირა ვენახის ფურჩნა მიშველოს.

— ერთი კვირა რა სათქმელია, ქა? ერთი კვირა-კი არა, თუნდ სამი კვირა ამუშავე!

— წადი, წადი, აშოვნინე შენ ოთხი თუმანი! დილაზე მომიტანოს და საქმეს უეპველად აქვე გაუთავებ.

— იხაროს შენმა ცოლშვილმა, როგორც ეხლა მე გახარებული მივალ შინ და ი ბიუსაც გავახარებ.

ილია ახლად გაღვიძებული იყო, როცა ოქროულა მოვიდა შინ და უამბო ყოველი, რაც მამასახლისმა უთხრა. ილიას ცოტათი გულზედ მოეშვა. მეორე დღესვე მიუტანა მამასახლისს ოთხი თუმანი და იმავე დღესვე დაადგა საქმეს და ორი კვირა სულ იმის საქმეს აკეთებდა. მანამ სასამართლოში წასვლის ჟამდა გავიდოდა, ილიას კიდევ შიში ჰქონდა გულში. როცა გაიგო, რომ შაქრო არ გამოცხადებულიყო სასამართლოში და მამასახლისმაც დაარწმუნა, რომ საქმე მთლად გათავებული იყო, ილაც დამშვიდდა.

XIII

გაახლება დარდისა.

ილიას არაფრად მიაჩნდა არც ოთხის თუმნის გადახდა, არც მამასახლისთან ორ კვირას მუქთად მუშაობა, რა-კი გადურჩა სასამართლოში გამოცხადებას. მიეცა უწინდებური გული, უწინდებური ფერი და მუშაობის ხალისი. იმისმა სწორ-ამხანაგებმაც, რომელნიც სრულიად თანაუგრძნობდნენ, გადიყარეს დარდები და იმასთან ერთად გააძლიერეს ისევ თავიანთებური ლხინი. მხოლოდ ხანდისხან-კი წავიდოდა ხოლმე ილია ფიქრში და წამოიძახებდა უცბად: იმ ოჯახ-დასაქცევმა, რატომ იგრე მიყო ი შაქრომ! კინაღამ უსაბაბო საბაბით არ დამწვა ალალ-მართალი კაცი!

გავიდა დრო და ხანი. ილიას დაავიწყდა, რაც რამ მოხდა. შეექცეოდა თავის ამხანაგებთან მაქრით და თანაც იძახოდა: „ჭამასმაც მიყვარს და გარჯაცაო“. გაჰყვა ორ-სამ ნეფიონს მაყრად და „გაახარა თავისი ქია“; წავიდა ჩვეულებისამებრ „ალილოს“ თავისის სწორ-ამხანაგებით. აღებაც მხიარულად გაატარა. აღების ღამეს მოგროვილი ძვლებიც თვითონ წაიღო ტყეში ყველივრის ორშაბათს, გადაჰყარა და დაიძახა: „აჰათ, ტყის ნადირებო, თქვენი სარჩო და ამ წლის იმ წლობამდე ჩემ საქონელს პირი არ ახლოთო!“ ყველირმაც მხიარულად ჩაიარა. წმ. ორშაბათს დილით ოქროულამ გაუკეთა ჩიტებს ფაფა, დაუდგა ნატეხებით ლობეებზე და სთხოვა, რომ „ამ წლის იმ წლობამდინ“ პირი არ ეხლოთ ილიას მოსავლისათვის. მაგრამ თაგვებს საჩოხე დაურთოთ და სთხოვა, რომ იმის ბარგ ყურესათვის პირი არ ეხლოთ. ერთის სიტყვით, ყველანი უწინდებურად არხეინად იყვნენ. ისეთი უდარდელად და მხიარულად იყო ილია, რომ კინაღამ პატარა ბიჭობა არ მოაგონდა და „თაგო, თაგო“ თითონ არ გააქცია. მხოლოდ წმ. ორშაბათს ძლიერ მოღრუბლულის სახით ადგა ქვეშაქებიდან. ოქროულამ, რასაკვირველია, შეატყო ე'ა და ჰკითხა მიზეზი:

— ერთი ოხრული სიზმარი ვნახე წუხელ, — ასე მიუგო პასუხათ ილიამ, — და უთუოდ იმ ოხერი ცხვირივ'თ ცუთად გადაივლის ესეც. უთუოდ კიდევ ხათაბალაში რაშიმე გავებმები.

— „რა ჰნახე? — ჰკითხა დედამ გულის ფანცქალით.

— ემაჰ ზევით, — შემოიტარა კეფაზე ხელი, — სუ მეეკრათ ჩემთვინ და კიდევ-კი ცოცხალი ვიყავ.

— უთუოდ წუხელ მარჯვენა მხარზე იწვებოდი, — გაუკეთა დედამ გული, თუმცა-კი თვითონ ელდა ეცა: — და იმიჰთვინ გინახამ მაგითანა სიზმარი. მარჯვენა მხარზე როდი უნდა დაჰწვე. ყვე-

ლა ადამიანს ერთი ანგელოზი ჰყავ, ერთი ეშმაკი. ეშმაკი და ანგელოზი ერთმანეთს ებრძვიან. როცა მარჯვენა მხარზე დაწვება ადამიანი, ეშმაკი ერევა ანგელოზს და, რაც ცუდი რამ არის, იმას აჩვენებს სიზმარში ადამიანს. როცა ცაცია მხარზე დაწვება, ნაშინ ანგელოზი ერევა ეშმაკს და სუ კარგ სიზრმებსა ჰშინჯავს ადამიანი. ამას იქით ნუღა დაჰწვები მარჯვენა მხარზე, თორე კიდევ ცუდ სიზმარს გაჩვენებს ეშმაკი.

. თუმცა ოქროულა სცდილობდა გაეკეთებინა ილიასათვის გული, მაგრამ ვერაფერი უშველა-რა, — ამ სიზმარმა ძალიან ჩაფიქრა ილია.

— რას უყურებ, შვილო, რატომ არ გახვალ სოფელში, შენ ვინა და ყეენობა-დღეს ამდენ ხანს შინ ჯდომა? — უთხრა ოქროულამ, როცა შეატყო, რომ ილია არ აპირებდა სოფელში გასვლას.

— რა ექნა, წასვლა-კი მინდა, მაგრამ იმ ოხერი სიზმრისა ძალიან მეშინიან. ვაჰ, კიდევ ბალაში გავეხვიო!

— წადი, შვილო, ჭირი მოგეკამოს დედამ! რა რიგად დაგაშინა იმ კომლობა გამჭრალმა. წადი, უბრალოდ ხმას ნურავის გასცემ, უბრალოდ ნურაფერს ილაპარაკებ და ვინ რას გიზამს?

ადგა ილია და წავიდა სასოფლოსაკენ. გავიდა თუ არა სასოფლოზედ, შეეხეჩა წინ მწერალი და მიაჩერა ხელში უწყება. ილიას ნაცრის ფერმა გადაჰკრა პირისახეზე უწყების დანახვაზე, გულმა ძგერა დაუწყო და სული შეუგუბდა. როცა მოიბრუნა სული, ჰკითხა:

— ე რა არი?

— ეს გახლავს, შენი ჭირიმე, — უპასუხა მწერალმა: — ისა, რომ კნიაზი შაქროს საჩივრის გამო კიდე გიბარებენ სუდში ამ თვის ხუთმეტში — დღეის სწორს უნდა გამოცხადდე.

— აკი იმ უღმერთომ აგრე მითხრა, აღარ წავალო, შენც ნუ წახვალო და საქმეს ჩაატარებს სუდიაო?

— რა ვიცი, ჩაატარეს თუ არა, კიდევ კი გიბარებენ-და. ეხლაც თუ არ წახვალ, მემრე ჩაფრებით წაგიყვანენენ.

თქვენი მტერი დაღონდეს, როგორც ილია დაღონდა. დაიწყო სიარული და მივიდა მამასახლისთან. შესჩივლა თავისი მწუხარება. მამასახლისმაც უბრძანა:

— რამ შეგაშინა, შე ლაჩარო, შენა? სუდიას უთუოდ არ გაუგია, რო შინაურულად მოჰშველდეთ. ნუ გეშინიან, კიდევ მე გაგიკეთებ საქმეს. საცა იქნება და არ იქნება, მოვნახამ შაქროს და წიგნს მივაწერინებ სუდიასთან, რომ შინაურულად გაგითავა საქმე.

— ძალიან კარგი იქნება! შენი ჭირიმე, ერთი სიტყვით, ოღონდ ამ ხათაბალას მამარჩინე და, რა ვიცი, რა მადლი-ღა გინდა სხვა!

— აი ხვალვე შავუდგები მაგ საქმეს. არ ვიცი-კი მალე ვიპოვნი, თუ არა—ვინ იცის, სად არი გადაქაჯული? უპოვნელს-კი არ გავუშვებ, მაგრამ ერთი ეს არი—მოვცდები ამ კვირია მუშა უნდა დამეყენებია ვენახში.

— აი, აქ არა ვარ!—ოლონდ ეგ საქმე მაახერხე და ამ კვირია მე შენ არ მოგშორდები. თუ მაშველიებ ვისმე, იგრე ვიმუშაო, რო!.. თუ არავის მამცემ და არც მე ამერევა მარტოს მუშაობა.

— კაცებს მოგცემ მაშ! შენ წადი ეხლა, საცა გინდა, და არ-ხეინად იყავ—უთუოდ გაგიკეთებ საქმეს. დილაზე კი მოუსვლელი არ დაჰდგე!

მამასახლისიდა ილიამ პირდაპირ შინათკენ გამოსწია. როცა მივიდა შინ, უთხრა დედას:

— აკი გითხარ, რო ოხრული სიზმარია-მეთქი. კიდე მიბარებენ იმის თაობაზე სუდში!

— უი, ნეტავი გამაქრო! მართლა? მა რა მითხრა ი წინწალამოწყვეტილმა და კომლ-გამქრალმა მამასახლისმა, რო მოვაშლევინებო! მაშ ოთხი თუმანი რათ გამამართვა? არ იყავ მამასახლისთან?

— როგო არ ვიყავ.

— რა გითხრა?

— აგრე მითხრა, რო, საცა იქნება, ვიპოვნიო შაქროს, წიგნს მივაწერინებ სუდიასთვინაო და ეხლა-კი მოჰშლილო.

ამ ამბავზედ ილიას დედასა, ცოლს დარდი და ბოროტი ისევ გაუახლდათ. ილიამ მიდო იქვე დერეფანში კუნძზე თავი, მიეცა ძილს და საღამომდის განუწყვეტლივ ეძინა.

როგორც დაჰპირდა მამასახლისი, კიდეც შეასრულა: გაანთავისუფლა „სრულებით“, როგორც არწმუნებდა, მაგრამ ილიას გული-კი მაინც ისევ რაღაცას შემოჰკვნესოდა.

XIV

მომრიხებელ ხახამართლოში.

წითელ მაუდ-გადაფარებულ სტოლს უკან ზის მომრიგებელი მოსამართლე. სტოლის წინ, გძელს სკამზე, სხედან მომჩივარნი, მოპასუხენი და საქმის მაძებარნი ვექილები. მოსამართლე შესდგომია საქმეს. გაარჩია რამდენიმე საჩივარი და დაიძახა შემდეგ: „თავადი ზაქარია პაატას ძე დიდებულიძე, ილია ზურაბის ძე თვალიაშვილი“.

გავიდა შაქრო და გაჰყვა გაფითრებული ილიაც, რომელსაც მიუძახეს:

— რა იყო, ბიჭო, რაზე მოჰკვდი, განა შეგეპამენ-რა!

— კნიაზო, თქვენ ქურდს რათა ჰფარავთ?—ჰკითხა მსაჯულმა,—ქურდი კანონიერად უნდა დაისაჯოს!

— მე არა ვფარავ, ბატონო, აი აქ არ გახლავთ? მე ჩემი „ვეჰჩების“ ფასი გამოვართვი და თქვენი კიდე თქვენ იცით!

— თქვენ რა მოჰპარეთ ამათ?—ჰკითხა მსაჯულმა ილიას.

— არაფერი, შენი ჭირიმე!

— მაშ რას გიჩივის ეს კნიაზი?

— აი როგორ იყო, შენი ჭირიმე.

— ნუ გეშინიან, ყოჩაღად ილაპარაკე!—წასძახეს უკანიდან.

— მე ჩ—ში გახლდით, შენი ჭირიმე. იქ ერთი იაფინჯ-წამოსხმული კაცი იყო და თქვა, რო ვინც ორ მანათს მამცემს, ამ ჩემ იაფანჯს მივყიდიო. თურმე, ნუ იტყვით, იმ კაცს ხუმრობით ეთქვა და მე-კი მართალი მეგონა.

— ცოტა მოკლედ თქვი!

— ჰო, მოკლედ მოგახსენებ, შენი ჭირიმე! თურმე იმ კაც ხუმრობით ეთქვა და მე კი მართალი მეგონა. წამოვედი და მე კიდე ბიჭებში ვთქვი, ერთი კაცი ესე-ესე ახალ იაფიანჯს ორ მანათად ჰყიდდა-მეთქი. ეს კნიაზიც იქა ბძანდებოდა, როცა მე ბიჭებს ვუთხარ. ამან მითხრა, მე დავკარგე ნაბადი და კიდევ სხვა ნივთებიო, უთუოდ ჩემი იყო ის ნაბადიო, შამიტყე რამეო. მეც ხათრ როგო გაუტეხამდი! წავედი იმ კაცთან და იმან აგრე მითხრა: ვის დაჰკარგვიხარო, რამ გაგაგიჟა ვიღაცა ხარო, შენთან კაცმა ვერ უნდა გაიხუმროსო? მოვედი და კნიაზს მოვახსენე. აი ეგრე იყო, შენი ჭირიმე! რა ვიცი, მართლა დაკარგა, არ დაკარგა, ან იმ კაცმა მაიპარა, მე არა ვიცი-რა, შენი ჭირიმე. აბა მე რას ვაქნევდი, რო შამეპარა, ეს დალოცვილი, რო მე მიჩივის? ერთი საწყალი მარტო ხელი კაცი ვარ, ერთი წელიწადია მოვცდი და მოვიშრიტე—ბოლმისაგან ვეღარაფერი მიწამებია.

— შენ შინაურულად მოურიგდი ამ კნიაზს?

— დიაღ, შენი ჭირიმე, ოთხი თუმანი მივეცი.

— მართლა მოგცათ, კნიაზო, ოთხი თუმანი?

— დიაღ, ბატონო, ოთხი თუმანი მამცა!

— შენ რად მოურიგდი შინაურულად, რად მიეცი ოთხი თუმანი, თუ არაფერი არ მოგიპარავს ამათი?

— იმიჰთვინ გავუსწორდი შინაურულად, შენი ჭირიმე, რო მე არ მინდოდა აქ ხეტება და მინდოდა ,ავიდამ მემეცილებინა.

— მაგათ რო გაუსწორდი, ახლა კანონს უნდა გაუსწორდე! მიბძანდით, ცოტა ხნის შემდეგ გემეგეცხადებათ.

შაქროს და ილიაც გარედ გამოვიდნენ. ერთი სწორ-ამხანაგთაგანი მივიდა ილიასთან და უთხრა:

— ილიავ, მე იგრე ვითარგმნე, რო შენ გაგამართლებს აი!

— კაცო, როცა მართალი ვარ, არ გამამართლებს? მე აქ ამოსვლა მეზარებოდა, თორე! ზოგი რა ხასიათისაა, რო წამ-დაუწუმ მორბის აქ, არა ჰწყინდებათ, ნეტავი მითხრა? ჩემი ფეხი-კი ღმერთმა აქ ნული დადგას!

შემდეგ მივიდა ილიასთან ერთი გაქნილი სომეხი და უთხრა:

— ძმობილო, რატო ატკაზი არა ჰქენ, რად უთხარი სუდიას, შინაურულად გაუსწორდიო?

— ხო მართალი იყო; რაც მართალია, კაცმა სიმართლე უნდა თქვას.

— მაგისთანა სიმართლე აქ არ გამოდგება, ჩემო ძმაო!— უთხრა სომეხმა.

ცოტა არ იყოს ამ სომხის სიტყვებმა ჩაფიქრეს ილია, თუმცა-კი სრული იმედი ჰქონდა გამართლებისა. შაქროს-კი ეჭირა ხელში პაპიროზი და არხეინად ბოლთასა სცემდა.

მსაჯულმა გაათავა საჩივრების გარჩევა და დასასრულს წაიკითხა გარდაწყვეტილება ილიას გამოუცხადა რამდენისამე თვით საპატიმროში დატუსაღება. ამასთანავე ისიც გამოუცხადა, რომ იმას შეეძლო გაეტანა გარდაწყვეტილების პირი და საჩივრის გადატანა უმაღლეს სასამართლოში. ამნაირმა გამოცხადებამ ილიას წელი მოსწყვიტა, ცოტას მორჩა გული არ წაუვიდა. შემოეხვივნენ „ადვაკატები“ და ურჩიეს საჩივრის გადატანა უმაღლეს სასამართლოში. ყოველი მათგანი დაჰპირდა ისეთ აპელაციის დაწერას, რომელიც ქვასაც-კი გაჰხეთქდა.

წამოვიდა ილია შინ, მაგრამ ბუხლები კი ეკეცებოდა გზაზედ. შინ დაჰხვდნენ გაწეწილი ცოლი და თავ-პირ ჩამოლადრული დედა, რომელთაც შეეტყოთ ილიას უბედურება იმის მისვლამდე. გადაიტანა ილიამ საჩივარი ოლქის სასამართლოში. თუმცა საჩივრის დამწერი არწმუნებდა ილიას, რომ იგი უეჭველად გამართლდებოდა ოლქის სასამართლოში, მაგრამ იმას აღარაფერი არა სჯეროდა. დაკარგული ჰქონდა ყოველი იმედი გამართლებისა, ჩამოხმა საცოდავად დარდისაგან, გახდა გულ ჩათხრობილი და აჰყარა საქმეს გული; მხოლოდ, რადგანაც ყანის მკა უყვარდა ძალიან, ყანის მკას-კი შეუდგა და არც უნდოდა მზად მოსული სარჩო დაეღუპნა. კულანდებურად თავისი ტოლი ბიჭები მომკლები აღარ წაუყვანია, რომ „ებუღრავნათ“ მკაში. იცოდა, რომ ბიჭები ყბას არ დააყენებდნენ დი იმას გასაგონადაც ეჯავრებოდა სიმღერა. მარტო თითონ დადიოდა ყანის სამკელად და ისე ჯიბრზეჯა მკიდა, თი-

თქოს, ვისი ჯავრიცა სჭირდა, ყანაზედ ყრილობსო. დღეში ცხრასა და ათს თეთუულს არ აცდენდა. დააბინავა ყველა მოსავალი, მაგრამ გუთანზე-კი ფეხი არ გადგა. თავისი საყვარელი ხარები, რომელთაც მუჭით უგლეჯავდა ბალახს, საცა მოეწონებოდა, და ისე აჭმევდა, ჩაუგდო სხვას ხელში. სხვა საქმისათვისაც არ უხლია ხელი, ან იწვა და ეძინა და ან მარცხენა ხელის ცერი ქამარში ჰქონდა გაკეთებული, მარჯვენა ხელი უბეში ედო და ისე დადიოდა თუ „სასოფლოზე" გავიდოდა, გამარტოებული დაჯდებოდა ხოლმე არავის ეკარებოდა. ყველა იმის მნახველს გული უკვდებოდა და ლოცვა-კურთხევას უგზავნიდა შაქროს...

XV

შესრულება წადილისა.

ახლად შებინდებულია. მამასახლისი ზის თავის სასტუმრო ოთახში და რაღაცა მოუსვენრობა ეტყობა. ხან ადგება, ხან დაჯდება, ხან გარედ გამოვა და თანაც პაპიროზს ეწევა.

— რა ვქნა, რა იქნა აქამდის!—წამოიძახა მამასახლისმა, გამოვიდა გარედ და დიდხანს უყურა ერთის მხარისაკენ. შაბრუნდა თუ არა შინ, შაქროც შეჰყვა და მიახალა პირში:

ჩაბეს!

— მართლა?—ჰკითხა მამასახლისმა აი, შენ გიშველია ღმერთმა! სწორე გითხრა, მეშინოდა, არ გაანთავისუფლონ და ღმერთი არ გაუწყრეთ-მეთქი. მაშინ ხომ დაიფუშებოდა ჩვენი პლანი!

თუ კი მაგრე გეშინოდა, რაღა შეუმოწმე სოფლის მოწმობა?

— მე არა შემიმოწმებია-რა! მე შენ ვიცავი დამალული, როცა მოდიოდა ჩემთან, და ეუბნებოდნენ, [illegible] არ არიო. იმის გამოისობით, სხვებსაც არ ვეჩვენებოდი. [illegible]ოდ სუდიები შეუმოწმებდნენ. უშველა რამე იმან?

— ჰმ! რას ამბობ, გადმოუგდეს, ეს ახლა საჭირო ღარ არისო!

— ეხლა ჩვენ რა ვქნათ ჩვენი საქმისა? ჰკითხა მამასახლისმა ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ.

— დაიცა ერთი, საქმე არა გაქვს? ლამის არი ქამარი დამეკარგოს!

— ისეთი ვახშამი გაპამო ამაღამ, რომ, რომ ღმერთისა!

— ცოტა ყველი და პური მაატანინე, ვახშმობამდინ ვინ გასძლებს!

— ჩაი მზად არი გოგო, ფეფე! — დაუყვირა მოახლეს: — ჩაი მაიტა!

ჩაის ხარჯსაც არ გაგიფუჭებ! შენ რაც გითხარი, ის მოატანინე.

— გოგო, ფეფე, ყველი და პურიც გამოატანე.

— ჰა, როგო დავიჭიროთ ეხლა საქმე? — ჰკითხა მამასახლისმა, როცა მიირთმევდნენ ჩაის: — თავი და თავი ჭირი ხო მოვიშორეთ.

— ჰაი, დედასა!.. ვის შეუძლიან ჩემ ცოლს უწმაწურად ხმა გასცეს, მანამ მე ცოცხალი ვარო! იცოცხლოს და იყუროს რეშოტკიდამ, როცა იმის ცოლს... — ამბობდა შაქრო და თან იყმინდებოდა ყველითა და პურით.

— მე რას გკითხამ და შენ რას ამბობ!

— რას ვამბობ! ჯერ ერთი სამიოდ ოთხი დღე დავაცადოთ, მაიმგლოვონ. მემრე დავიწყოთ ერთ ღამეს სიარული, მივიდეთ, შავამტრიოთ კარები და...

— რას ამობ? გინდა, აიქ ოქროულამ ცულით დაგვხოცოს! შენ კიდე ვერ იცნობ იმას! ან ცულით დაგვხოცამს, ან არა და ქვეყანას შაგვიყრის ერთიანად.

— მაშ რა ვქნად?

— იმასაც უნდა მოუხერხოთ რამე, ან უნდა დავიყოლიოთ როგორმე.

— ილა მე დავლუპე, შენ კიდე ეგ უნდა მაიგდებინო როგორმე თავიდამ; ეხლა შენი ჯერია, მე ჩემი ვალი მოვიშორე.

— მე ამაზე მეტი [illegible] მამიგონია-რა: უნდა გავაძრახო ვინმე, რო წაეკიდოს ოქროულას და იქამდინ მიიყვანოს, რომ ან დაჰკრას, ან გალანძღოს, მაშინ მე დავიბარებ, ან ნებით დავიყოლიებ, ან გომში დავამწყვდევ და მაშინ...

— რაც გინდა, [illegible], უნდა მაისხლტუნო-კი თავიდამ-და!

ბევრი სხვა საშუალებაც დაასახელეს, მოწამლვაც-კი... ივახშმეს და დაიძინეს იქავე. მეორე დილით შ ქრო თავის სახლში წავიდა, მამასახლის-კი სასოფლოზედ გამოვიდა. უნდოდა გაეგო ხალხის აზრი ილას დატუსაღებაზედ. სასოფლოზე ათიოდე კაცის მეტი არ დახვდა მამასახლისს, რადგანაც საქმის დღე იყო.

— საწყალ ოქროულას ი რა მოჰსვლია! — წამოიძახა ერთმა, თითქო მამასახლისს უნდა შეატყობინოს ახალი ამბავიო.

— რა? — ჰკითხა მეორემ, — ილა რო დაატუსაღეს?

— ილაც ხო დაატუსაღეს და ოქროულასაც ბოლმა შამოჰწოლია გულზე და კვდება. წუხელ ღვდელმა აზიარა. ამობენ, აღარ გადარჩებაო.

ამ სიტყვაზედ მამასახლისს სიხარულისაგან გულმა ძგერა დაუწყო. მერე, ვითომ-და არაფერი იცოდაო, ჰკითხა:

— განა დაუჭერიათ ილია?

— დიახ, გუშინვე დაუტუსაღებიათ.

— ოოვე, საწყალი! ძალად არ გაიფუჭა თავი საწყალმა,— სთქვა მამასახლისმა.

— ძალად, ძალად, მე და ჩემა ღმერთმა!

— არა, რა რჯოდა იმ უკეთურს? მშიერ თავადიშვილთან რო იმეებს ლაპარაკობდა, არ იცოდა, რო ისე უზამდა?—წარმოსთქვა ისევ მამასახლისმა.

მამასახლისი დარწმუნდა, რომ იმაზედ ეჭვი არაფრისა არა ჰქონდათ და გულ-გახალვათებული, დაბრუნდა შინ.

ოქროულამ ვერ გაუძლო ელდას და სწორედ იმის სწორზედ, რა დღესაც ილია დაატუსაღეს, გამოასვენეს სახლიდან დასასაფლავებლად. პირველი მოთადარიგე და სარისტის მიმცემი ქელეხში მამასახლისი იყო. ყოვლის ღონისძიებითა სცდილობდა, დაემტკიცებინა მაროსათვის თვისი გულ-შემატკივრობა, მაგრამ მოქალედება მამასახლისისა მხოლოდ უორკეცებდა მაროს ნწუხარებასა.

— წამო, შვილო, და შინ წაგიყვან!—უთხრა მაროს მამამ, როცა გაათავეს ქელეხი,—მანამდის გამოუშვებენ, იქ იყავ და, როცა გამოუშვებენ, ისევ მე მოგიყვან.

— აბა, რა ვქნა, მამილო, როგო დავანებო აქაურობას თავი? მოსავალი კიდე კარზეა მომდგარი, სად წამოვიდე? ან კიდე ვინ რას იტყვის, რო შვიდამდინ მაინც არ მოვიცადო და კარზე გამოვიდე?

— ეს დრო რო არ იყოს, ყოველთვინ მოგხედამდით, მაგრამ ეხლა ჩვენც საქმე გვაქვს, ჩვენ შენთვინ ველარ მოვიცლით და მარტო როგო უნდა იყო უკაცო სახლში, ან რა უნდა გააწყო?—უთხრა დედამ.

— რა ვქნა, რაც იქნება, იქნება! ჩემი დედამთილი უფრო უწყალოდ დარჩომილა, მაგრამ საქმე საქმეზე მოუყვანია. მე ხო ისე საქმე არა მაქვ ჯერ გამხდარი.

გამოეთხოვნენ დედ-მამა, ნათესავები და წავიდნენ. დარჩა მარო მარტოდ-მარტო.

მეოთხე საღამოს შაქრომ გაიარა ერთ თავის ნაცნობის სახლწინ, გამოუძახა ნაცნობს და უთხრა:

— შენ გოგოს ოქროულას რძალთან ნუ აწვენ ღამე, თორემ ძალიან ინანებო.

რა-კი ესეთი დამუქრება შაქროს მიერ გავრცელდა ხალხში, ველარავინ გაბედა ღამ-ღამე მაროსთან დაწოლა ამხანაგად.

ერთ ღამეს, როცა ყველას ეძინა და მაროს-კი შიშისაგან ძილი ჰქონდა გამფრთხალი, ვიღამაც კარი დაუკაკუნა. მაროს ეგონა, რომ ყურმა მომატყუაო, მაგრამ შიშისაგან-კი სული შეუგუბდა ყელში. დაუკაკუნა მეორედ, მესამედ. მა-რომ მოიკრიბა, როგორც იყო, ძალი და ღონე და ხმის კანკალით დაუძახა:

— ვინა ხარ, რას აკაკუნებ მა კარებს?

— კარი გააღე! — მოესმა გარედან.

— რიჰთვინ უნდა გავაღო, ამ შუა ღამისას აქ რა ხელი გაქვ?

— გააღე და ვინცა ვარ გაიგებ!

— გაჰწი, წეეთრივე, საიდამაც მოთრეულხარ, შე ასეთ-ისეთო, თორე მთელს ქვეყანას შენზე შავყრი!

— ბევრს ნუ ჰლაპარაკობ, კარი გააღე, თუ ჭკვა გაქვ, თორემ ინანებ!

— აბა, არ გავაღებ, ერთი რასა იქ?..

ამ სიტყვების შემდეგ კარებმა ჭაჭაჭუჭი დაიწყო. მაროს-კი მორთო ყვირილი:

— ვინა ხართ, ქრიჰტიანები, მიშველეთ! — ყვირილზედ გამოვარდა ახლო მეზობელი კაცი.

— ჰაი, ჰაი, რა იყო, მარიკო, რა მოგივიდა?

— მამამთილო, მიშველე, ვიღაცანი მოთრეულან და კარებს ამტვრევენ!

— დათიავ, რატო შენთვინ არ დაჰდგები! ეხლა შენ ჭკვა გაქვს, რო მაგოდენასა ჰყვირი? — კაცმა იცნო ხმა და მაშინვე შებრუნდა შინ.

კარები შეამტვრიეს და შევიდნენ არხეინად. საბრალო მაროს კივილი ცასა სწვდებოდა, მაგრამ მიშველება ვერავინ გაბედა. ეს კივილი მაროსაგან პირველი და უკანასკნელი იყო. შემდეგში აღარავის გაუგონია იმისაგან კივილი.

XVI

საპატიმროში.

ოლქის სასამართლომ დაამტკიცა გარდაწყვეტილება მომრიგებელის მოსამართლისა და ილია თვალიაშვილი სასამართლოს დარბაზიდამვე წაიყვანეს საპატიმროში. როცა მოუტანეს ილიას სატუსალო ტანისამოსი, ილიამ უთხრა მომტანს:

— ეს როგორ უნდა ჩავიცვა. ხო შემჭამაო.

პასუხად უთხრეს:

— ნუ გეშინიან, აქ შამოსელა გაჭირდა, თორე, რაკი აქ შამოხველ, ყველაფერს შეგაჩვევთ.

ილიამ გულიანად ამოიოხრა და დაიწყო ტანისამოსის გახდა.

როცა ტუსაღებს თვალი გადაავლო, ილიას ცოტათი გულზე მოეშვა ბოლმა და სთქვა თავისთვის:

„მადლობა ღმერთს, რო ჩემზე არ ჩამოწყვეტ ლა მარტო სალამი და ბევრი სხვაც ყოფილა აქა. მაგრამ განა მე რომ უცეცხლოდ დამწვა, იმ ცეცხლ-მოსაკიდებელმა, სხვანიც იქნებიან ჩემს დღეში?“

დიდხანს არ გასტანა ილიას გულდამშვიდებამ. იგი მივიდა პატარა სარკმელთან, რომლიდგანაც დაინახა ალაზნის ველი, და დაიწყო სლუკ-სლუკი. სლუკ-სლუკი ტირილად გადაექცა მაშინ, როცა იგრძნო, რომ შემოეხვევნენ უკანიდან პატიმრები და ცილობდნენ დაენახათ იმისი პირისახე.

— რა „ნეჟნა“ რამა ყოფილა!—წამოიძახა ერთმა პატიმართაგანმა.

— იზედი გადახდება, რო იამან! — დაუმატა მეორემ, თათარმა და დაჭერა ხელი ილიას ბეჭებზედ.

— იქნება იგრე გაგიტკბეს აქაურობა, რო ძალათი გაგდებდნენ და აღარ მიდიოდე! – უთხრა მესამემ.

— მეეცათ, კაცო, რას ჩამეეკიდენით მა კაცს, რა გინდათ მაგისაგან?—სთქვა მეოთხემ.

პატიმრები-კი მოსცილდნენ, მაგრამ ილია-კი არ მოჰშორებია მთელ დღეს სარკმელს და არც იმისი თვალი გამშრალა ცრემლისაგან. ცრემლის ღვრითვე გაატარა ილიამ ღამეც, რადგანაც მთელ ღამეს თვალზე ძალი არ მოსვლია.

მეორე დღეს, როცა გამოიღვიძეს პატიმრებმა და წამოიშალნენ, ზოგი ებღანძალავებოდა ერთმანეთს, ზოგი პირის დასაბანად მირბოდა, ზოგი მღეროდა, ზოგი ყვიროდა: „ჰაჯან, ჰაჯან, სანიახში, ეინალ!“ (მობაიათე ტუსაღი). ილია შეჰყურებდა გაცეტებული და ჰფიქრობდა თავისთვის:

— თუ სულელები შამოურეკნიათ აქ, არ ვიცი; თუ არა და, რა ყოფა აქვთ? თუ ესენი ჭკვიანები იყვნენ, ეგრე იმხიარულებდნენ ამ ჩასაძვრენ ალაგს?

მოვიდა სადილის დრო. დაუკრეს სადილისა. ყველა მიეშურება კერძის მისაღებად, გარდა ილიასი, ის ამ დროს პატარა ფანჯრიდან გადაჰყურებდა მღელავ თავთავ დასხმულ ყანებსა და ქერებს ალაზნის ველზედ. მივიდა იმასთან ერთი პატიმართაგანი და უთხრა:

-- ძმაო, შენ რო ემაგრე ჰქნა, მშიერი მოჰკვდები. წადი, გა-

მაართვი შენი „პორცია“ და პური ჭამე! მარტო შენ თავზე ხო არ მამხდარა ეგ ამბავი: აი გადაჰხედე, როგორი ჯოლლა ვართ. მეც ე მაგრე შენსავითა ვდარდობდი წინდაწინ, მაგრამ მე დარდით ვერა ვუშველე-რა ჩემ თავს.

— რა ვქნა, ეგ მართალია, — უპასუხა ილიამ: — მაგრამ მე განა ისა მწყინს, რო აქა ვარ-რა! მე ის მაწუხებს, რო უსაბაბო საბაბით დამიჭირეს.

— წადი, შენ გამაართვი შენი „პორცია“! ეგენი მერე ვილა-პარაკოთ.

ილიამ მიიღო თავის კერძი და მიიტანა იმ პატიმართან, რომელმაც ურჩია კერძის მიღება და რომელიც იცნო თავის გულშემატკივრად; იმასთან სიმიც ხვა იჯდა. ილიამ ამოიღო ერთი კოვზის პირი წვენი, შეხვრიტა თუ არა, მაშინვე გულს დააზიდა, გამოღვარა ისევ პირიდან და სთქვა:

— თუნდა მამკლათ, მე ამას ვერა ვჭამ! — არც პურსა და ხორცს ახლო პირი და უთავაზა ყველაფერი ახლად გაცნობილ პატიმრებს. ილიამ დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავალი. ერთმა მათგანმა უთხრა:

— აი ეხლა კიდე მოხვედი იგეთ ადგილს, საცა გაიწვრთნები და მაგრე ადვილად ვეღარ წაგირგავენ თავს დანაშაულობაში.

— ღმერთმა დამიფაროს! ჯერ არას მქნელი ვიყავი, ეგრე მიყვეს, და, რო დავაშავო რამე, ხო ციმბირი აქეთ დამრჩება!

— კიდეც ეგ არი, რო რა-კი გაიწვრთნები, კბილს ვეღარავინ ჩაგკიდებს, რაც უნდა „რაზბონიკობა“ ჰქნა!

— ღმერთმა დამიფაროს „რაზბონიკობიდან“! მაშ მკლავი მამტყდეს, მკლავი, თუ-მე მრუდად ხელი წამეტანებინოს, ან წავატანო რასმე!

— ეჰ, ჩემო ძმაო, ეს იგეთი სკოლაა, რო ბევრი შენითანა ბიჭი გადაუკეთებია!

— ყველას თავისი თაბაუთი აქვ. კაცს რაც შუბლზე აწერია, ვერ აჰცდება — ფეხს ვერ აუქცევს. ალბად ეგრე მეწერა და უნდა ავიტანო. განა ის დალოცვილი ღმერთი ამას არ მაკმარებს, რო სულითაც არ დამკარგოს?

— აკი გეუბნები, ეს იგეთი ალაგია, რო, ანგელოზი რა არი, ანგელოზიც რო შამოვიდეს აქ და ერთ თვეს დარჩეს, ისიც ეშმაკად გადაიქცევა და აბა ხორციელი კაცი როგო გადაურჩება?!

ილას ზიზღი მოსდიოდა, როცა ეუბნებოდნენ, რო აქ სხვანაირად გადაჰკეთდებიო. რა კაცი უნდა იყოს ის კაცი, ვინც მიჰ-დევს იმიჰთანა საქმეს, რომელსაც გული არა სთხოვს? ის კაცი კი არა, ნაგირი უნდა იყოსო, ამბობდა ხოლმე.

ილამ გაიცნო თანდათან პატიმრები. ძალიან აღარ დარდობდა, მაგრამ სასმელ საჭმელს დიდხანს ვერ ეჩვეოდა.

მეხუთე თუ მეექვსე საღამოს ილა ძალიან გაართეს თავისმა ახალმა მეგობრებმა. ზოგი თავის თავგადასავალს ლაპარაკობდა, ზოგი ლაზღანდარობდა. ილია სიცილს ვეღარ იჭერდა ამ საღამოს. იმ ღამესაც ტკბილად დაეძინა, მაგრამ როცა გამოიღვიძა, ძალიან დადარდიანდა. მიზეზი იმისის დარდიანებისა იყო იმ ღამეს ნანახი სიზმარი. იმას ეჩვენა სიზმრად შემდეგი: მივიდა ვითომ შინ კვირა დილით ღამის ხარიდან და ნახა, რომ იმის ეზოში შეყრილიყვნენ მშვენივრად დართულნი ქალი და რძალი. იმათში ერია იმისი ცოლი მაროც, მაგრამ თავზე ჩიქილა არ ეხურა. გასწია გაჯავრებულმა შინისკენ, რომ ჰკითხოს დედას მიზეზი, და იქ უარესი ელდა ეცა — იმის სახლს კარები აღარ ება. ამის ნახვაზე ერთი შეხტა მძინარე და ძირს ტყაპა მოსძვრა და მაშინვე თვალები აპყიტა. გათენებამდის თვალზე ძილი აღარ მოსვლია და სულ ამას იძახოდა:

— ეს ოხერი, ძალიან ცუდი სიზმარია, კიდევ-კი არაფერი დამემართოს-და! — თუმცა ამხანაგები უქარწყლებდნენ ამ სიზმარს, მაგრამ მაინც დარდი გაუახლდა ილიას.

ილია შეეჩვია ტუსაღების სასმელ-საჭმელს და აღარც ისე დარდობდა, როგორც წინად. მხოლოდ თავის პატარა, ვიწრო სარკმელს თავს არ ანებებდა. რა წამსაც გამოიღვიძებდა, მაშინვე მივიდოდა სარკმელთან და ადგილს იჭერდა, რომ სხვას არავის დაეწყრო იმისთვის. იცქირებოდა ხოლმე ალაზნის ველისკენ, საიდანაც მოჩანდა ნაშრომ ნაპირნახულევი მიწის მუშათა და სიამოვნებდა იმით, მაგრამ პევრჯელ სიამოვნების მაგივრად ყელში გული მოჰბჯენია და თვალებში ცრემლები, რაცა მოჰგონებია, რომ უყურებს სხვის ნაპირნახულევს და არა თავისას. ერთს დილას ილიამ შენიშნა, რომ რამდენიმე მომკალი მოსდებოდა ქერს და ხალისიანად მკიდა. ამის დანახვაზე ამოუჯდა გული და მაღალის ხმით დაიწყო ქვითქვითი. მივიდა ი^ასთან ერთი პატიმართაგანი და უთხრა:

— კიდე მოგიარეს? რა იყო, რა მოგეჩვენა, რო პატარა ბალღივითა სლუკ-სლუკუნებ?

— როგო თუ რა მეჩვენება?! აგე, გაიხედე, როგო ბუღრაობენ ჩემი ჰსწორ-ამხანაგები ქერში და მე-კი აქა ვგდივარ! — უთხრა სლუკ-სლუკით ილიამ.

— ეჰ, საქმე გამოგლევია შენც!

— როგო თუ საქმე გამომლევია? ცოლ-შვილი ყელ-გადაგდებული დავყარე, იმოდენა მოსავალი თავ-გამოუბმელი დარჩა და საქმე გამამლევია! ვინ იქნება იმათი ყურ-მგდებელი? ან ვინ მოუმ-

კით, ან ვინ გაულეწავთ, ან ვინ დაუფქვავთ, რა უნდა ჰქნან? როგორ რასმე უნდა გამააბან თავი? ხო წავიდა და დამეღუპა იმოდენა სარჩო!

— შენ დარდი ნუ გაქვ, დედა შენი არაფერს არას გააფუჭებს. როგორც შენ იმას აქებ, მაგისთანა ფიქრები ღა უნდა გქონდეს!

— ეგ მართალია, დედა-ჩემი არაფერს გააფუჭებს, მაგრამ მე რა ვქნა, რო ყანის მკისათვინ კბილები მიკაწკაწებს? პური ჯამა არ მამინდება იგრე, როგორც ეხლ, ყანი მკა მამინდა!

ტუსაღი მოსცილდა, თითონაც გული შეიმაგრა და უყურებდა თვალ მოუშორებლივ მომკლებს. ხანდისხან, როცა ეშხზედ მოდიოდა, წამოიძახებდა ხოლმე; „დაჰ-მოჰ დაჰ-მოჰ“! რამდენიმე დღე იტანჯებოდა ამნაირად ილია, როცა უყურებდა მომკლებს, თუმცა-კი ყოველ დღე უმსუბუქდებოდა იგი ტანჯვა, და ბოლოს იქამდისაც მიაღწია, რომ გულ-გრილად უყურებდა მომკლებს.

რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად ილია ურიგდებოდა თავის ყოფა-ცხოვრებას. გაეჩვია იგი პატიმრობში, გაიცნო ყველანი და დაიწყო იმათთან ლაზღანდარობა. რადგანაც კარგი ხმა ჰქონდა, შეუდგა ბაიათების სწავლას. ისე გაერთო ტუსაღებში, რომ, როდესაც გაიგო — ოთხის თვის შემდეგ თავის დატუსაღებისა — დედის სიკვდილი, იმდენი არ უტირნია, რამდენიც იტირა მომკლების პირველ დანახვაზედ. ილია უფრო მომეტებულად ორ ტუსაღს დაუახლოვდა. განუწყვეტლივ იმათთან იყო და ეს სამნი სულ რაღაცას ჩაელაპარაკებოდნენ ერთმანერთს. სხვათაშორის ამათგანვე სწავლობდა თათრულს ლაპარაკს და ბაიათებს. ისე შეეთვისა იმათ ილია, რომ, როცა ერთი იმ ორ ტუსაღთაგანი — ქიზიყელი ციმბირისაკენ გაამგზავრეს და მეორე — თათარი გაანთავისუფლეს საპყრობილიდან, ტირილითა და წუხილით გამოემშვიდობა.

XVII

წ ყ ა ლ ზ ე

Sოფელ მრავლეთში სულ სამგან გამოდიოდა წყარო. ზაფხულობით ერთს ამ წყალთაგანს ძლიერ ეტანებოდა ხალხი, რადგანაც ცივი იყო და ახლო-მახლო ფურცლებიც ედგა. წყალზედ მოსულნი სიცხის დროს ფურცლების ჩრდილს ეფარებოდნენ. რა დროსაც უნდა ყოფილიყო — ზაფხულობით, — აქ კაცი ყოველ დღე ნახავდა ოცდაათამდე მანდილოსანს და კოკებს ხომ რიცხვი არა ჰქონდა! წყარო პატარა ჩამოწანწკარებდა და გვიან მოერგებოდათ ხოლმე ჯერი. ამისათვის მანდილოსანთ ხელ-საქმე მიჰქონდათ

წყალზე და მანამ ჯერი მოერგებოდათ ხელსაქმობდნენ. და თანაც შეექცეოდნენ ლაპარაკით.

ერთ საღამოს მოეყარა თავი რამდენსამე მანდილოსანს, ბებრიდან მოკიდებული რვა წლის გოგომდე. ზოგს წინდა ჰქონდა ხელში, ზოგს - პაჭიკი, ზოგს — დასალიანდაგებელი ახალუხის კალთები. მომეტებული ნაწილი-კი უსაქმოდ იყო.

— გოზალაანთ საბედა წმინდა გიორგისაგან ქადაგად დაცემულა, — დაიწყო ერთმა, — და სუ აგრე უძახნინებია, რო ქვეყნიერების დავწვამო; როგო გაბედესო, რო ახალ მელოგინეს ჩემი კარები გადმაალახვინესო!

— ვილა მელოგინეს, ქა? — იკითხა ერთმა.

— ქა, მთა იმ მთას ეცა და შენ არ გაგიგია! — მიახალა მესამემ: — ჩიჩაუვაანთ მელიკოს ნაბიჭვრები ეყოლა და ღვდელმა ჯვარსა და სახარებას ქვეშ გამოჭითხა წმინდა გიორგში, ვინ სტუუის შენთანაო?

— შვილი არ მამიკვდება ერაფერი არ გამიგია!

— დიდი ხანია, საბედასა ჰპირდებიან ანგელოზები მკითხაოზას და ლამის არი გაიკრას! — სთქვა მეოთხემ.

— რა ურიგო იქნება, ქა! ნეტავი აგრე იყოს-და? ერთი ბეწვა სამკითხაო რო გვქონდეს რამე, ფანიანში უნდა გავიქცეთ! — სთქვა მეხუთემ.

— უკანა მხარში, — დაიწყო სხვამ, — ერთ დედაკაცს შაუყვარებია თავი ნათლიი ძმა...

— უმე, რაღა ვქნა, ქა! — ჩამოართვა მეორემ, — რა ღმერთი გაჰწყრომიათ, რაზე დაუქცევიათ ცა და ქვეყნიერობა თავზედ!

— შაუყვარებია, დაორსულებულა და ორ თავიანი ყმაწვილი გაჰჩენია. თითო თავზე თითო თვალი ჰქონია შუბლის ალაგს და პირის მაგივრად კიდე ოლოლის ნისკარტი ჰქონია.

— ეგ ხო ეშმაკეული ყოფილა, ქა! — სთქვა მესამემ. მა, გაანა ადვილია ნათელ-მირონობის დარღვევა-რა! — სთქვა მეოთხემ.

— მამასახლისი შამძიმდა, ამაღამ ვეღარ შაახწევს! — დაიწყო ახლად მოსულმა წყალზედ მანდილოსანმა.

— ქა, მამასახლისი ავად არი-რა? — იკითხა მეორემ.

— ეს ერთი კვირაა, ლოგინად არი ჩავარდნილი.

— რა გამოჰვარდნია? — იკითხა მესამემ.

— რა გამოჰვარდნია რა, დაითვრეპოდა და გაცივდებოდა, — მისცა პასუხად მეოთხემ.

— დაითვრებოდა კი არა, ქა, — დაიწყო ისევ პირველმა, — ცილას მოუსწორია თავის ცოლზე და ხანჯლით დაუჭრია. დაჭრილობას არ აჩენენ.

— უი, მარჯვენა-კი შაჰრჩეს იმას, თუ მართალია! — სთქვა ერთმა ხანში შესულმა მანდილოსანმა: — მაგ სიყმე შავმა, რამდენს აჰხადა ნამუსი? ადრე და მალე იყო სასიკვდილო და გვიანა კვდება!

— ი ცოლი მეეკლა, რო ჩარბუზანა ება სახლში, რაც დედა-მთილი მოუკვდა? — სთქვა კიდევ სხვამ.

— ცომი დეეკრას გულზე, კარგი სახელი იმან გამაიტანა! შეპილწა და შამურდლა პატიოსანი სახლი და ი თავ-მომწონე ბიეს კიდე თავი მოსპრა ქვეყანაში...

— აკი კერა მაითხოვსო? ოქროულა მაგითანა იყო? ცოდო არ არი, რო ეგ ოქროულას რძალია!

— ქა, რა ქნას იმანაც, იმ თვალ-გახეთქილმა, რო ძალათი მოჰხადეს ნამუსი!

— ოჰ, მარტო მამასახლისი-კი არა, თუ მართალია, ერთი ი შაქროც უნდა მიეყოლებინა თანა, რო კარგი მაშინ იყო! მაგათი შიშით, გეთაყვანეთ, ქა, გზაზე ვეღარავის გაუვლია და შინ ვეღარავინ დამდგარა მარტოკა.

— საწყალი, მე ი ბიეი მეცოდება! რა თავმამწონე ბიეი იყო და ეხლა ბოღმისაგან თავს აღარ იცოცხლებს.

— ვინ ჩაახარა, ქა, ესე ჩქარა?

— ყარამანთან შალაპარაკებულა და ყარამანს წაუყვედრებია: „შე კახპის ქმაროვო“. ამ სიტყვებს გულში ჩაუკბენია და დაუწყია ზვერა. ცოლი მოუტყუებია, რო მოყვრებში მივდივარ, ამაღამ აღარ მოვალო, მაგრამ მობრუნებულა და ზედ მოუსწრია მამასახლისისათვინა. მამასახლისისათვინ ხანჯალი უკრამ, ცოლი კიდე დაუბეჟნია კარგა და გაუგდია.

— ჰეი, შარჩეს მარჯვენა!

— მას აქეთია, აღარავის უნახამ ილია, არც დღე მოდისო შინა და არც ღამეო.

— თათრები დაუყონაღებია და ყაჩაღად აპირებს გავარდნასაო.

ამის შემდეგ ლაპარაკი სხვა საგანზე ჩამოვარდა.

XVIII

გ ა ნ კ ი თ ხ ვ ა.

სოფელ **-ში ერთი შესანიშნავი ქურდობა მოხდა. ერთს შეძლებულს გლეხს დაჰპარეს მინდვრიდან მთელი საქონელი, რამდენიც-კი გაიჩნდა თავის ბედობაზედ. საქმის გამოსარკვევად მოვიდა სოფელში პოლიციის ბოქაული და ჩამოხდა ერთ თავადიშვილთან. თავადიშვილმა და მამასახლისმა ურჩიეს ბოქაულს, რომ დაიპარე

კეკელა (მკითხველი თითონ გაიგებს, ვინ იყო კეკელა) და გამოჰკითხე, იმ ღამეს, რა ღამესაც დაიპარეს საქონელი, „ბნელო“ იმასთან იყო, თუ არაო. ბოქაულმა ეს რჩევა მიიღო და უბრძანა გზირებს, მამგვარეთ კეკელაო. იქ მყოფმა თავადის ქალებმა დიდი ცნობის მოყვარეობა გამოიჩინეს და სთხოვეს ბოქაულს, რომ ჩვენთან გამოჰკითხე კეკელასაო. ბოქაულმაც დიდი სიამოვნება გამოაცხადა იმათი თხოვნის გამო.

ერთი საათის შემდეგ გზირებმა წარმოადგინეს ლოყებ-დაჭარხლებული კეკელა, რომელმაც დაუკრა ყველას თავი და დადგა ბოქაულის წინ, საკითხველად მომზადებული.

— გუშინწინ ღამ შენთან ვინ იყო?—ჰკითხა ბოქაულმა.

— ვინ უნდა ყოფილიყო?—მიუგო კეკელამ.

— ბნელო გუშინწინ ღამ შენთან იყო?

— აბა, რა ვიცი, ყმაწვილო, ბნელო ვინ არი! მე არც ბნელო ვიცი და არც სხვა.

— ჰა, სწორედა სთქვი, თორემ ხომ ჰხედავ ამ მათრახს? ისეთი-ისეთი აგაყვანინო ბეჭებზედ, რომ სულ ცერცვივითა ჰხტოდე!

— რაც არა ვიცი რა, ყმაწვილო, რა მოგახსენო!

— არ მამახსენებ და ეს მათრახი თითონ გათქმევინებს!— ბოქაულმა დაუქნია მათრახი.

— რა ვიცი, ყმაწვილო, მე ბნელოს ვერ ვიცნობ! მართალია, მოდის ჩემთან ხალხი, მაგრამ მე ხო სახელებს არა ვკითხამ, ბნელო ჰქვიანთ თუ ნათელო.

— აი, გაგიწყდეს სახელი!—წამოიძახეს იქ მყოფმა თავადის ქალებმა.

— რომ დავიბარო აქ, ვერ იცნობ?

— რა ვიცი, აბა როგორ ვიცნო? ზოგი ბნელა უკუმეთში მოდის.

— როგორ ვერ იცნობს, ტყუის!—წასჩურჩულა ერთმა თავადიშვილმა ბოქაულს,—დღისითაც მაგასთანა გდია და ღამეც.

— მე მითხრეს, რო ბნელო დღისითაც მოდის შენთან.

— აკი წელანაც მოგახსენე, ყმაწვილო, მე იმათი სახელები არ ვიცი-მეთქი. მოდიან, მართალია, დღისითაც. ან-კი რა საძრახია, ყმაწვილო, თუნდა დღისითაც მოვიდნენ, საყვარლობა თქვენგან არ არის მოგონილი?!

— ეგ სახელ-გასაქრობი, რეებსა ლაპარაკობს!—წამოიძახეს ქალებმა სიცილით.

— რას იცინით, ქალო,—მიჰმართა კეკელამ ქალებს,—თითქო თავზე ბუზი არ აგვფრენიაო? რა ვიცი, საცა ყმაწვილს დაინახამთ, გამრიელი თათარიც რო იყოს, გაუყრით-კი ხელსა და გა-

ჰყვებით ტყესა და მინდორში!—ქალებმა დაჰკრეს ტაში და ხარხარით გაიქცნენ.

— შენ ბევრს ნუ ჰყბედობ, თორემ ამ მათრახს ზედ დაგაწყვეტამ!

— ჩემი რად უკვირთ, ყმაწვილო, რო თითონ უარესები არიან?

— ბმა გაკმინდე, კარგი! შაგიძლიან ეხლა შინ წახვიდე და, როცა ბნელოს მოიყვანენ, შენც ისევ მოგიყვანენ.

საღამოზედ იმ სახლის წინ, საცა ბოქაული ყმაწვილებთან დროებას ატარებდა, იდგნენ ბნელო და კეკელა, ხალხ-შემოხვეულნი.

ბნელო ძალიან მოხდენილის სახისა და ტანისა იყო,—მაღალი და მსხვილ მხარ-ბეჭიანი, სახე ჰქონდა ხორბლის ფერი, შავი თვალ-წარბი, ზომიერი ცხვირი, მოკლედ გაკეთებული შავი წვერი და შავი ულვაშები; თავზედ ეხურა მაღალი, წითელი ქუდი, ტანზედ ეცვა შავი ბოგოზის შალის ჩოხა-შალვარი და შავი პრუნელის ახალუხი, მაშინით შეკერილი; ფეხთ ეცვა მაღალ-ყელა, უქუსლო ჩუსტები, წელზედ ერტყა შეკერცხლილი ქამარ-ხანჯალი. ერთი ფეხი წინ წაედგა, ხანჯლის ბოლო ლაჯებს შუა ჩაეტარებინა და ორივე ხელით ხანჯლის ტარს დაჰბჯენოდა. სახე დამშვიდებული ჰქონდა, ისე რომ ერთი ბეწვა მღელვარება არ ემჩნეოდა.

ბოქაული გავიდა აივანზედ, რომელიც გადაჰყურებდა შეგროვილს ხალხს; თან გაჰყვნენ ყმაწვილებიც ბარბაცითა და უწმაწურის ლაპარაკით.

— აბა, მაიყვანეთ ილია თვალიშვილი?—დაიყვირა ბოქაულმა გამოსვლის უმალვე.

— აქ გახლავართ!—მიუგო ბნელომ,—რას გვიბძანებთ, ბატონო?

— შენ აი რას გიბძანებ: შენ უნდა შამატყობინო ნამდვილად, სიმართლე უნდა მითხრა, თორემ ხომ იცი ჩემის მათრახების ამბავი: გუშინწინ ღამ სად იყავი?

— რადა გნებამთ, ბატონო?

— შენ არავინა გკითხავს, რათაცა შნებავს! მე შენ გიბძანებ, მითხარ სწორედ, სად იყავი?

— შინ გახლდი, სად უნდა ვყოფილიყავ?

— სწორედა თქვი!

— სწორედ არ მოგახსენებ! მართლისათვის ვინ რას მაძლევს, რო ტყუილი ვილაპარაკო?

— ნუ ჰკიბამ-კი, სწორედა თქვი!

— აკი სწორეს მოგახსენებთ: მე არსად არა ვყოფილვარ, შინ ვიყავ.

— მაშ შენ ე მაგ დედაკაცთან არა ჰყოფილხარ გუშინწინ ღამ?

— რასა ბძანებ, ბატონო, მე ამ დედაკაცს ვერ-კი ვიცნობ!

— მაშ შენ რა სთქვი,—მიუბრუნდა ბოქაული კეკელას,— ჩემთან იყოვო?

— აბა, დედაკაცო, როდის ვიყავი შენთან?—მიჰვარდა ბნელო, —გიცნობ, მიცნობ, რო ტყუილად გითქვამ!

— რას ამობ, კაცო, ვის დაჰკარგვიხარ? მე როდის უთხარი, ჩემთან იყო-მეთქი? რა ვიცი, ვინა ხარ, საიდამ მოჰსულხარ!

— აი, ბატონო, თუ მე ამასთან ვყოფილვარ! ეს მე და ეს დედაკაცი, მე ამისი ცნობა თავი დღეშიაც არა მქონია.

— მაშ რადა თქვი, ჩემთან იყოვო?

— აბა, ყმაწვილო, როდის მოგახსენე, ჩემთან იყო-მეთქი? მე აგრე მოგახსენე, რა ვიცი, ბევრნი მოდიან, მე იმათ ვერ ვიცნობ, ბნელო ჰქვიანთ თუ ნათელო-მეთქი.

— ეს არა ყოფილა?—ჩასძახეს ყმაწვილებმა და მიუთითეს ბოქაულზე.

— რა ვიცი, ყოფილა თუ არა! იქნება ეგეც იყო და მე ვერ ვიცან.

ამ სიტყვებმა გამოიწვია ხანგრძლივი ხარხარი. დაჩუმების შემდეგ ჰკითხა ერთმა ყმაწვილმა:

— რატო სანთელს არ აანთებ, როცა მოგდიან საყვარლები და ისე არა ჰხადილობ მათთან?

— სანთელი რად გვინდა, უსანთლოდ-კი ვერ ვიხადილებთ-რა? სანთელზე ხადილობას თქვენა ხართ დაჩვეულები.

— კარგი, ნუ მოჰყე დილანდელივით მიქარვას!—შეუტყივლა ბოქაულმა,—შენ რასაც ბკითხამენ, ის ილაპარაკე!

— აჰა, აი გავჩუმდები, თუ ძალად არ მალაპარაკებენ!

— ჰა, თქვი, იყო ეგ ბნელო თუ არა?

— არა, ყმაწვილო, არა ყოფილა!

— მაშ რად მამატყუე?

— აბა, როგო მოგატყუე, ყმაწვილო, მე ხო დანამდვილებით არ მითქვამ, ჩემთან იყო-მეთქი!

— ეგა ტყუის! მაშ აქ რად დაიარება, თუ მაგასთან არ დადის?—სთქვა ერთმა ხნიერმა თავადიშვილმა.

— შენც აქ დაიარები, მაშ შენც ჩემთან დაჰდიხარ?—მიუგო კეკელამ.

ეს სიტყვები-კი არ აპატივა ბოქაულმა. იმისის ბძანებით გადაუტირეს ოთხიოდ მათრახი და გაისტუმრეს შინისკენ.

ბნელო ისევ იქ დარჩა. ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა ბოქაულს:

— ბატონო, რისათვის მიბარებდით? მიბძანეთ, უნდა გიახლოთ!

— ჰო, დაგიგვიანდება, ვეღარ მაასწრობ, რომ სადმე შაათვალიერო რამე!—უთხრა ბოქაულმა.

— გინა არა, ათასი რამ წაგირთმევიათ ჩემთვინ ხელიდამ!

— შენი რაზბონიკობა ყველამ იცის!

— არც არავინ იცის ჩემი რაზბონიკობა და ვერც არავინ დაამტკიცებს რასმე! რა ჰნახეთ ჩემ ხელში, რო ეხლა ამ შაურილ ხალხში აბიდას მაძლევთ?

— გაჩუმდი, თორემ მაგ ენას დაგიდუნებ, შე საციმბირევ, შენა! ქვეყანა შენ დაჰლუპე და შენ ხელში რა ნახეს?

— ვერც ენას დამიდუნებ და ვერც ხელს მახლებ!

— ამას უყურეთ, კიდეც მიყვირის! შე უბედურო, ვერა ჰხედავ მაგ ჩაფრებს? რომ უბძანო, ხო ზურგზე ტყავი აგაძრეს!

— მე ჩაფრებისა-კი არა, ღმერთისაც არ მეშინიან! ჩემი ხანჯალი აბაზს იღებს. საცა ესა მაქვს, იქ ვის შაუძლიან თითი დამაწოს!

— შენ ვისი იმედი გაქვს, მაგრე თამამად რო ჰლაპარაკობ?

— ვისი იმედი უნდა მქონდეს? მე მაქვს სიმართლის იმედი და მემრე ჩემი მკლავისა.

— შენი თავის გახეთქამ, მეტად-კი დახვალ სიმართლის გზაზედ!

— ყმაწვილო, ან თავს რაზე მიხეთქავ, ან აბიდას რაზე მაქმევ? რაზე მოგყევარ სისხლზედ? მიბძანე, რა საქმეზეც დამიბარე და გამანებე თავი!

— მე შენ დაგიბარე იმაზე, რო ბეჟაშვილს რო საქონელი დაჰპარე, უნდა მოჰრეკო!

— ჰმ! მეც არა ვთქვი, რისათვინ მიბარებენ-მეთქი!

— აბა ნუ მოჰრეკამ და მე გაჩვენებ შენ!

— მიბძანეთ, სადა გყავთ და, ბატონი ბძანდებით, მოვრეკამ!

— როგორ თუ სადა მყავს! მე-კი არა მყავს, შენ რომ დაიპარე, უნდა მოჰრეკო!

— ჰო-და მასწავლეთ, სადა მყავს დამალული?

— მე რა ვიცი, ეშმაკმა იცის შენი თავი და ტანი!

— თუ-კი ის იცით, რო მე მოვიპარე, ის-კი არ იცით, სადა მყავ დამალული?

— ახ, ნეტავი ეხლა-კი ძირს ვიყო და მე გაჩვენებდი, როგორც უნდა ლაპარაკი!

— ბატონო, იგ შენი ღობალია, რო ძირს არ ბძანდები!

— დახე ამ მ . . . . ს, როგო არ მეპუება! გამიშვით ერთი, მაგას ჩემი მთრახები ჯერ არ უნახამ!

ბოქაულმა გაიწია ძირს, მაგრამ არ გაუშვეს.

—წადი, კარგი, ხომ ჰხედამ გადაკრულშია!—უთხრეს ყმაწვილებმა ბნელოს.

—როგორ შეუძლიან წავიდეს! მანამ არ მეტყვის, სად იყო იმ ღამეს, ან არ იკისრებს საქონლის მოპარვას, ეგ აქედამ ფეხს ვერ მაიცვლის. ისეთ გომში უძახო, რომ წუმპეში ყელამდინ იფლეთოდეს!

— ბატონო, თქვენ ძალათი უნდა მაკისრებინოთ ქურდობა? გომში-კი არა, ანთებულ საკირეშიაც რო ჩამაგდოთ, მაინც იმას ვერ მაკისრებინებთ, რისაც მქნელი არა ვარ. კულავ რა გინახავთ ჩემ ხელში, ან თქვენ, ან სხვას, რო ეხლა ბეჟაშვილის საქონელი დემეპარა?

ბოქაულმა ლაპარაკი გააბა.

— ჰა, ყმაწვილო, დამითხოვეთ, საქმე მაქვ! კნიაზთან უნდა წავიდე,—უთხრა ბოქაულს ბნელომ, ცოტა სიჩუმეს შემდეგ.

— მითხარ, სად იყავ გუშინწინ ღამ და დაგითხოვ,—უთხრა მორბილებით ბოქაულმა, რადგანაც ბნელომ კნიაზი დაასახელა.

— მე სიმართლე მოგახსენეთ, ბატონო, და თუ არა გჯერათ, წავალ და კნიაზიდამ მოგიტანთ მოწმობას, რომ გუშინწინ ღამ კნიაზთან ვიყავი მთელი ღამე.

— მაშ წადი და მე თითონა ვკითხამ კნიაზს. თუ მატყუებ-კი, ვაი შენი ტყავის ბრალი!

— რაც უარესია, ის მიყავით, თუ მტყუანი გამოვდგე.

გაბრუნდა ბნელო და წავიდა. ბოქაული და ყმაწვილები მოუსხდნენ ისევ გაახლებულ სუფრას.

XIX

ნაუოფი პატიმრობისა.

ეემოდგომაა. კარგა ხნის შებინდებული იყო. პირველი ხარისხი მთვარისა დაშვებულიყო დასავლეთისკენ. ალაზნის ველზე, ერთს პატარა ტყის კორომში, რომლის შუა გულშიაც იყო პატარა ყალთაღიანი, სძოვდა შეკმაზული ცხენი. ცხენის მოშორებით, ტყის პირში, ეძინა თოფ-იარაღში ჩამჯდარს ცხენის პატრონს. ძოვნის დროს ცხენმა შეჰფრუტუნა და ამით გამოაღვიძა კურდღლის ძიღლისაგან თავისი პატრონი, რომელიც მძინარევე ფეხზე დადგა. მოიფშვნიტა თვალები და შეჰხედა ცხენს. ცხენი თავისთვის სძოვდა არხეინად. მაშინ მიჰხვდა პატრონი, რომ ცხენმა ჩვეულებისამებრ დაიფრუტუნა ძოვნაში და არა რისამე დანახვაზედაო. მაინც

ამის შემდეგ აღარ დაუძინია ცხენის პატრონს, რადგანაც მთელი ძილი კიდეც დაისრულა. მხოლოდ წამოწვა მხარ-თეძოზედ და თვალი გაუშტერა მთვარეს, რომელიც ხანდისხან იმალებოდა პატარ-პატარა ღრუბლის ნაწყვეტებში. შეერთებული ჭრიჭინი კალიებისა და ცხენის ხრამა-ხრუმი სმენას უტკბობდა. ამ გარემოებამ ასიამოვნა, და, ვგონებ, პირველად იგრძნო ასეთი სიამოვნება მას შემდეგ, რაც უწყება მიიღო მომრიგებელ მოსამართლისაგან. ამავე გარემოებამ აუშალა ფიქრი წარსულ ცხოვრებაზედ. თვალწინ წარმოუდგა ის დრონი, როდესაც ჰყარაულობდა თავის პატარა ვენახს და სტკბებოდა ამავე ჭრიჭინა-კალიების ჭრიჭინით. თვალწინ წარმოუდგა თავისის ღამის მეხრეობის ის დრონი, როდესაც გუთნის ხარს აძოვებდა კარგს ბალახში და თვითონ, წამოწოლილი განზე, სიამოვნებით უგდებდა ყურს ხარების ფშვინვით ბალახის ძოვნას, რომელიც ბევრით განირჩეოდა ცხენის ხრამა ხრუმისაგან; მოაგონდა ის მთვარიანი ღამეები, როდესაც მისი „ბუელა“ მარიკო ეალერიებოდა აკვანში მწოლიარე პაწაწინა გიგიას; მოაგონდა თავისი ყმაწვილობისა ყოველივე, რასაც-კი ესიამოვნებინა იმისთვის. სული შეუგუბდა, გული ყელში მოეგჯინა და ცრემლები თვალებში მოაწვა. შემდეგ, თითქოს მაჭრის ქვევრმა ამოჰხეთქა სარქველსაო, ისე ერთბაშად გადმოსცვივდა მუშტის ტოლა ცრემლები და მოჰყვა გულ-ამოსკვნილს ქვითინს. ყოველივე, რასაც-კი ესიამოვნებინა ეს კაცი, წარმოიდგინა და დაიტირა თვითოეულად და უსიტყვოდ, თითქოს პირველად ეხლა ეთხოვება ყველა ამაებსაო. ამნაირმა მისმა მდგომარეობამ საათზედ მეტი გასტანა; როცა მოიოხა გული ტირილით, წამოდგა ფეხზედ, ხელის ცერები ქამარში ჩაიწყო და გაიხედ-გამოიხედა. მივიდა ცხენთან, თავი აუხსნა ფეხიდან და დაუწყო თვალებსა, ყურებსა და ფაფარზე ხელის სმა ისე ნებივრად, თითქოს ქვეყანაზედ ამის მეტი აღარაფერი დარჩენოდა საყვარელი და მხოლოდ იმისაგან მოელოდა ნუგეშისცემას. მობრუნდა ისევ თავის ადგილას, წამოწვა, ერთი საშინლად ამოიოხრა და წარმოსთქვა:

— ოჰ, ღმერთო, შე დალოცვილო! რა შეგცოდე იგეთი, რო ეგრე დამტანჯე? მე ჩემ ყმაწვილობაში არ მახსოვს, რომ უღვთო რამ ჩამედინოს და, თუ ჩემმა დედ-მამამ შაგცოდეს რამე, მე რად მახდევინებ!.. რა გინდოდა, შე დალოცვილო, იგრეგ ის ილია ვეფოფილიყავ!.. რაღა ვარ ეხლა, ან რაღა კაცობა მეთქმის? ცოლი მე აღარა მყავ და შვილი; გულ-შამატკივარი და მოკეთე მე აღარ მაბადია ქვეყანაზე, გარდა მტრებისა! ჩემი სახლ-კარი სახლ-კარს აღარა ჰგავს და მამული მამულს, სასაფლაოც კი დაკარგულა ჩემთვინ! „გზათა-უკან წანწალში უნდა ამამივიდეს სუ-

ლი და, საცა ამამივა, ძაღლივით იქავე უნდა ჩამფლან მიწაში... ოჰ, ღმერთო! განა იქნება-ღა სადმე ჩემზე უბედური ადამიანი? განა ექნება კიდევ ვისმე ეგრე არეული ცხოვრების გზა, როგორც მე? განა ეხლა არა მჯობიან გოგოლაანთ კუტო, რომელსაც მეჯიდის ლუკმა ენატრება, მაგრამ ყველას-კი იმისთვინ გული შესტკივა?! სასაფლაო მაინც არა აქვ დაკარგული ჩემსავით... დავანებო ამ ძაღლ-უმადლურ ცხოვრებას თავი და მივყო იგრეე წინანდელ ცხოვრებას ხელი, რის პატრონმა? ვინ-ღა მაბადია და რაღა მიქვავია? მუშაობაზე გული აღარა მაქვ, სვინდისი მე აღარა მაქვ და ცოდო მადლი... ვინ იცის, რომელ ღამი-მეხრეს ავატირებთ ამაღამ. რა უნდა მექნა მე, რო ჩემთვინ დეეტაცნათ ქოტა და შვინ.ღა? თავს-ღა ვიცოცხლებდი მაშინ?! განა ამისთანა დღეში არ ჩავარდება, ვისაც ამაღამ ჩვენ ხარებს დავტაცებთ? სად წავიდა წინანდელი ჩემი გული? იგრე როგო გამიქვავდა, რო ამისთანა უღმერთო საქმეებს მაქნევინებს!.. ეჰ, დაილოცოს, ღმერთო, შენი სამართალი! შე დალოცვილო, ამისთანა ბედი და იღბალი რაღა მე მარგუნე მთელ დუნიაზე? რო აღარც გული მაძლევს ნებას, დავანებო ამ ძაღლ-უმადურ ცხოვრებას თავი! წელან მეცოდებოდა ის, ვისაც ამაღამ ხარებს დავტაცებთ, ეხლა ეინალაზე მამდის გული, რო აგრე დაიგვიანა. სად არი ის ოჯახ დასაქცევი აქამდინ, რო ჩქარა არ ავატირებთ ვისმე! ყველანი მთელი დუნია ურევია ჩემ გაუბედურებაში და ყველას ჯავრი უნდა ამოვიყარო!

არ გასულა ორი წუთი ამ სიტყვების შემდეგ, რომ გაიგონა ცხენის თქარა თქური და მაშინვე დაიწყო მომზადება. მინამ ცხენს დაჭლაგმავდა, თავს წამოადგა ერთი ცხენოსანი, იაფინჯ-მოსხმული, და შესძახა: „გედახ!“ ბნელოს ხმა არცა-კი ამოუღია, შეჯდა ცხენზე და ორივემ მოჰკრეს, გაჰქუსლეს ალაზნისაკენ.

XX

შ ე უ ბ ა.

ჯაბანოებთან,—ტფილისში,—ერთის სახლის აივანზედ, ქუჩის პირად, აქა-იქა იყო ჩამოფარებული ფარდები. აივანზე შეყრილიყვნენ ქალაქის ბიჭები და ატარებდნენ „შარმანკაზე“ დროებას „სიზოგადო“ ქალებთან, რომელთაც წაეკრათ თავზე თეთრი მოსახვევი და ძალზე დაეჭარხლებინათ ლოყები. ერთი ამ უკანასკნელთაგანი მოეყუდა მოაჯირს და ჩამოიძახა ქუჩისაკენ:

— ბნელო, ბნელო, შე მზე დასაბნელებელო! აბა, თუ ბიჭი ხარ და მკლავში ღონე გაქვ, აქ ამობძანდი, როგო გაგისტუმრო!

ივრის ხიდზე დამიბრიყვე განა? აბა მობძანდი, თუ ბიჭი ხარ, და აქაც ხელი მახლე! ოჰ, ნეტავი ეხლა-კი შენი თავი ხელში ჩამიგდო ამ ბულ-გაცხარებულზე და თუნდა ჩემი დღე გააქრო! მე ვიცოდი, როგორც უნდა გადახდა.

ამ სიტყვებით მიჰმართა თავისმა „ბუღლა“ მარიკომ ბნელოს, რომელიც ეინალასთან ერთად მოდიოდა ბორჩალოდან, სადაც გაესაღებინათ დაპარული საქონელი.

მარიკო გაგდო ილამ სახლიდგან მას შემდეგ, რაც მამასახლისს მიასწრო ზედა. მარიკო სცხოვრობდა დედ მამასთან, მაგრამ არც ესენი აყრიდნენ კეთილს იმ ყოფა-ქცევისთვის, რომელიც იმან ძალა-უნებურად გამოიჩინა. რომ განთავისუფლებულიყო დედ-მამის კიცხვისაგან, მარიკო გაჰყვა ერთ მედუქნე სომეხს სოღანლუში და იქიდამ გაემგზავრა ტფილისში. სიღნაღელმა ბიჭებმა დიდის ყოფით წაიყვანეს მარიკო ტფილისში, დაიქირავეს საკუთარი ფურგონი, მორთეს ცხენები ზიზილ-პიპილებით, მიიწვიეს საუკეთესო მეზურნეები და გაუდგნენ გზას. როცა ივრის ხიდის დუქანში შეექცეოდნენ დუდუკზე, საიდანღაც გაჩნდა ბნელო, ვეფხვის სისწრაფით მიჰვარდა მარიკოს და წაუშინა მათრახები თავსა და პირში. მანამ შიშისაგან თავ-ზარდაცემულნი გონს მოვიდოდნენ, ზოგიერთ მოქეიფეთაგანსაც მიარტყა მათრახები. შემდეგ გამოვარდა, შეჯდა ცხენზედ და მოჰკრა ცხენს ქუსლი. აი ეს გარემოება ჩაჰყვა მარიკოს ჯავრად და იმისთვის ჩამოსძახა აივნიდან ზემოხსენებული სიტყვები, რის პასუხადაც ბნელომ ერთი შეჰხედა, მიაფურთხა და გაუდგა კვლავ თავის გზას.

XXI

ზანაზენი

ერთ ღამეს სოფელ მრავლეთში დიდი ალიაქოთი იყო. გზირები დადიოდნენ კარ-და-კარ და კომლზე კაცს ეძახოდნენ სასოფლოზედ, რადგანაც მეორე დღეს უნდა მოსულიყვნენ მაზრის უფროსი და მომრიგებელი-შუამავალი ფრიად საჭირო საქმეზედ.

გათენდა დღე. ხალხმა მოიკრიბა თავი სასოფლოზედ. მობძანდნენ ისინიც, ვისაც მოელოდნენ. ხალხი [illegible]ჯგუფდა.

— ილია თვალიაშვილი აქ არის? — დაიძახა მომრიგებელმა-შუამავალმა.

— აქ გახლავართ! — მისცა პასუხად ბნელომ და წარსდგა წინ.

— მთელი მრავლეთის საზოგადოება ითხოვს მთავრობის წინაშე, — დაიწყო მომრიგებელმა-შუამავალმა, — შენს გადასახლებას სოფლიდგან, რადგანაც მთელი სოფელი გააცივე.

— აბა, როგორ გავაცივე, ბატონო?—უპასუხა ბნელომ შე
ყევლად,—რა უნახამთ ჩემ ხელში?

— გვაჩვენებ, რო ვნახოთ? წამოიძახა რამდენმამე გლ
კაცმა.

— უნახავთ რამე თუ არა, საზოგადოებას ესე ჰსურს
მთავრობაც ვერ იტყვის ამაზედ უარს,—სთქვა ისევ მომრიგებე
შუამავალმა და მიჰმართა ხალხს,—გსურთ ილია თვალიანშე
გადასახლება?

— გვსურს! გვსურს!—დაიგრიალა ხალხმა ერთხმად.

ამ სიტყვებზედ კი ილიას ფერი წაუვიდა, გულმა ძგერა
უწყო და თვალები დაუწყლიანდა. ამოიოხრა გულიანად და სა

— ეჰ, თუ აქ ვერ ამოვიყარე ჯავრი, საიქიოს მოვ
პასუხს; ვინც ძე ეგრე საქმე გამიხადა!

შეადგინეს განაჩენი და იმავე დღეს წაიყვანეს ბნელო
ტიმორში.

P. S. იქნება მკითხველმა ისურვოს პატარა გიგიას ხვედ
გაგება? ჩვენც არ ვიცით უთუოდ თვითონ იჩენს თავს როგო